ატმის ფოთლის სიხუჭუჭის საწინააღმდეგო ფოსფატურ პრეპარატის გამოცდის შედეგები მოტანილია ცხრილში 1. ცხრილის მონაცემებით, გამოცდილი ფოსფატური პრეპარატი ბიოლოგიური ეფექტურობით ჩამორჩება ბორდოს ნარევს, მაგრამ მნიშვნელოვნად აღემატება ნატრიუმის ჰიდროფოსფატის ეფექტურობას. თუ მხედველობაში მივიღებთ ფოსფატური პრეპარატის ზემოქმედების შედეგად მცენარეში დაავადების გავრცელებისა და განვითარების ინტენსივობის მნიშვნელობან შემცირებას, ასევე შბამანთან შედარებით თუთის ჰიდრო- და დიპიდრო ფოსფატების ძალიან დაბალ ტოქსიკურობის [5], შემუშავებული ფუნგიციდური პრეპარატი წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას ატმის სიხუჭუჭის წინააღმდეგ საბოლოველად.

ცხრილი 1. შემუშავებული ფოსფატური პრეპარატის ბორდოს ნარევთან შედარებითი ეფექტურობა

| ცდის ვარიანტები, გამოყენებული ფუნგიციდი, შესხერების ფაზა | ფუნგიციდის კონცენტრაცია | დაავადების გავრცელება % | დაავადების განვითარების ინტენსიობა % | ბიოლოგური ეფექტურობა % |
|--|-------------------------|-------------------------|--------------------------------------|------------------------|
| საცდელი ფოსფატური პრეპარატი კვირტების დაბერვამდე ყვავილობის შემდეგ | 2 1 | 9,2 | 4,4 | 87,7% |
| ბორდოს ნარევი კვირტების დაბერვამდე ყვავილობის შემდეგ | 3 1 | 2,1 | 1,6 | 97,2% |
| ნატრიუმის ჰიდროფოსფატის სსნარი კვირტების დაბერვამდე ყვავილობის შემდეგ | 2 1 | 37,4 | 27,9 | 68,7 |
| შეუსხერებლი ხები | | 75,3 | 56,3 | |

ჩატარებული კვლევების შედეგად დაბუშავდა ლითონების ფოსფატების წნადი ფორმების მიღების მეთოდი, რისი გამოყენებითაც ასევე შესაძლებელია სხვა მაღალი ფუნგიციდური აქტივობის წყალში წნადი მარილების (ჰიდრო- და დიპიდრო ფოსფატების) მიღება და შესაბამისად უფრო მაღალი ეფექტურობის ფუნგიციდური თვისების კომპოზიციის მომზადება.

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

- ლ. ყანჩაველი სასოფლო-სამეურნეო ფიტოპათოლოგია. თბილისი, გამომცემლობა „განთიადი”, 1987, 599 გვ.
- Пересыпкин В.Ф. Сельскохозяйственная фитопатология. М. “Агропромиздат” 1989, 480 с.
- З.. Стивен Бредли Защита растений. М.”Кладезь-Букс” 2003, с. 61
- Каратыгин И.В. Порядки Тафриновые, Протомициевые, Экзобазидиевые, Микростромациевые. СПб.: «Наука», 2002. С. 44—45.
- ლომთაძე ო., ებრალიძე ქ., ლომთაძე ნ., ბალხამიშვილი გ. ახალი ეფექტური ფუნგიციდური პრეპარატი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “თანამედროვე ტექნოლოგიები და გამოყენებითი დიზაინი”. ქუთაისი, 2011, გვ. 135-137

A NEW PHOSPHATEFUNGICIDE AGAINST LEAF CURL OF PEACH

Ludmila Tskhvedadze*, Avtandil Dolidze, Omar Lomtadze, David Kakashvili*, Nunu Shalvashvili

Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry of Tbilisi State University

*Institute of Horticulture, Viticulture and Oenology of Georgian Agrarian University

SUMMARY

Were obtained soluble forms of zinc hydro and dihydrophosphate, on based which cooked product with fungicidal properties. After processing with received drug peach trees who are infected with leaf curl, is significantly reduced (compared to control trees) development and spread of the disease. In the future, with the preparations on the basis of a soluble metal phosphates optionally substituted with more environmentally hazardous fungicide the copper sulfate

НОВЫЙ ФОСФАТНЫЙ ФУНГИЦИД ПРОТИВ КУРЧАВОСТИ ЛИСТЬЕВ ПЕРСИКА

Л.П.Цхвададзе*, А.В.Долидзе, О.Г.Ломтадзе, Д.М.Какашвили*, Н.И.Шалвашвили

Тбилисский Государственный университет им. И. Джавахишвили, Институт физической и органической

химии им. П. Меликисиши

*Грузинский аграрный университет, институт садоводства, виноградарства и виноделия

РЕЗЮМЕ

Получены растворимые формы гидро и дигидрофосфатов цинка, на основе которых разработан препарат с фунгицидными свойствами. Обработка разработанным препаратом персиковых деревьев, зараженных курчавостью листьев, значительно уменьшает (по сравнению с контрольными деревьями) развитие и распространение заболевания. В дальнейшем фунгицидными препаратами на основе растворимых фосфатов металлов возможно замещение экологически более опасного фунгицида медного купороса.

აგრარული ქიმია

**ფერმერულ მეურნეობებში ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით
რეკომენდაციების შემუშავება მინერალური და ორგანული სასუჟების ოპტიმალური
ნორმებისა და ფორმების გამოყენებით**

ნ.კუტალაძე, ზ.მიქელაძე, თ.გოგოლიშვილი

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული
ტექნოლოგიების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი**

ავტორების მიერ ჩატარებული აგროქიმიური კვლევების საფუძველზე რეგიონში არსებულ 300 ფერმერს მიეცა რეკომენდაცია მინერალური და ორგანული სასუჟების ოპტიმალური ფორმებისა და ნორმების გამოყენების თაობაზე. ოთხ კომპერატივში (ზუგდიდი, ხალა, ჭარბალი, მასაურა) ჩატარებულია 2000-მდე დასახელების ანალიზი. ანალიზებიდან გამომდინარე ოთხივე კომპერატივის ციტრუსების ქვეშ არსებული ნიადაგები მუვავა და მასიურად მოთხოვს მოკირიანებას, ნიადაგები განიცდიან საერთო აზოტის ნაკლებლობას, სამუალოდ ჰუმუსიანია, ხოლო ფოსფორით და კალიუმით უზრუნველყოფილია.

სამამულო მეცნიერების მიერ წინა ათი წლის განმავლობაში ჩატარებული ფართო მასშტაბით სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების შედეგად დადგენილი იქნა ციტრუსოვანთა ბალებში ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების აგრო ტექნოლოგიები, რომელთა გათვალისწინებით ხდებოდა ნიადაგის დამუშავების მინერალური და ორგანული სასუჟების გამოყენების ოპტიმალური ფორმებისა და ნორმების გაანგარიშება, მცენარეთა სხვადასხვა ჯიშების, ასაკისა და მოსავლიანობის მიხედვით, მოსავლის რაოდენობისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით [1,2]. მიუხედავად აღნიშნულისა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიურმა ცვლილებებმა, ძირეულად შეცვალა ადრე დამკვიდრებული სისტემები, რომაც აუცილებელი გახადა ციტრუსების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიების გადახედვა და კარდინალური ცვლილებების განხორციელება/3/ ამ მიზნით, ჩვენს მიერ წლების მანძილზე განხორციელებულმა სამეცნიერო კვლევითმა სამუშაოებმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ძირეულად გადასახედია ციტრუსოვანთა წარმოება რეალიზაციის ორგანიზაციული და გადამუშავების ტექნოლოგიები [3,4] ქობულეთის (ს. ზუგდიდი 100 ფერმერი), ხელვაჩაურის (მასაურა - 50, ხალა - 50, ჭარბალი - 100) მოქმედ სასოფლო სამეურნეო კომპერატივებში ოჯახურ და ფერმერულ მეურნეობებში. წინა წლების წინ ჩვენს მიერ ნიადაგის ნაყოფიერების დადგენისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევების საფუძველზე შესწავლილი იქნა დაგეგმილი ღონისძიებათა გატარების ორგანიზაციის ეფექტურობა და შესაძლო პოზიტიური შედეგები [4].

მეცნიერთა ჯგუფის მიერ აღებული იქნა ნიადაგის ნიმუშები დასახელებულ კომპერატივებში ფერმერულ ნაკვეთებზე (სულ 300 ფერმერი) და ნიადაგის სათანადო გამოკვლევები: pH- წყალში და KCl-ში, შესათვისებელი ფოსფორი და კალიუმი ონიანის მეთოდით [2], სულ 2000 დასახელების ანალიზი. ანალიტიკური მასალები აზვენებს, რომ ფერმერთა საკუთრებაში არსებული ციტრუსოვანთა ბალების ნიადაგების აგროქიმიური მაჩვენებლები ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს [4] (ცხრილი 1).

ნიმუშები აღებულია 0-40 სმ სიღრმეზე, სავარგულზე გაშენებულია ციტრუსების სრულფასოვანი ბალი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუჟები, შეიტანება ნიადაგის გადაბარვის წინ ყოველწლიურად, აზოტიანი სასუჟები შეიტანება ნორმის 40% ადრე გაზაფხულზე ყვავილობის დაწყების წინ, ხოლო 60%-გამონასკვის შემდეგ დეფეკაციური ტალახი და დაფქვილი კირი სრული ნორმით ადრე გაზაფხულზე გადაბარვის წინ 4 წელიწადში ერთხელ [3].

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ თითქმის ყველა კომპერატივის ფერმერთა ნაკვეთებზე აღებულ ნიადაგების ნიმუშებში: ნიადაგები მუვავა(3,5-4,7), მოითხოვს მოკირიანებას. საერთო აზოტით ნიადაგი ღარიბია (0,2-1,3), საერთო ჰუმუსი სამუალოზე მეტია, ხოლო რაც შეეხება შესათვისებელ ფოსფორსა და კალიუმს ნიდაგი დაკმაყოფილებულია და ამ ეტაპზე ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუჟების შეტანას არ საჭიროებს.

ცხრილი 1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საკუთრებაში არსებული ნიადაგების აგროქიმიური მაჩვენებლები და რეკომენდაციები

| N | კოოპერატივები | აგროქიმიური მაჩვენებლები | | | | რეკომენდაციები | | | | | | |
|----|----------------------|--------------------------|------------------|--------------------------------|------------------|--------------------------------|--------------------------|-----------------------------|---------------------------|-------------------------------|---------------|----|
| | | აქტიური მექანიზმი, % | საერთო აზომუნება | შესათვისებელი ფოსფორი, მგ/100გ | საერთო ჰუმური, % | შესათვისებელი კალიუმი, მგ/100გ | ამონიუმის გვარჯილა კგ/ჰა | მარტივი სუპერფოსფატი, კგ/ჰა | პალიუმის მარილი 40%-კგ/ჰა | დეფენსიური რიცხვი ტალაბი ტ/ჰა | ნაკვერძლობები | |
| 1 | ქობულეთი ს. ხუცუბანი | 4,4 | 0,2 | 50 | 3,7 | 55 | 240 | 166 | არ საჭიროებს | 30 | 15 | 30 |
| 2 | ხელვაჩაური მასაური | 3,5 | 1,3 | 55 | 6,0 | 44 | 200 | 160 | | 20 | 10 | 20 |
| 3. | ჭარნალი | 4,7 | 0,2 | 60 | 3,5 | 43 | 240 | 100 | | 18 | 10 | 30 |
| 4 | ხალა | 4,5 | 0,2 | 61 | 4,5 | 48 | 240 | 100 | | 25 | 15 | 30 |

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ ჩატარებული აგროქიმიური კვლევების საფუძველზე, რეგიონში არსებულ 300 ფერმერზე მეტს მიეცა რეკომენდაცია, მინერალური და ორგანული სასუქების ოპტიმალური ფორმებისა და ნორმების გამოყენების თაობაზე. ამავ დროულად 2014 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შემოიტანა 10000 ტონაზე მეტი დეფენსიური ტალაბი ნიადაგის არის რეაქციის pH-ის გასანეიტრალებლად. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა ფერმერების ბალების მოსავლიანობა და ნაყოფების ხარისხობრივი მაჩვენებლები. ფერმერებს გაუჩნდათ სურვილი, ნიადაგის აგროქიმიური კვლევების განხორციელებისა და რეკომენდაციების მინერალური და სხვადასხვა ბიო სასუქების გამოყენების თაობაზე. რაც დასტურდება მრავალი ფერმერის მიმართვით ინსტიტუტის შესაბამის სტრუქტურებისადმი [4].

ლიტერატურა – REFERENCES

- ჩხაიძე გ. სუბტროპიკული კულტურები - თბილისი, 1996, გვ.531.
- ონიანი ო.გ. მარგველაშვილი გ. ნ. ნიადაგის ქიმიური ანალიზი - თბილისი: „განათლება“, 1975, გვ. 287,828, 316.
- ფალავანდიშვილი შ. აჭარის წითელმიწა ნიადაგები და მათი საწარმოო გამოყენება, ბათუმი, 1987.
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტის შრომები. 2016, გვ.3-4.

DEVELOPMENT OF RECOMMENDATIONS FOR OPTIMAL NORMS AND FORMS OF MINERAL AND ORGANIC FERTILIZERS TO IMPROVE SOIL FERTILITY ON FARMS

N. Kataladze, Z.Mikeladze, T.Gogolishvili

Shota Rustaveli Batumi State University

SUMMARY

Recommendations for optimal norms and forms of mineral and organic fertilizers have been given to 300 farmers in the region to improve soil fertility. In four cooperatives (Khutsubani, Khala, Tcharnali, Masauri) it was held up to 2000 different of analyses, according to which the ground under the citrus crops is acidic and require liming; soils lack total nitrogen, have an average content of humus, the amount of potassium and phosphorus is normal.

РАЗРАБОТКА РЕКОМЕНДАЦИЙ ОПТИМАЛЬНЫХ НОРМ И ФОРМ МИНЕРАЛЬНЫХ И ОРГАНИЧЕСКИХ УДОБРЕНИЙ В ЦЕЛЯХ ПОВЫШЕНИЯ ПЛОДОРОДИЯ ПОЧВЫ ФЕРМЕРСКИХ ХОЗЯЙСТВ

Н.Куталадзе, З.Микеладзе, Т.Гоголишвили

Батумский Государственный университет им. Шота Руставели

РЕЗЮМЕ

На основании проведенных агрохимических исследований тремстам фермерам в регионе даны рекомендации оптимальных форм и норм минеральных и органических удобрений. В четырех кооперативах (Хуцубани, Хала, Чарнали, Масаура) проведено до 2000 различных анализов, согласно которым почва под цитрусовыми культурами кислая и требует известкования; почвы испытывают недостаток общего азота, содержание гумуса среднее, а фосфор и калий в достатке.

გარემოს ქიმია

ვერცხლისწყლის ნამრთების გაზღვანა გარემოსა და ცოცხალ ორგანიზმებზე

ი.ბაზლაძე, მ.გუგეშვილე, ჯ.გუგეშვილე, ი.გელეიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

განხილულია ლითონური ვერცხლისწყლის და მისი ნაერთების გავლენა გარემოსა და ცოცხალ ორგანიზმებზე. ადამიანის ორგანიზმი Hg-ის ბიოტრანსფორმაციის მექანიზმი.

ვერცხლისწყალი პერიოდული სისტემის მეორე ჯგუფის d ელემენტია, მყარ მდგომარეობაში, ~ 39°C -ზე ჭედადია. ნაერთებში ავლენს +1და +2 დაუანგულობის ხარისხს. მაღალ ტემპერატურაზე მშრალი ჰაერით დაუანგვისას წარმოიქმნება ვერცხლისწყლის უანგი HgO . პროცესი ჩქარდება ტენის, Sn, Pb-ის და სხვა ლითონების თანაობისას. Hg-ს აქვს ლითონებში გახსნის უნარი, წარმოიქმნება თხევადი ან მყარი შენადნობები -ამაღვამები, მათ წარმოქმნის უნარი აქვს Na, K, Au, Ag, Zn, C, Pb, Cu-თან .თუთიის ქვეჯგუფის ელემენტებიდან Hg ქიმიური თვალსაზრისით ნაკლებად აქტიურია. იგი გაბნეულ ელემენტებს მიკეუთვნება და მირითადად სულფიდური მადნებითა წარმოდგენილი. მცირე რაოდენობით თვითნაბადი სახითაცაა. Hg-ის კლარკი კი დედამიწის ქრექმი $1 \times 10^{-6}\%$ -ია. ატმოსფერო შეიცავს 1×10^{-9} Hg-ს. ვერცხლისწყალს ახასიათებს წყლის მიგრაციაში ჩართვის მაღალი ინტესივობა. Hg-ს დიდი რაოდენობით აკუმულირებს ხმელეთისა და წყლის წაბლა წყალმცენარეები. წყლის არედან Hg-ის ხსნადი ფორმები ფსკერულ დანალექებში გადადის. ვერცხლისწყალი ნიადაგში მყარად ფიქსირდება, წარმოქმნის რა კომპლექსინაერთებს ჰუმინურ მჟავებთან. ვერცხლისწყალი და მისი ნაერთები გამოიყენება: ტექნიკაში, ქიმიურ მრეწველობაში, მედიცინაში, ფარმაციაში, საკონტროლო მზომი ხელსაწყოების, თერმომეტრების, მანომეტრების და სხვათა დასამზადებლად. Hg(II)O (წითელი და ყვითელი ფორმა) შედის კანის სწორულებათა სამურნალო პრეპარატებისა და თვალის მაღალი მაღალი შემადგენლობაში. იგი შედის იმ საღებავების შემადგენლობაში, რომლებიც გამოიყენება წყალქვეშა ნაგებობებისა და გემების ფსკერის შესაღებად. Hg-ის ნაერთები იხმარება თესლურელის შესაწამლად და ცხოველების კანის დაავადებების სამურნალო საშუალებებში შედის. Hg_2Cl_2 - კალომელი გამოიყენება, როგორც მნიშვნელოვანი ფუნგიციდი (სოკოგანი დაავადების საწინააღმდეგოდ). Hg(II)-ის შემცველი ბევრი ორგანული ნაერთი გამოიყენება, როგორც პესტიციდი. ვერცხლისწყალი მცირე რაოდენობით ადამიანის ორგანიზმის ბუნებრივი შემადგენლია.

ცხოველებში ვერცხლისწყლით მოწამვლის სურათია, პირობითი რეფლექსების მოშლა. ფუნქციონალური, ბიოქმიური და იმუნური ძვრები აღნიშნებათ; კურდღლებს, კატებს 0.01 – 0.04 მგ/გ³-სას. ადამიანის Hg-ით ქრონიკული მოწამვლისას ზიანდება ც.ნ.ს. 0.2-1.3მგ/გ³ კონცენტრაციისას ვითარება მერკურიალიზმი. გულის რიტმის დარღვევა, ხელების, ენის, ქუთუთოების კანკალი, რომელიც სხეულის კანკალში გადადის. ვერცხლისწყლის მარილებით მოწამვლისას სასიკვდილო დოზაა 0.2-0.3გრ ლითონურ ვერცხლისწყალზე გადაანგარიშებით. არაორგანულ ნაერთებთან შედარებით Hg-ის შემცველი ორგანული ნაერთები უფრო მეტად ტოქსიკურია.

ცხრილი 1. მიკროელემენტ Hg-ის შემცველობა ადამიანის ორგანიზმის ზოგიერთ ორგანოში

| მიკროელემენტი | მიკროელემენტის შემცველობა მას% | | | | | | |
|---------------|--------------------------------|-----------|--------|----------|------------------|---------------|-------------|
| | ღვიძლი | თირკმლები | ელენთა | ფილტვები | გულმკერდის კუნთი | ჩონჩხის კუნთი | თავის ტვინი |
| Hg | 0.002 | 0.002 | --- | --- | --- | 0.002 | 0.002 |

ადამიანის ორგანიზმში Hg ხვდება საკებით 0.2მგ/კგ რაოდენობით, დღე-დღამეში. მირითადად ზღვის პროდუქტებით, თევზით, ბრინჯით Hg ტოქსიკურობა დამოკიდებულია იმ ქიმიურ ფორმაზე, რომლითაც იგი ადამიანის ორგანიზმში ხვდება. ორთქლის მგომარეობაში ელემენტარული Hg კარგად რეზორბირდება რესპირატორული ტრაქტით. სისხლში ხვდება~80% და სწრაფად იუანგება Hg^{+2} . ლითონური Hg მისი ლიპოფილურობის გამო ადგილად აღწევს ქსოვილებში, სანამ მისი დაუანგვა მოხდება, ელემენტალური Hg ასწრებს სისხლიდან შეაღწიოს თავის ტვინში. ჰემატოგლიცეფალიტური

ბარიერის გადაღახვით. ეს პროცესი იმდენად სწრაფად ხდება, რომ ელემენტარული Hg^{+} -ის ~97% ვერ ასწრებს დაჟანგვას, ტვინში ხდება ელემენტარული Hg^{+} -მდე რომელსაც აქვს ჰემატონცეფალიტური ბარიერის გადაღახვის უნარი და შესაბამისად დიდხანს რჩება იქ ე. ი. ლითონური Hg თანდათანობით გარდაიქმნება არაორგანულ ნაერთებად. ტუტმწოვრებში არ არის აღმოჩენილი ლითონური Hg -ის ონიურ ფორმაში და ორგანულ ნაერთებში გადასვლის მექანიზმი. ადამიანში Hg -ის ორთქლის მოხვედრისას მეთილვერცხლისწყლის აღმოჩენაა შესაძლებელი. სავარაუდოა, რომ ნაწლავებში არაორგანული Hg მეთილირებას განიცდის ნაწლავების ბაქტერიებით და ამ სახით ბრუნდება სისხლში, Hg -ის არაორგანული ნაერთები, რადგან მათ არ ახასიათებთ ლიპიდფილურობა ცუდად გადაღახავენ რა ჰემატონცეფალიტურ ბარიერს, გროვდებიან ლიმიტი, თირკმლებში და ნაკლები რაოდენობით თავის ტვინში: ორგესაც ორგანიზმში Hg -ის არაორგანული ნაერთები დიდი რაოდენობით ხვდებიან Hg -ის სხვადასხვა ფორმას აქვთ განსხვავებული განაწილების უნარი პლაზმასა და სისხლის ერთორციტებს შორის. ასეთი განაწილების ცოდნით შესაძლებელია Hg -ით მოწამვლის შესახებ მსჯელობა. ელემენტარულ ფორმაში Hg -ის განაწილების კანონზომიერება ასეთია: მისი არაორგანული ნაერთების ორგანიზმებში მოხვედრისას თირკმლებში Hg -ის კონცენტრაცია უფრო მაღალია ვიდრე თავის ტვინში. Hg -ის თანაფარდობა (ერთორციტებში), პლაზმაში: Hg -კონცენტრაციასთან <1 -ზე. სისხლში მოხვედრილი მეთილ Hg თანაბრად ნაწილდება ორგანიზმში. იგი გადაღახავს ჰემატონცეფალიტურ ბარიერს და მისი კონცენტრაცია ტვინში მეტია, ვიდრე თირკმლებში. მეთილ Hg -ით მოწამვლისას ერთორციტებში ტვინი 20-ჯერ მეტია ვიდრე სისხლის პლაზმაში. ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების დასკვნით მეთილ Hg -ის განაწილება ხასიათდება:

- 1) ერთორციტების კონცენტრაციასთან შედარებით სისხლში Hg -ის მაღალი კონცენტრაცია.
- 2) ჰემატონცეფალიტურ და პლაცენტარულ ბარიერში ადგილი განვითარებით სხვა ნაერთებთან.
- 3) თირკმლებში ნაკლები რაოდენობით დაგროვება სხვა ნაერთებთან შედარებით. ორგანიზმში მოხვედრილი Hg -ის ქიმიური ფორმების განსაზღვრისათვის ხდება ტვინსა და თირკმლების ქსოვილებში Hg -ის კონცენტრაციის შეფარდება, ასევე ერთორციტების და სისხლის პლაზმაში pH-ის მნიშვნელობების შედარება.

ცხრილი 2. Hg -ის ქიმიური ფორმის ირიბი განსაზღვრა

| Hg -ის ქიმიური ფორმა | კონცენტრაციების შეფარდება ტვინი, თირკმლი | ერთორციტები: პლაზმა კონცენტრაციების შეფარდება |
|------------------------|---|---|
| Hg | სხვადასხვა: >1 ან <1 ან $=1$ | >1 ან $=1$ მაგრამ <10 |
| Hg^{+2} | $<<1$ | $=1$ ან <1 |
| ლითონური Hg | >1 | >10 ან $=10$ |

Hg -ის სხვადასხვა ქიმიური ფორმების განაწილება ქსოვილებში და ბიოლოგიურ სსნარებში როტულია. რადგან ორგანიზმებში Hg განუწყვეტლივ განიცდის ბიოტრანსფორმაციას. ორგანიზმებში ხანგრძლივი დაყოვნებისას. მიუხედავად Hg -ის პირველადი ფორმისა, Hg -ის ძირითადი მასა გადადის არაორგანულ ნაერთებში. ბიოტრანსფორმაციის პროცესი განიცდის სხვადასხვა ფაქტორების გავლენას. მაგ. ალკოჰოლი ორგანულ ნაერთებში შემავალი Hg -ის დაჟანგვას თრუნავს და ამცირებს ტვინში მის შეფერხებას.

ორგანიზმში Hg -ის ბიოტრანსფორმაცია. Hg -ის მეტაბოლიტური გარდაქმნა გულისხმობს: ლითონური Hg -ის დაჟანგვას Hg^{+2} -მდე და მის აღგენას Hg^0 -ად. არაორგანული Hg -ის მეთილირება და მისი გარდაქმნა Hg^{+2} -ად. ელემენტარული Hg სისხლში იუნგება Hg^{+2} . ერთორციტებში ძირითადი ფერმენტი რომელიც ახდენს Hg -ის დაჟანგვას კატალიზით. Hg^{+2} -ის გარდაქმნა ხდება ტვინის ქსოვილებში. Hg^{+2} ადამიანის ორგანიზმში აღდგება Hg^+ ან Hg^0 ფორმამდე. ორგანიზმის ქსოვილებში დიმეთილირების პროცესზეა დამოკიდებული მეთილ Hg -ის მეტაბოლიზმი. სხვადასხვა ქსოვილში დიმეთილირების სიჩქარე განსხვავებულია. ცხოვლებში დაფიქსირებულია არაორგანული ვერცხლისწყლის ხანმოკლე ტრანსფორმაცია, დამიტყობებულია 20%, თირკმელში 50%, ნაღველში 30-83% ტვინში 25%. ადამიანებში Hg -ით მწვავე მოწამვლები იშვიათია. ქრონიკული მოწამვლისას

ფიქსირდება ემოციური არამდგრადობა, გაღიზიანებადობა, შრომის უნარის დაქვეითება, თავის ტკივილი, კიდურების კანკალი, მოწამვლისას დამახასიათებელია მოლურჯო - შავი ფერის არშია ღრძილებზე. Hg-ის შემცველი ორგანული ნაერთებით მოწამვლისას ერთდროულად ზიანდება ც.ნ.ს. და გულსისხლძარღვთა სისტემა, კუჭი, ღვიძლი, თირკმლება. დააგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს Hg-ის განსაზღვრას ბიოსუბსტრატებში. სისხლში Hg-ის შემცველობის ზედა ზღვარია 5მგ%

ცხრილი 3. ჰიგიენური ნორმატივები

| ნივთიერება | სამუშაო ფონი ატმოსფეროზ და | ატმოსფერუ ლი ჰაერი ზღვ. მგ/გ ³ დღე- ლამე | წყლის | | ნიადაგი. ზღვ. მგ/კგ | საშიშ- როების კლასი |
|-----------------------|-------------------------------------|---|----------|-------------------|---------------------------|---------------------------|
| | | | ზღვ.მგ/ლ | თევზსაჭერი ზღვ | | |
| ლითონური Hg | 0.01 | 0.0003 | 0.0005 | 0.80 | 2.1 | 1 |
| Hg(I) და (II) აცეტატი | 0.2/0.5 | 0.0003 | ----- | ----- | ----- | 1 |
| Hg(II)ბრომიდი | 0.2/0.5 | ----- | ----- | 0.001 | ----- | 1 |
| Hg(II)იოდიდი | 0.2/0.5 | 0.0003 | ----- | 0.001 | ----- | 1 |
| Hg(II)ნიტრატი | 0.2/0.5 | 0.0003 | ----- | ----- | ----- | 1 |
| Hg(II)ოქსიდი | 0.2/0.5 | 0.0003 | ----- | ----- | ----- | 1 |
| Hg(II)სულფატი | 0.2/0.5 | ----- | ----- | 0.001 | ----- | 1 |
| Hg(II)ქლორიდი | 0.2/0.5 | 0.0003 | ----- | ----- | ----- | 1 |

Hg-ის ზ.დ.პ საკებელ პროდუქტებში, მგ/კგ: თევზი – 0.5; ხორცი – 0.03; ბოსტნეული – 0.02; წვერები – 0.05; პური, მარცვლეული, ხილი – 0.01; რძის პროდუქტები – 0.005.

ლითონური Hg-ის ზ.დ.პ ჰაერში 0.00001მგ/მ³. Hg-ის სხვადასხვა ნაერთებისათვის ზ.დ.პ-ს მნიშვნელობები სხვადასხვაა. ქლორორგნული ნაერთებისთვის ეთილმერკურქლორიდი C₂H₅HgCl, ეთილმერკურფოსფატი(C₂H₅Hg)₃PO₄ –0.000005მგ/ლ (Hg-ზე გადათვლით).

ლიტერატურა – REFERENCES

- ი ბაზდაძე. ქიმიური ნაერთების გავლენა ბიოსფეროსა და ცოცხალ ორგანიზმებზე. თბილისი სტუ 2015წ გ. 183
- მ ჭედლიშვილი. სასამართლო- ქიმიური ექსპერტიზის საფუძვლები თბილისი, სტუ 2009წ გ. 228
- ა. Н. Бондаренко, А, А, Калиева, Биогеохимическийвоздействие металла Hg на окружающую среду и на живом организме
- А. А.Байдман. Вредные химические вещества,,Химия.“ 1998 с, 160-169.

EFFECT OF METAL Hg ON ENVIRONMENT AND LIVING ORGANISMS

I.Bazgadze, M.Gugeshidze, J.Gugeshidze, I.Geleishvili

Georgian Technical University

SUMMARY

The article refers to the role of the element Hg and lead in tissues of living organisms and toxic effect on them.

**ВОЗДЕЙСТВИЕ МЕТАЛЛИЧЕСКОЙ РТУТИ
НА ОКРУЖАЮЩУЮ СРЕДУ И ЖИВЫЕ ОРГАНИЗМЫ**
И.П.Базгадзе, М.К.Гугешидзе, Д.Е.Гугешидзе, И.Т.Гелешвили
Грузинский технический университет

РЕЗЮМЕ

Рассмотрена роль ртути в тканях живых организмов и её токсическое воздействие на них.

ქიმიური ეკოლოგია

ბიომასიდან საჭვავის მიღების თანამედროვე ტექნოლოგიების შერჩევა საქართველოს რეალიტის გათვალისწინებით

ავთანდილ დოლიძე, ირმა მიქაძე, თეიმურაზ უჩანევიშვილი,
ნინო ქავთარაძე, ლიპარიტ დოლიძე, ნინო ნონიკაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პუტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

ბიოსაწვავების წილის თანდათანობითი გაზრდა წარმოადგენს ეკონოკავშირისა და სხვა განვითარებული ქვეყნების პრიორიტეტს. პირველი თაობის ბიოსაწვავებისგან განსხვავებით, რომელიც მზადდებოდა საკვები მცენარეებიდან, მოწოდებულია მეორე თაობის ბიოსაწვავის წარმოების დაწყება გარკვეული სახეობის სარეველებისაგან აუთვისებელი ნაკლებადნაყოფიერი ნიადაგების გამოყენებით. ბიოსაწვავების ძირითადი ნაკლია მისი არამდგრადობა (ჩვეულებრივ, 3 თვეში), თუმცა პიროლიზური მეთოდით მიღების შემთხვევაში ბიოდიზელის მდგრადობა არ ჩამოუვარდება ნავთობური დიზელის მახასიათებლებს. სწრაფი პიროლიზისათვის აუცილებელია ბიომასის წინასწარი დაწვრილებანება < 1 მმ და მიღება თხევადი პროცესი მაღალი გამოსავლით, ასევე მნიშვნელოვანი ტემპერატურის კონტროლი (500°C ორთქლის ფაზაში). პიროლიზის ორთქლის რეაქტორში დაყოვნება არ უნდა აღმატებოდეს 1 სეკუნდს, აუცილებელია სწრაფი გაცივება.


მსოფლიო პრაქტიკაში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მიმდინარეობს სამუშაოები ეკოლოგიურად ნაკლებად სახიფათო ბიოსაწვავების მიღების ტექნოლოგიების შემუშავებისა და დამზადების დარგში. მსოფლიოში ტრანსპორტის გამონაბოლქვი დღემდე აგმოსფეროს დაბინძურების ერთერთი ძირითადი წყაროა და მავნე გაფრქვევების მინიმიზაცია გლობალურ პრობლემას წარმოადგენს. ბიოსაწვავების გამოყენება იძლევა მავნე ნივთიერების გამოფრქვევის შემცირების შესაძლებლობას 80%-ზე მეტად. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ბიოსაწვავების გამოყენება სხვადასხვა მზეზების გამო შეადგენს მთლიანი მოხმარებული საწვავის მხოლოდ 5–15%-ს.

ბიოსაწვავების წილის თანდათანობითი გაზრდა წარმოადგენს ეკონოკავშირისა და სხვა განვითარებული ქვეყნების პრიორიტეტს. პირველი თაობის ბიოსაწვავებისგან განსხვავებით, რომელიც მზადდებოდა საკვები მცენარეებიდან, მოწოდებულია მეორე თაობის ბიოსაწვავის წარმოების დაწყება გარკვეული სახეობის სარეველებისაგან აუთვისებელი ნაკლებადნაყოფიერი ნიადაგების გამოყენებით. ეკონოკავშირში დამზადებული ტექნოლოგია შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ არასაკვები მცენარეული ნედლეულიდან ბიოსაწვავების მასალა, ხოლო ნარჩენებისაგან მზადდება კომბსაკვები და სასუქი. ამდენად, მთლიანობაში შემოთავაზებული ტექნოლოგია უნარჩენოა, სასოფლო–სამეურნეო ბრუნვაში შემოაქვს ნაკლებნაყოფიერი აუთვისებელი ფართობები, იზრდება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების დონეც, ხოლო დიზელის საწვავი, კომბსაკვები და სასუქი გამოიყენება ისევ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის [1-3].

დიდი მნიშვნელობა აქვს ბიომასის გადამუშავების მთოდების შერჩევას. მიკრობიოლოგიური შტამების გამოყენება ეფექტურია, მაგრამ ნატიფი და შედარებით ხანგრძლივი ტექნოლოგიაა. ამასთან ერთად საჭიროებს ეთერიფიკაციისათვის მეთილის სპირტის შემოტანას, რომელიც ტოქსიკურია და გართულებულია მისი იმპორტი, თან საკმაოდ ძვირია. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ეწ. სწრაფი პიროლიზის მეთოდს, რომელიც მოკლე დროში უზრუნველყოფს ბიონედლეულის გათხვადებას, რის გამოც ადვილი და იაფია ტრანსპორტირება, შენახვა და გამოყენება. გერმანიის ენერგეტიკული სააგენტოს (Deutsche Energie – Agentur GmbH) აზრით, სადღეისოდ არსებული ტექნოლოგიებით შესაძლებელია ბიომასის პიროლიზური საწვავებით გერმანიის სავტომობილო საწვავზე მოთხოვნის 20%-ის დაფარვა, თვითონირებულება კი გერმანიისათვის შეადგენს 0,8 ეკონოს ლიტრზე. თუმცა ძალზე დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებში ბიომასის მოყვანის თავისებურებებზე, კერძოდ, საქართველოს ნიადაგურ–კლიმატურ პირობებში შესაძლებელია წელიწადში რამოდენიმე მოსავლის მიღება მაღალი ცხიმოვნების შენარჩუნებით, რაც მნიშვნელოვანად იმოქმედებს თვითონირებულებაზე. დიდ ბრიტანეთში 2007 წლიდან მოქმედებს აღწარმოებადი საწვავების საგანტო, რომლის გაანგარიშებით უკეთესია ბიოსაწვავის წილის თანდათანობითი გაზრდა, კერძოდ 0,5% წელიწადში.

ბიოსაწვავების ძირითადი ნაკლია მისი არამდგრადობა (ჩვეულებრივ, 3 თვემდე), თუმცა პიროლიზური მეთოდით მიღების შემთხვევაში მეწარმეთა განცხადებით მათ მიერ მიღებული ბიოდიზელის მდგრადობა არ ჩამოუვარდება ნავთობური დიზელის მახასიათებლებს. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში საქართველოს სავტომობილო საწვავის ბაზაზე ლიდერობდა ბერზინი, ხოლო დიზელის საწვავი ყოველთვის შედარებით მცირე რაოდენობით გამოიყენებოდა. ამჟამად, რამდენიმე წელია დიზელის საწვავის იმპორტმა და შესაბამისად, მოხმარებამ გადააჭარბა ბერზინის გამოყენებულ რაოდენობას და ეს ტენდენცია საკმაოდ მნიშვნელოვანია. დიზელის საწვავის მზარდ მოხმარებას უკავშირებენ სატვირთო და საამშენებლო ტრანსპორტის პარკის განახლებას, როდესაც სულ უფრო მეტად გამოიყენება დიდი ტვირთმზიდავები, ასევე გარკვეულწილად ხდება იმ მსუბუქი ავტომობილების, განსაკუთრებით კი ჯიპების რაოდენობის ზრდა, რომელიც მოხმარენ დაზელის საწვავს. სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში დიზელის საწვავი იმპორტირდება წელიწადში 400–450 ათასი ტონა, ხოლო ბერზინი 370–400 ათას ტონამდე, ასევე ნავთი 52 000 ტონამდე. წარმოდგენილი წინადაღება საქართველოში ბიოსაწვავების წარმოების შესახებ მთლიანად იქნება ორიენტირებული ქვეყნის შიდა სამომხმარებლო ბაზრის უკეთ დაექმაყოფილებისათვის. ამასთან ერთად, ბიოდიზელის გამოყენების ეკოლოგიური მახასიათებლები შედარებით პოზიტიურია და ხელს უწყობს გარემოს დაბიძნეულების მინიმიზაციის პროცესს. ასეთი საწვავების ნედლეული მზადება ადგილობრივ პირობებში და არ არის დამოკიდებული იმპორტზე, ამ პროდუქციის დამზადება და მოხმარებაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას.

ბიომასის საწვავად გარდასაქმნელად ყველაზე პერსპექტიულია რეგულირებადი თერმული დაშლის პროცესი. პიროლიზის ვარიანტებია: ნელი (გახურების სიჩქარე $< 10^{\circ}\text{C}$ /სთ, ტემპერატურა 400–600°C, ნაწილაკების ზომა 5–50მმ, საბოლოო პროდუქტი – ნახშირბადის ნარჩენი, გაზი, ნავთობი); სწრაფი (გახურების სიჩქარე $< 10\text{--}2000^{\circ}\text{C}$ /სთ, ტემპერატურა 500–650°C, ნაწილაკების ზომა $< 1\text{მმ}$, საბოლოო პროდუქტი – 75% ზეთი, 12% ნახშირბადის ნარჩენი, 13% გაზი) და ფლეშ–პიროლიზი (გახურების სიჩქარე $< 10000^{\circ}\text{C}$ /სთ, ტემპერატურა 650–1000°C, ნაწილაკების ზომა $< 0,2\text{მმ}$, საბოლოო პროდუქტი–ბიოზეთი, გაზი). პრაქტიკულად იყენებენ სწრაფ პიროლიზს, რომლის განხორციელებისათვის აუცილებელია ბიომასის წინასწარი დაწვრილმანება $< 1\text{მმ}$. ამ შემთხვევაში სწრაფად მიღება თხევადი პროდუქტი მაღალი გამოსავლით, ასევე მნიშვნელოვანია ტემპერატურის კონტროლი (500°C ორთქლის ფაზაში). პიროლიზის ორთქლის რეაქტორში დაყოვნება არ უნდა აღმატებოდეს 1 სეკუნდს და მოხდეს სწრაფი გაცივება [4,5].



სწრაფი პიროლიზის ტექნოლოგიური სქემა

ფლეშ–პიროლიზი თხოულობს უფრო მაღალ ტემპერატურას და მიღებული სითხე არ შეიძლება იქნას უშუალოდ გამოყენებული ძრავის საწვავად, მითუმეტეს თუ პროდუქტს აქვს მაღალი მჟავიანობა.

მეორე თაობის ბიოსაწვავის მისაღებად პიროლიზის ტექნოლოგია უზრუნველყოფს ბიოსაწვავის მიღებას ისეთი ბიომასიდან, რომელიც უშუალოდ არ შეიძლება იქნას გამოყენებული საკვები პროდუქტების დამზადების დროს. ასეთი ბიომასა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ ბიოსაწვავის მიღებისათვის. ის როგორც წესი, შეიცავს ცილებისა და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების დაბალ კონცენტრაციას და არ არის გამოსაყენებელი საკვებად. პიროლიზის პროდუქტებიდან მიღებული გაზი შეიძლება გამოყენებულ იქნას პიროლიზის პროცესის ხელშესაწყობად. ამ გაზის თბოუნარიანობა 13–15 მჯ/კგ, რაც 2–ჯერ ნაკლებია ბუნებრივი გაზის თბოუნარიანობაზე, ასე

რომ, პიროლიზის დროს წარმოქმნილი გაზი სასარგებლო პროდუქტია. თუ პიროლიზის გაზები სწრაფად გაციდება, მიღება მუქი ყავისფერი სითხე – ბიოზეთი, რომელიც წარმოადგენს მე-2 თაობის ბიოსაწვავების დამზადების წყაროს. ბიოზეთის თბოუნარიანობა ჩვეულებრივ 20–მჯ/კგ-ია, რაც 2–ჯერ ნაკლებია ბენზინზე (44 მჯ/კგ) და დიზელზე (42 მჯ/კგ). დადგენილია, რომ ეს ზეთი გადამუშავების გარეშე შეიძლება პირდაპირ გამოიყენოთ სამრეწველო საწვავებად.

სწრაფი პიროლიზის ბიოსაწვავის მიღების მოწყობილობა მზადდება ევროპის მრავალი ფირმის მიერ. საინტერესო Bio Oil Exploitation NV ფირმის (ბელგია) სწრაფი პიროლიზის მოწყობილობა წარმადობით 2 ტ/სთ, რომელიც ღირს 2 მლნ ევრო. გერმანული ფირმებიდან უკრადლებას იპყრობს Lurgi, Primozone, BDI-BioEnergy International AG და ბევრი სხვა. აღსანიშნავია, რომ ავსტრიაშიც იგივე ფირმები საქმიანობენ.

ევროპის ქვეყნებში (საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, შვედეთი, ნიდერლანდები) იგი გამოიყენება სხვადასხვა მიზნებისათვის. ზეთის წარმოების თანამდე პროდუქტები გამოიყენება მეცხოველეობაში მცენარეული საკვების მისაღებად, ხოლო ღეროებიდან მზადდება ფუნჯები და შესაფუთი მასალები. *Camelina Sativa* მოსავლიანობა გაცილებით მეტია რაფსის მოსავლიანობაზე. მას თესლის მაღალი მოსავლიანობა აქვს (2,5ტ/ჰა), დიდი მოცულობით შეიცავს აშრობად ზეთებს (36–40%) და ცილებს (25–30%). ბიოზიზელის მისაღებად *Camelina Sativa* ძალზედ პერსპექტიულია იმის გამო, რომ დიდი რაოდენობით შეიცავს გრძელჯაჭვიან ცხიმის მჟავებს (ჯამურად 17–24%), რომლებიც ხასიათდებიან წვის მაღალი ტემპერატურით.

გერმანიაში ენერგეტიკული მცენარეებისათვის გამოიყენება 295 000 ჰა (18% აღწარმოებადი რესურსების ფართობიდან, რომელიც შეადგენს 1 561 000 ჰა, რაც თავის მხრივ მთლიანი ფართობის 0,8%-ია). პიროლიზის პროდუქტების შემადგენლობაში წარმოდგენილია რამდენიმე ასეული ქიმიური ნივთიერება. სულ უფრო მეტი უკრადლება ექცევა როგორც ინდიდუალურ, ასევე ჯგუფური ქიმიური ნაერთების გამოყოფას პიროლიზის პროდუქტებიდან. შესაძლოა ასეთი პროდუქტების გამოყოფა უფრო ხელსაყრელი გახდეს მცირე კონცენტრაციების დროსაც. ამ შემთხვევაში საჭიროა ინტეგრალური მიღვომა.

სწრაფი პიროლიზის მეთოდის გაუმჯობესებაზე მუშაობს სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციები. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ევროკომისია აფინანსებს პიროლიზური ქსელის სამუშაოებს Pyrolysis Network (PyNe), რომელიც აერთიანებს 15 ევროპულ ქვეყანას (ასევე აშშ და კანადა) სწრაფი პიროლიზის კვლევების დარგში. გამოიცემა რეგულარულად საკუთარი ჟურნალი, რაც ხელს უწყობს წევრი ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას.

სწრაფი პიროლიზი შესაძლებლობას იძლევა ბიომასა გარდაიქმნას სითხედ, რომელიც შედარებით ადვილად და იაფად ტრანსპორტირდება (ასევე მოხდეს მისი შენახვა და გამოყენება) ვიდრე თვითონ ბიომასა. პიროლიზის პროცესი ენერგეტიკულად თვითდაკმაყოფილებიდა, რადგან აირადი და მყარი პროდუქტების გამოყენება იძლევა სითბოს, რაც აუცილებელია თვითონ პროცესისა და ბიომასის გასაშრობად.

სწრაფი პიროლიზის პროცესს თან ახლავს ტექნიკური პრობლემებიც:

- ნედლეულის გაშრობა, რაც საკმაოდ რთულია;
- ბიომასის ნაწილაკების ზომა. ის უნდა იყოს საკმაოდ მცირე რაც ძვირია;
- წინასწარი დამუშავება. პროდუქტების გამოსავლის ასამაღლებლად გამოიყენება მჟავური გარეცხვა;

– რეაქტორის საუკეთესო კონსტრუქცია ჯერაც არ არის დადგენილი;

– გახურების ხერხი: ეს განისაზღვრება რეაქტორების კონსტრუქციით;

– თბოგადაცემა. მყარი სხეული – მყარი სხეულის კონტაქტის გამოყენება, რაც უფრო ღვეპტურია;

– რეაქტორის ტემპერატურა. ყველაზე მაღალი თხევადი ნაწილისა არის 500–520°C-ზე;

– ნახშირის ნივთიერების გამოყოფა: რაღაც რაოდენობა ასეთი ნივთიერებებისა ციკლონის მეშვეობით გადადის სითხეში და მისი გამოყოფა საკმაოდ ძნელია;

– სითხის შეგროვება. ჩვეულებრივ გამოიყენება ჩაქრობისა და გაციებული თხევადი პროდუქტის კონტაქტი და საჭიროა დანადგარის ხელსაყრელი კონსტრუქცია.

სწრაფი პიროლიზის ტექნოლოგიები შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად: პიროლიზი მდუღარე ფენაში, აბლაციური პიროლიზი, პიროლიზი ცირკულაციით, პიროლიზი 2 რეაქტორში და

პიროლიზი ნაკადში. ყველაზე კარგი კომერციული შედეგები მიღებულია 2 რეაქტორიან მდუღარე ფენის დანადგარებზე. საინტერესოა აბლაციური ფირფიტრებიანი რეაქტორის გამოყენება. ამჟამად იგი ინტენსიური კვლევის საგანია.

აბლაციურ პიროლიზის შედეგებით სხვა სახეებთან აქვს ორი თავისებურება: ბიომასის ნაწილაკებს შორის მაღალი მოძრაობის სიჩქარე რეაქციების გაზრდებულ ზედაპირთან და ნაწილაკებთან მაღალი წნევა, რასაც მივყავართ აბლაციის მაღალ სიჩქარესთან. აბლაციის ეფექტი მიღწევა 4 ასიმეტრიულად განლაგებული ნიჩბის დახმარებით, რომლებიც მოძრაობენ 200 ბრუნი/წუთში სიჩქარით. ამ ბრუნვადი ნიჩბის გამოყენება საკმაოდ ეფექტურია აბლაციის მისაღწევად. ამჟამინდელი რეაქტორები შედგება მბრუნავი კონუსისგან, რომლის შიგნით მოთავსებულია უძრავი კონუსი. სწრაფი პიროლიზის პროცესი მიმდინარეობს კონუსებს შორის არსებულ სივრცეში. კონუსის ქვედა ნაწილი მოთავსებულია მდუღარე ფენაში, რომელიც ფორმირებულია ქვიშის ნაწილაკებისა და აზოტის ნაკადით. რიგ შემთხვევაში კონუსის ქვედა ნაწილში არის დიდი ნახვრეტები, რომლის მეშვეობითაც ქვიშის ნაწილაკები შეიწოვება კონუსში გაიშვათების გამო, რომელიც წარმოიქმნება ბრუნვისას.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის ერთი აღწერილი ვარიანტი, თუმცა მიმდინარეობს საკმაოდ ფართო მასშტაბის სამეცნიერო კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოები უკეთესი კონსტრუქციის რეაქტორების შესაქმნელად. საკმარისია აღინიშნოს, რომ ბოლო 3 წელიწადში გამოქვეყნდა 200-მდე სტატია, მაგრამ ჯერაც არ არის მიღებული კომერციულად გამოყენები მონაცემები [6].

ამდენად, ბევრ ქვეწებში გრძელდება სასურსათო მარცვლეული კულტურების (სიმინდი), შაქრის ლერწმის გამოყენება ბიოდიზელის და ეთანოლის მისაღებად, მაგრამ სამომავლოდ ხანგრძლივი პერიოდისთვის არ შეიძლება იყოს სიცოცხლისუნარიანი [7,8]. ამიტომ მიმდინარეობს ფართო კვლევები, რათა ბიომასიდან მიღებული იქნას წყალბადი, ასევე არის სხვა ვერსიებიც. არსებული ვარიანტები ჯერჯერობით არ არის ეკონომიკურად მისაღები [9-10]. ამჟამად, მაინც ძირითადი ხერხი არის პიროლიზის პროცესების გამოყენება [11]. თუმცა უკვე საკმაოდ ბევრი დანადგარია ამოქმედებული, მაინც ჯერაც დამოკიდებული არიან ნედლი ნავთობის ფასზე, ბიომასის ღირებულებაზე, ადგილობრივ ხარჯებზე და სხვ. თანამედროვე სწრაფი პიროლიზის ტექნოლოგია განიხილება, როგორც ინტეგრირებული პროცესი თხევადი საწვავის მისაღებად [12], მაგრამ პრობლემები ჯერ კიდევ ბევრია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოშიც შესაძლებელია ლაბორატორიულ დონეზე შეიქმნას სწრაფი პიროლიზის რეაქციების მოდელური კონსტრუქციები ინოვაციური მიდგომების გამოყენებით, რისთვისაც საჭირო დაფინანსება ჯერაც არ გამოინახა. ბიომასიდან სითხის მიღების გაზრდა 75%-ზე მაღლა ხელს შეუწყობს ბიოსაწვავის მიღების რენტაბელობის ამაღლებას.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. S. Friedrich. A world Wide Review of the Commercial Production of Biodiesel – Institute for Technologyand Nachhaltiges Produce Management – Vien, 2004;
2. Biofuels coming online : international biofuel use expends: Fast Worldwide, USDA Fas, july, 2006;
3. Biofuels 2002: GLobal Market Survey. Case studies and Forecasts, Multi-client Study, HOUston, TX, October, 2006, 405p;
4. Chiaramonti D., Oasmaa A. Solantausta Y. Power generation using fast pyrolysis liquids from biomass, Renewable and Sustainable Energy Reviews, Elsevier, 11(2007) 1056-1086;
5. Bridgwater, A. V. Fast Pyrolysis of Biomass: A Handbook; CRL Press:Newbury, UK, 2005;
6. M. I. Jahirul, M. G. Rasul, A. A. Chowdhury, N. Ashwath. Biofuels Production through Biomass Pyrolysis - Technological Review, Energies 2012, 5, 4952-5001;
7. Lora, E.S.; Andrade, R.V. Biomass as energy source in Brazil. Renew. Sustain. Energy Rev. 2009, 13, 777–788;
8. Demirbas, M.F.; Balat, M.; Balat, H. Potential contribution of biomass to the sustainable energy development. Energy Convers. Manag. 2009, 50, 1746–1760;
9. Yu, S.; Tao, J. Simulation-based life cycle assessment of energy efficiency of biomass-based ethanol fuel from different feedstocks in China. Energy 2009, 34,476–484;

10. Saxena, R.C.; Adhikari, D.K.; Goyal, H.B. Biomass-based energy fuel through biochemical routes. *Renew. Sustain. Energy Rev.* 2009, 13, 167–178;
11. Hill, J. Environmental costs and benefits of transportation biofuel production from food- and lignocelluloses-based energy crops. *Agron. Sustain. Devel.* 2007, 27, 1–12;
12. Bridgwater, A.V. Review of fast pyrolysis of biomass and product upgrading. *Biomass Bioenergy* 2012, 38, 68–94.

SELECTION OF MODERN TECHNOLOGIES OF OBTAINING FUEL FROM BIOMASS CONSIDERING REALITIES OF GEORGIA

A.Dolidze, I.Mikadze, T.Uchaneishvili, N.Kavtaradze, L.Dolidze, N.Nonikashvili
*Petre Melikishvili Institue of Physical and Organic Chemistry
at Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

SUMMARY

Continuous increase of a share of biofuel is a priority of the European Union and other developed countries. Unlike biofuel of the first generation derived from food plants, beginning of production of the second generation biofuels from certain weed species using uncultivated, less fertile soils is suggested. The main shortcoming of biofuels is its instability (up to 3 months) though in case of application of methods of pyrolysis, stability of the biodiesel doesn't concede to characteristics of the fuel diesel. For a fast pyrolysis preliminary crushing (<1 mm) of the biomass is necessary, liquid product is obtained in a high yield, the temperature control is also important (500 °C in the vapor phase). Staying of biomass in a steam phase shouldn't exceed 1 sec. and further fast cooling is necessary.

ПОДБОР СОВРЕМЕННЫХ ТЕХНОЛОГИЙ ПОЛУЧЕНИЯ ТОПЛИВА ИЗ БИОМАССЫ С УЧЕТОМ РЕАЛЬНОСТИ ГРУЗИИ

А.В.Долидзе, И.И.Микадзе, Т.Г.Учанеишвили, Н.А.Кавтарадзе, Л.А.Долидзе, Н.У.Ноникашвили
*Институт физической и органической химии им. П.Г. Меликишвили
Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили*

РЕЗЮМЕ

Постоянное повышение доли биотоплива является приоритетом Евросоюза и других развитых стран. В отличие от биотоплива первого поколения, получаемого из пищевых растений, предлагается начать производство биогорючего второго поколения из определенных видов сорняков с использованием неосвоенных, менее плодородных почв. Основным недостатком биотоплива является его неустойчивость (до 3 месяцев), хотя в случае применения пиролизного метода устойчивость полученного биодизеля не уступает по характеристикам нефтяному дизельному топливу. Для быстрого пиролиза необходимо предварительное измельчение биомассы (<1 мм) и жидкий продукт получают с высоким выходом, также важно контролировать температуру (500°C в паровой фазе). Пребывание биомассы в паровой фазе не должно превышать 1 сек и необходимо последующее быстрое охлаждение.

ქიმიური ეკოლოგია

მეგაკოლისის ატმოსფერული დაბინძურების ძირითადი ზეაროები და შემცირების რეკომენდაციების შემუშავება

ავთანდილ დოლიძე, ირმა მიქაელი, ნინო ქავთარაძე, ნინო ნონიკაშვილი,
ლიპარიტ დოლიძე, ქეთევან კორაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმის ინსტიტუტი

ატმოსფერის დაბინძურება ნებატიურად მოქმედებს ნიადაგსა და ცოცხალ ორგანიზმებზე. მრეწველობისა და ტრანსპორტის სწრაფმა განვითარებამ ისე გაზარდა გამონაბოლქვის მოცულობა და ტოქსიურობა, რომ ატმოსფეროში ბუნებრივი გაბნევა ვეღარ უზრუნველყოფს მისაღები კონცენტრაციის დონეს. ყველაზე ინტენსიურად ატმოსფეროს დაბინძურება ხდება მეგაპოლისებსა და მსხვილ ქალაქებში. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში ავტოტრანსპორტის წალი ჩვეულებრივ შეადგენს 40-55%, ზოგ შემთხვევაში კი ავტოტრანსპორტით გამოწვეული დაბინძურება აღწევს 90%-ზე მეტს. საქართველოს სტატისტიკის სააგენტოს ვერსიით თბილისში ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვებით ატმოსფერული დაბინძურება 9%-ს შეადგენს. ქალაქის ავტოტრანსპორტის მავნე გამონაბოლქვის შესამცირებლად შემუშავებულია აუცილებელი ღონისძიებების რეკომენდაციები.

ატმოსფერული ჰაერი წარმოადგენს გაზებისა და აეროზოლების ნარევს, რომელიც სიცოცხლის უზრუნველყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი წყაროა. დედამიწის ზედაპირთან ატმოსფეროს დაბინძურება ადამიანისა და გარემოს ზემოქმედების მუდმივმომქმედი ფაქტორია. იგი აქტიურად ურთიერთქმედებს ბიოსფეროს, ჰიდროსფეროსა და ლითოსფეროს კომპონენტებთან. ატმოსფერო ძირითადად ზემოქმედებს ნალექების - წვიმისა და თოვლის, ასევე ნაწილობრივ ნისლის სახით. აქდან გამომდინარე, ზედაპირული და გრუნტის წყლების ქიმიური შემადგენლობა დამოკიდებულია ატმოსფეროს მდგომარეობაზე. ატმოსფეროს დაბინძურება ნებატიურად მოქმედებს ნიადაგსა და მცენარეებზე, ირლვევა ფოტოსინთეზის პროცესი, რაც ანელებს ზრდას და იწვევს მცენარის დაღუპვას. მჟავურ ატმოსფერულ ნალექებს განიხილავენ როგორც მთის ქანების გამოფიტვისა და გრუნტის ხარისხის დაქვეითების მიზეზს, ასევე იგი აზიანებს დედამიწის ზედაპირზე არსებულ ობიექტებს, მათ შორის კულტურულ ძეგლებსა და კავშირგაბმულობას. ატმოსფერული დაბინძურება იწვევს ფილტვის, ყელისა და კანის კიბოს, ცენტრალური ნერვული სისტემის ამლილობას, ალერგიულ და რესპირატორულ დაავადებებს, დეფექტებს ახალშობილებში და მთელ რიგ სხვა დაავადებებს.

ურბანიზაციის და ინდუსტრიალიზაციის პროცესების სწრაფი ტემპებით განვითარების პარალელურად მთელ მსოფლიოში გაიზარდა ენერგეტიკული სიმძლავეების და წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, რამაც ურბანულ ცენტრებში გამოიწვია მრავალი გარემოსდაცვითი, მათ შორის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემა. მსოფლიოს მსხვილ ქალაქებში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები, რომლებიც მნიშვნელოვანად აჭარბებს დასაშვებ ნორმებს სერიოზული რისკის ქვეშ აყნებს მოსახლეობის ჯანმრთელობას [1-3].

დაბინძურების ბუნებრივი წყაროები: ვულკანური ამოფრქვევა, მტკრიანი ქარიშხლები, ტყის ხანძრები, კოსმოსური წარმოშობის მტკვერი, ზღვის მარილის ნაწილაკები, მცენარეული, ცხოველური და მიკრობიოლოგიური წარმოშობის პროდუქტები. ასეთი დაბინძურება განიხილება, როგორც ფონური, რომელიც დროთა განმავლობაში მცირედ იცვლება [4].

ანთოპოგენული, ანუ ადამიანის სამურნეო საქმიანობით განპირობებული დაბინძურების წყაროებია: წიაღისეული საწვავის (ქვანახშირი, ნავთობი და სხვ) დაწვა, რომელსაც თან ერთვის 5 მილიარდი ტონა ნახშირორეანგის გამოყოფა წელიწადში; თბისადგურების მუშაობა, სადაც მაღალგოგირდიანი ქვანახშირის დაწვის შედეგად მიღებული გოგირდის ორჟანგი წარმოქმნის მჟავე წვიმებს; საწარმოო საქმიანობა, რის შედეგადაც ხდება ჰაერში შეწინილი ნაწილაკების და სხვადასხვა გაზების გამოფრქვევა; საწვავის დაწვა ქვაბებში, რომლებიც წარმოქმნის სმოგის გამომწვევა აზოტის ოქსიდებს; მაღალენერგეტიკული დანადგარების სავენტილაციო გამოფრქვევები [5].

ყველაზე ინტენსიურად ატმოსფერო ბინბურდება მეგაპოლისებსა და მსხვილ ქალაქებში, სატრანსპორტო საშუალებების, საქვაბებების, თბოსადგურების დიდი რაოდენობის გამო. ისინი მუშაობენ

ბენზინზე, დიზელზე, ქვანახშირზე, მაზუთზე, ბუნებრივ აირზე. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში ავტოტრანსპორტის წილი ჩვეულებრივ შეადგენს 40-55%, ზოგ შემთხვევაში კი ქალაქებში ამ ავტოტრანსპორტით გამოწვეული დაბინძურება აღწევს 90%-ზე მეტს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით თბილისში ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვებით ატმოსფერული დაბინძურება 94%-ს შეადგენს [6].

სადღესოდ, დედამიწისინა ატმოსფეროში მრავალი ათეული ათასი ტონა დამაბინძურებელი ნივთიერებაა გაფინტული. მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდასთან ერთად წარმოიქმნება ახალი ქიმიური ნივთიერებები, მათ შორის მაღალტოქსიკურებიც. გარდა მრავალტონაჟიანი აზოტის, გოგირდის, ნახშირბადის ოქსიდებისა, მტვერისა და ჭვარტლისა, გამოჩნდნენ როგორც ლიგანული, ქლორინგანული და ნიტრონეროტბი, ტექნოგენური რადიონუკლიდები, ვირუსები და მიკრობები. ყველაზე სახიფათოა ჰაერში გავრცელებული დიოქსინ-ფურანები, ბენზაპირენი, ფენოლები, ფორმალდეჟიდი, გოგირდნახშირბადი და ა.შ. [7].

პიროვნეული წარმოშობის ძირითადი მავნე მინარევებია:

1. CO – ნახშირბადის (II) ოქსიდი, რომელიც მიიღება არასრული წვის დროს (მხუთავი გაზი). იგი აქტიურად ურთიერთქმედებს ატმოსფეროს სხვადასხვა კომპონენტებთან. CO უკავშირდება სისხლის ჰემოგლობინს, რომელიც ჩვეულებრივ შედის რეაქციაში ჟანგბადთან, ამიტომ ხდება სისხლის ჰემოგლობის ბლოკირება ნახშირბადის (II) ოქსიდით და შეიძლება ადამიანი დაიღუპოს ჟანგბადის უკარისობით;
2. SO₂ – გოგირდოვანი ანჰიდრიდი. გოგირდშემცველი წიაღისეული საწვავის წვისას მასში არსებული გოგირდი იუანგება და გარდაიქმნება გოგირდის დიოქსიდად. იგი იწვევს ნიადაგისა და წყლების მჟავიანობის გაზრდას, უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;
3. SO₃ – გოგირდის ანჰიდრიდი. საბოლოო პროდუქტს ატმოსფეროში გარდაქმნის შედეგად წარმოადეგნის გოგირდმჟავას აეროზოლი ან მისი სინარი წვიმის წყალში, რომელიც შეამჟავებს ნიადაგს და აზიანებს სასუნთქ თრგანოებს;
4. გოგირდწყალბადი (H₂S) და გოგირდნახშირბადი (CS₂) ატმოსფეროში ნელ-ნელა იუანგებიან გოგირდის ანჰიდრიდამდე;
5. აზოტის ოქსიდები, ძირითადად NO და NO₂ (N₂O₄), მაღალტოქსიკურია;
6. ფტორის ნაერთები – ისინი ატმოსფეროშია ნატრიუმის ფტორიდის NaF და კალციუმის ფტორიდის CaF სახით, აქვთ ტოქსიკური ეფექტი;
7. ქლორის ნაერთები ატმოსფეროშია ქლორის მოლეკულის და მარილმჟავას ორთქლის სახით.

ატმოსფეროს აეროზოლური დაბინძურება. აეროზოლები შეწონილი ნაწილაკებია და ატმოსფეროს ყველწლილი ასეულობით მილიონი ტონა მყარი და თხევადნაწილაკებიანი აეროზოლები ემატება. აეროზოლებს შეუძლიათ ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ შეამციროს დედამიწის ზედაპირზე 0.1-03°C-ით. აეროზოლების წარმოქმნის მრავალფეროვანი წყაროებია: თბოსადგურები, ცემენტის და სხვა ქარხნები, ნარჩენების დაწვა, ნაგავსაყრელები, აფეთქების სამუშაოები, სამშენებლო მასალების წარმოება და სხვ.

მჟავე წვიმები. ყველა ნალექს აქვს მჟავიანობა, მაგალითად, წვიმის წყლის საშუალო მჟავიანობა არის pH=5-6. ამ მაჩვენებელზე დაბალი pH ანუ მაღალი მჟავიანობა განაპირობებს მჟავე წვიმებს. ატმოსფეროში მოხვედრილი SO₂, ასევე აზოტის ოქსიდები (NO_x) გარდაიქმნებიან წყალთან ერთად მჟავა სინარებში, რომელებიც ამცირებენ წვიმის pH მნიშვნელობას. მჟავე წვიმები ძირითადად განვითარებული მრეწველობის ადგილებშია. მჟავე წვიმები უარყოფითად ზემოქმედებს წყალსატევებზე, რადგან სიმჟავის მომატების გამო იღუპება ფლორა და ფაუნა. წყალმცენარეები იზრდებიან pH 7-9.2 შორის. მჟავიანობის მომატება სპობს მცენარეებს. pH 6-ზე იღუპება მტკნარი წყლის კიბორჩხალები,

ხოლო pH 5.5-ის დროს კი იღუპება სიღრმის ბაქტერიები, რომლებიც შლიან ორგანულ ნივთიერებებს და ფოთლებს, რის შედეგადაც სიღრმეში გროვდება ნაგავი, შემდეგ იღუპება პლანქტონი. როდესაც pH მნიშვნელობა აღწევს 4.5 იღუპება თევზები, ასევე ბაყაყები და მწერების უმრავლესობა. უნდა აღინიშნოს, რომ ნაგვის დაგროვებასთან ერთად მჟავიანობის გაზრდით გაძოიყოფა მთელი რიგი მეტალები და მავნე ნივთიერებები. მჟავე წვიმები ძალზე აზიანებენ ტყეებს, განსაკუთრებით წიწვოვანს. აღარ წარმოებს მათი ბუნებრივი აღდგენა. ასევე მჟავე წყლები აჩანაგებქნ სოფლის მეურნეობას.

სმოგი. სამრეწველო ცენტრებსა და ქალაქებში ატმოსფერულ ჰაერში მიმდინარე გაზების ნარევის როგორი ქიმიური რეაქციების შედეგად (ძირითადად აზოტის ოქსიდები და ნახშირწყალბადები, რომლებიც არიან სავტომობილო ტრანსპორტის გამონაბილქები) მზის სინათლის ზემოქმედებით წარმოიქმნებიან სხვადასხვა ნივთიერებები, მომწამლავი ნისლი, რომელსაც დაერქვა სმოგი. მის წარმოქმნას ხელს უწყობს მეტეოროლოგიური პირობები: უქარობა და უწვიმობა, ასევე ტემპერატურული ინვერსია. სმოგი მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. სმოგის სახეობებია: ლონდონური ტიპის ნესტიანი სმოგი, ალიასკის ტიპის ყინულოვანი სმოგი, რადიაციული სმოგი, ლოს-ანჯელესის ტიპის შშრალი სმოგი, ფოტოქიმიური სმოგი. ამ უკანასკნელის დროს წარმოიქმნება ბევრი ოზონი. სმოგის შემადგენლობაში შედის მხუთავი გაზი (CO), ასევე ოზონი (O₃). მსხვილ ქალაქებში სმოგის დროს ხდება ოზონის შემცველობის მკვეთრი, 10-ჯერ და მეტით ზრდა, რაც ნეგატიურად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

სათბურის ეფექტი მიეკუთვნება გლობალური ეკოლოგიური კრიზისის გამოვლინებას. ატმოსფეროში იზრდება CO₂-ის, მეთანის და სხვა სათბურის გაზების კონცენტრაცია. ამ დროს ირლვევა ატმოსფეროში არსებული რაციონალური ბალანსი. სათბურის გაზები ატმოსფეროში წარმოქმიან ეკრანს, რომელიც აჩერებს ინფრაწითელ სხივებს, შედეგად ხდება ატმოსფეროს კვედა ფენის გახურება. ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი სათბურის გაზებია წყლის ორთქლი და CO₂. CO₂ ბუნებრივი და ხელოვნური გზით ხვდება ატმოსფეროში და განაპირობებს სათბურის ეფექტს. ცნობილია, რომ CO₂-ის არ არსებობს შემთხვევაში ატმოსფეროს ტემპერატურა დედამიწის ზედაპირზე იქნება 7°C-ით მცირე, რაც ძალზე მძიმე პირობებს შექმნის ცხოველებისა და მცენარეების სიცოცხლისათვის. CO₂-ის გამოყოფა სულ უფრო იზრდება საწვავის დაწვის, ასევე ტყეებისა და სტეპების სანდრების გამო, ამასთან ერთად CO₂-ის შთანთქმა ატმოსფეროდან ტყის მცენარეებით და მსოფლიო ოკეანის ფიტოპლანქტონით შემცირდა ტყეების ფართობების შემცირებისა და ფიტოპლანქტონის დაღუპვის გამო. შედეგად, CO₂-ის გამოყოფამ გადამეტა მცენარეების მიერ მის მოხმარებას. CO₂-ის ბუნებრივი მატება ატმოსფეროში 3.5 მილიარდ ტონას შეადგენს წელიწადში. ატმოსფეროში მისი შემცველობის გაზრდა აძლიერებს სათბურის ეფექტს, რადგან CO₂ კარგად ატარებს მზის გრძელტაღლოვან სხივებს დედამიწის ზედაპირისაკენ და ამუხრუჭებს მოკლეტაღლიან გამოსხივებას. ამიტომ, რაც მეტია CO₂ ატმოსფეროში, მით უფრო ნაკლებად გაფანტავს დედამიწა სითბოს და იზრდება დედამიწის ზედაპირზე საშუალო ტემპერატურა. სითბური ეფექტის შექმნაში მონაწილეობებს შემდეგი გაზები: ნახშირბადის დიოქსიდი - ზემოქმედება გლობალურ დათბობაზე 55%, ფრენი 24%, მეთანი CH₄ 15%, აზოტის ოქსიდი N₂O 6%. მეცნიერებმა გამოთვალებს, რომ თუ შენარჩუნდება სათბურის გაზების მატება ატმოსფეროში, დაახლოებით 30 წლის შემდეგ საშუალო წლიური ტემპერატურა აიწევს 1°C-ით, რაც ძალზე მაღალი მნიშვნელობაა.

სავტომობილო ტრანსპორტის გამონაბოლქვი. მეგაპოლისში ყველა წყაროზე მეტად ატმოსფეროს ჰაერს აბინძურებს ავტოტრანსპორტი. საშუალოდ ყოველ მესამე მოქალაქეს აქვს ავტომობილი, უკანასკნელ ათწლეულში თბილისში აღინიშნება ინდივიდუალური სავტომობილო ტრანსპორტის რაოდენობის მკვეთრი ზრდა, რაც ასევე უკავშირდება დამაბინძურებელი ნივთიერებების მოცულობის მკვეთრ გაზრდას. უნდა აღინიშნოს, რომ ავტოტრანსპორტიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ძირითადად განპირობებულია ამორტიზებული საავტომობილო პარკის, გაუმართავი მანქანების არსებობით და დაბალი ხარისხის საწვავის მოხმარებით.

მნიშვნელოვან გავლენას ავტოტრანსპორტის მიერ გამონაბოლქვ მავნე მინარევების რაოდენობაზე ახდენს ტრანსპორტის ცვეთა და წლიურება. სახელმწიფო და ინდივიდუალური ავტოტრანსპორტის ნახევარზე მეტი ექსპლუატაციაშია 8-ზე მეტი წლის განმავლობაში, რაც უდაოდ მოქმედებს ატმოსფეროს დაბინძურებაზე. ბუნებრივია ამაზე გავლენას ახდენს ავტომობილის კონსტრუქციული

არასრულყოფილება, ასევე ავტოსარემონტო ბაზის სისუსტე, ხელოსნების დაბალი კვალიტიკაცია. ჩვეულებრივ, ქალაქებში ატმოსფერული დაბინძურება მაღალია, ხშირი შუქნიშნებისა და ავტოტრანსპორტის მაღალი კონცენტრაციის პირობებში ქალაქის ცენტრში ზოგჯერ დაბინძურება ათვერ და მეტად იზრდება. ამას ემატება მიწისზედა და მიწისქვეშა გადასასვლელების არასაკმარისი რაოდნობა, ქვეითოსიარულეთა და მძლოლების დაბალი საგზაო კულტურა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქის ავტოტრანსპორტის მავნე გამონაბოლქვის შესაძლებლად აუცილებელია:

1. ავტოსაგზაო მშენებლობის განვითარება და მოძრაობის რაციონალური მართვა – ეს როულია, მაგრამ შესაძლებელია;
2. ავტოსაწარმოების, ავტოგასამართი სადგურების, ტექნიკური მომსახურე სადგურების (ავტოსერვისი) ეკოლოგიური მდგომარეობის შემოწმება არანაკლებ წელიწადში 2-ჯერ, მიზანშეწონილია ეკოლოგიური გამოცდილების საფუძველზე შემუშავდეს ბენზინგასამართი სადგურის ტიპობრივი პროექტები ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით; ასევე ავტოსერვისების თანამედროვე ტიპობრივი პროექტის შემუშავება, მინიმალურად აუცილებელი დანადგარების ნომენკლატურით;
3. ავტოტრანსპორტის ეკოლოგიური მდგომარეობის შემოწმება წელიწადში 2-ჯერ;
4. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საქალაქო ტრანსპორტს, რომელიც ჩვეულებრივ მუშაობს შედარებით დაბალხარისხით საწვავზე და ხშირად ექსპლუატაციაშია დადგენილ დროზე მეტი წნის განმავლობაში;
5. სისტემური შემოწმება უნდა უტარდებოდეს ავტოტრანსპორტს გამონაბოლქვის ტოქსიკურობასა და კვამლიანობაზე. ნორმაზე მეტად დაბინძურებული ავტოტრანსპორტის რაოდნობა არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი ავტოპარკის 5-10 %;
6. ეკოზედამზედველობის ორგანიზაცია ცენტრალურ ავტომაგისტრალზე, სადაც გარკვეულ მანძილზე განლაგებულ პუნქტებში შესაძლებელია იქნება ეკოლოგიურად “საეჭვო მაქანების” შემოწმება;
7. ხელსაყრელია გაზურ საწვავზე გადასვლა, რათა გაიზარდოს ასეთი მანქანების წილი 20%-მდე მაინც;
8. საცხოვრებელი ბინების მშენებლობის გადატანა ეკოლოგირად უსაფრთხო გარეუბნებში, ცენტრში უმეტესად საქმიანი აქტივობის განვითარება.

აღნიშნული ღონისძიებების ეფექტურობა აპრობირებულია მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში და ამ მხრივ ჩვენი ქვეყნების ორგანიზაციები უნდა გააქტიურდნენ.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Molina M. J., Molina L.T. Megacities and Atmospheric Pollution. J. of the Air & Waste Manage. Assoc; 2004, 54, 644-680;
2. Konovalov I. B., Beekmann M., Kuznetsova I. N., Glazkova A. A., Vasilieva A. V., Zaripov R. B.. Estimation of the influence that natural fires have on air pollution in the region of Moscow megalopolis based on the combined use of chemical transport model and measurement data. Izvestiya, Atmospheric and Oceanic Physics, 2011, 47, 4, 457-467;
3. Sources of Air Pollution. <http://www.nature.nps.gov/air/AQBasics/sources.cfm>;
4. Particulate matter from natural sources and related reporting under the EU Air Quality Directive in 2008 and 2009. European Environment Agency. EEA Technical report No 10/2012;
5. Beychok M. Anthropogenic and natural air pollution emissions, 2011, <http://www.eoearth.org/>;

6. Богдановский Г.А. Химическая экология. М.Ж Изд.МГУ, 1994, 274;
7. Беспамятов Г.П., Кротов Ю.А, Предельно допустимые концентрации химических веществ в окружающей среде. Справочник. Л.: Химия, 1985, 528.

THE MAIN SOURCES OF ATMOSPHERIC POLLUTION OF THE MEGAPOLIS AND DEVELOPMENT OF RECOMMENDATIONS FOR ITS REDUCING

A.Dolidze, I.Mikadze, N.Kavtaradze, N.Nonikashvili, L.Dolidze, K.Kordzakhia
Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry
at Iv. Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Pollution of the atmosphere negatively influences the soil and live organisms. Rapid and wide development of industry and transport caused an increase in the volume and toxicity of the emissions into the atmosphere, therefore the natural scattering is unable to provide an acceptable level of concentration. The most intensive pollution of the atmosphere is in megalopolises and in big cities. In air pollution the share of transport facilities as usual is 40-55%, and in some cases, pollution caused by means of transport exceeds 90%. According to data of Statistical Agency of Georgia, In Tbilisi the share of automobile exhausts in the general pollution of the atmosphere is 94%. Necessary recommendations for reduction of harmful emissions of city transport are elaborated.

ОСНОВНЫЕ ИСТОЧНИКИ ЗАГРЯЗНЕНИЯ АТМОСФЕРЫ МЕГАПОЛИСА И РАЗРАБОТКА РЕКОМЕНДАЦИЙ ДЛЯ ЕГО СНИЖЕНИЯ

А.В.Долидзе, И.И.Микадзе, Н.А.Кавтарадзе, Н.У.Ноникашвили, Л.А.Долидзе, К.Т.Кордзахия
Институт физической и органической химии им. П.Г. Меликишвили
Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили

РЕЗЮМЕ

Загрязнение атмосферы отрицательно влияет на почву и живые организмы. Быстрое и широкое развитие промышленности и транспорта вызвало увеличение объема и токсичности выбросов в атмосферу, поэтому природное рассеяние не в состоянии обеспечить приемлемый уровень концентрации. Наиболее интенсивно загрязнение атмосферы в мегаполисах и в больших городах. В загрязнение атмосферы доля транспортных средств как правило составляет 40-55%, а в некоторых случаях загрязнение вызванное автотранспортом превышает 90%. По данным статистического агентства Грузии доля автомобильных выхлопов в Тбилиси, в общем загрязнении атмосферы составляет 94%. Разработаны необходимые рекомендации для уменьшения вредных выбросов городского транспорта.

ექიმური ეპოლოგია**მიმღები მეტალუგით დაბიცურებული ნიადაგის და ფყლის გასუფთავების
კომანდულის ური მეტოდები**

ირმა მიქაელი, ლია სამხარაძე, ნელი ყალაბეგაშვილი, გულნარა ბალარჯიშვილი, დალი იოსელიანი,
ნინო ნონიკაშვილი, ავთანდილ დოლიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქმითის ინსტიტუტი

მაღნეულში არსებულ ნარჩენებში ძირითადად წარმოდგენილია დარიშხანი, კადმიუმი, სპილენძი, ქრომი, თუთია, ტყვია, ვერცხლისწყალი და სხვ. ისინი დიდი ხნით რჩებან ეკოსისტემებში და აქვთ დაგროვების უნარი. მძიმე მეტალების გასუფთავების მეთოდებიდან ძირითად გამოიყენება საიმედოდ გამოცდილი მეთოდები: დაბინძურებული ნიადაგის ფიზიკური მოცილება, ადგილზე შებოჭვა და ფიტორემედიაცია. საქართველოს პირობებისათვის ღირებულებისა და გასუფთავების დროის მიხდვით ფენეტურია ადგილზე ფიქსაცია, რა დროსაც გამოიყენება ადგილობრივი ბუნებრივი ნედლეული და მის საფუძვლზე დამზადებული პრეპარატები.

მსოფლიოს მრავალ ქვეყნაში მოიპოვება მძიმე მეტალები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა საწარმოო პროცესებში. ამჟამად მრეწველობამ მიაღწია ისეთ მასშტაბებს, როცა წარმოქმნილი ნარჩენები აღარ ექვემდებარება გარემოში ბუნებრივი გზით უტილიზაციას. აღნიშნული ნარჩენები აბინძურებენ ნიადაგის ზედაპირს და გრუნტის წყლებს, არ განიცდიან დეგრადაციას, აკუმულირდებიან მიკროორგანიზმებისა და მცენარეების მასაში. აქედან ხვდებიან ადამიანთა და ცხოველთა ორგანიზმი და უარყოფითად მოქმედებენ საიცოცხლო ფუნქციებზე [1].

მძიმე მეტალებით გარემოს დაბინძურება გლობალური პრობლემაა [2]. ზოგიერთი მძიმე მეტალი მცირე რაოდენობით საიცოცხლოდ აუცილებელიცაა ადამიანის ჯანმრთელობისათვის, მაგალითად, სპილენძი, ქრომი, თუთია. თუმცა, მათი ზედმეტი დოზა ძლიერ ტოქსიკურია [3]. მათნეულის არსებულ ნარჩენებში ძირითადად წარმოდგენილია დარიშხანი, კადმიუმი, ქრომი, სპილენძი, თუთია, ვერცხლისწყალი, ტყვია და სხვ. ადამიანისათვის ლეტალური დოზის მიხდვით განსაკუთრებით საშიშია დარიშხანი, ტყვია, ვერცხლისწყალი და კადმიუმი. ეს მეტალები თუთიასთან ერთად მიეკუთხნება სახიფათო ნივთიერებების I კლასს, ხოლო სპილენძი – II კლასს. დაბინძურებულ წყალშიც აღმოჩენილია იგივე მძიმე მეტალები. მძიმე მეტალები დადი ხნით რჩებან ეკოსისტემებში, რადგან არ განიცდიან დეგრადაციას და აქვთ ბიოლოგიურ ჯაჭვები დაგროვების უნარი [4]. მათი მაღალი კონცენტრაციით დაბინძურებული სამრეწველო და საყოფაცხოვრებო წყლის გამოიყენება დამანგრეველია ადამიანის ჯანმრთელობისათვის [5].

მსოფლიოში სულ უფრო მატულობს კვლევები მძიმე მეტალებისაგან ნიადაგისა და წყლის გასუფთავების მეთოდებისა და ტექნოლოგიების ეფექტური მოდელების შესაქმნელად. ბოლო პერიოდში უპირატესობა ენიჭება ეკოსისტემების შესაძლებლობების გამოყენებით გარემოს დამზოგავი ინოვაციური მეთოდების მოდელების შემუშვებელისა და განხორციელებას. აშშ-ში შექმნილია სახიფათო ნივთიერებების კვლევის 5 რეგიონული ცენტრი გეოგრაფიული, ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით. ამ ცენტრებში ხდება გამოცდილი და სარწმუნო ტექნოლოგიების ტრანსფერი და კადრების მომზადება, რაც მიმართულია სახიფათო ნივთიერებების ოპტიმალურ მართვაზე. ამავე დროს მიმდინარეობს თანამშრომლობა და ინტეგრირება სხვადასხვა სამეცნიერო პროგრამებთან, ასევე სპეციალისტებთან და საქმიან წრებთან სახიფათო ნივთიერებების მართვის პრაქტიკული პრობლემების გადასაწყვეტად. ამ ცენტრების მიერ რეკომენდებულია მძიმე მეტალების ნარჩენებისაგან გასუფთავების 3 მეთოდი: ექსკავაცია (დაბინძურებული ნიადაგის ფიზიკური მოცილება), ადგილზე შებოჭვა (*in situ* ფიქსაცია) და ფიტორემედიაცია.

დაბინძურებული ნიადაგის ფიზიკური მოცილება და გადატანა სხვა ადგილას დროებითი ღონისძიებაა და საბოლოოდ მაინც საჭირო ხდება ახალ ადგილზე გასუფთავება [6].

In situ ფიქსაცია გულისხმობს დაბინძურების ადგილზე დატოვებას და დამუშავებას, რათა აღმოიფხვრას ნებარტიური ზემოქმედება ადამიანსა და გარემოზე [7]. ამ მეთოდის უპირატესობაა მძიმე მეტალების ფიქსაცია იმავე ადგილზე გადატანის გარეშე, როდესაც შესაძლებელია წარმოქმნას სასარგებლო მინერალები. ამავე დროს მძიმე მეტალების ნარჩენები ნიადაგში გარემოსათვის ნაკლებად სახიფათო ფორმითაა წარმოდგენილი. მსოფლიო პრაქტიკაში მძიმე მეტალების ფიქსაციისათვის იყენებენ ფორმვან სასუქებს. მათი დამატებით წარმოქმნება უხსნადი მინერალები. აქედან გამომდინარე, აღარ ხდება ნარჩენების გასნა წყალში და, შესაბამისად, მათი მოხვედრა მდინარეების, გრუნტის წყლებში და აქედან ადამიანის საიცოცხლო ციკლში. მძიმე მეტალების იონების იმობილისათვის ახდენენ მყარი ნივთიერებებით. სინთეზური და ბუნებრივი ფილტრატები საკმაოდ ეფექტურად ახდენენ მძიმე მეტალების იონების იმობილიზაციას, თუმცა, ამასთან

ერთად, მაღალი ღირებულებისაა და იწვევს ბუნებრივი რესურსების არაგანახლებად ხარჯებს. მკვლევარები ეძებენ ახალ იმობილიზატორებს, რომლებიც შეზღუდავენ მძიმე მეტალების მოძრაობას. ამ მხრივ შემოთავაზებულია მეტალის ოქსიდების, პირქვების და სულფიდების გამოყენება. ძალზე ძნელია ისეთი ნივთიერების ან მასალის შერჩევა, რომელიც ერთნაირად ეფექტურად იმოქმედებს სხვადასხვა მძიმე მეტალზე. აქედან გამომდინარე, სულ უფრო ინტენსურად ხდება ახალი შემთხვევი მასალების ძიება. დაბინძურებული ნიადაგის რემედიაციის მიზნით გამოიყენეს ტორფისაგან გამოყოფილი და რკინის იონებით მოდიფიცირებული ჰუმინური მჟავები და მაგნიუმამონიუმის ფოსფატები, რომლებიც მიიღება ჩამდინარე წყლების ამონიუმის იონებისაგან ტექნოლოგიური გაწმენდის შედეგად [8]. წარმოდგნილი ფიქსატორები მაღალი ეფექტით ადსორბირებენ მძიმე მეტალების იონებს, არ არიან ტოქსიკურები და არ წარმოადგენენ ნიადაგისათვის ბალასტს. ზოგ შემთხვევაში მათი მოქმედების ეფექტი ძლიერდება ერთობლივი გამოყენების შედეგად. ნიადაგის გასუფთავებისათვის ერთ-ერთი მეთოდით მოწოდებულია თხევად ფრაქციაში მძიმე მეტალების მჟავური გამოტუტება გოგირდოვანი მჟავით. შემდეგ ხდება გამოლექვა, ფილტრაცია და სხვადასხვა მიკრობული პროცესები [9]. ზოგ შემთხვევაში წყლის რეკულტივაციისათვის იყენებენ დალექვას, იონმიმოცვლას და უკუობმოს. დალექვას იყენებენ წყლიდან მძიმე მეტალების მოცილებისათვის ხსნადი ნაერთის უხსნად ფორმაში გადაყანისათვის, შემდგომ მიმდინარეობს ფილტრაცია. ეს პროცესები ხორციელდება ქიმიური დამლექავებით (კოაგულანტებით). ძირითადად დალექვა ხდება ნატრიუმის ტუტისა და კირის დამატებით. ეს მეთოდი არ არის სრულყოფილი, რაღაც არ ხდება ჰიდროქსილის მთლიანი მოცილება. ადგილობრივი პირობების მიხედვით დამლექავებად გამოიყენება მრავალი სხვა ნივთიერებაც. ყოველ კერძო შემთხვევაში უნდა შეირჩეს შესაბამისი დამლექვა. ქიმიური დალექვის მეთოდი შედარებით იაფია და შეიძლება განხორციელდეს pH-ის მარტივი რეგულირებით. თუმცა ამ პროცესის დროს წარმოიქმნება დიდი რაოდენობით შლამი, რომლის უტილიზაციისათვის საჭიროა დამატებითი ხარჯი. იონური მიმოცვლის დროს ჩამდინარე წყლებიდან დამაბინძურებელი მეტალის იონი იცვლება ანალოგიურ დამუხტულ იონზე, რომელიც მიმარტულია უმოძრაო მყარ ნაწილაკზე. მსგავსი ნაწილაკებია ბუნებრივი არაორგანული ცეოლითები ან ორგანული სინთეზური ფისები.

უკუოსმოსი მებრანული პროცესია, რომელიც მოქმედებს როგორც მოლეკულური ფილტრი. თუმცა, ამავე დროს, აღნიშნავენ ასეთი მებრანების სიძვირეს და თვითონ პროცესის ჩატარების მაღალ ღირებულებას.

მძიმე მეტალებისაგან ნიადაგისა და წყლის გასუფთავებისათვის საზოგადოებრივად უფრო მისაღებია და რეკომენდებულია ბიორემდიაციის მეთოდი [10]. ამ შემთხვევაში მავნე ნივთიერებების მოცილებისა და ნეიტრალიზაციისათვის გამოიყენება ბიოლოგიური აგენტები (მცენარეები, სოკოები, ბაქტერიები). დაბინძურებულ ნიადაგზე მცენარეთა ზრდამ (ფიტორემდიაცია) შეიძლება შეამციროს მძიმე მეტალებით დაბინძურება. ფიტორემდიაციის უპირატესობაა შედარებით დაბალი ფასი, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაკლია განხორციელების ხანგრძლივი დრო. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ დათესილი მცენარეების მიერ ხდება ფიტოსტაბილიზაცია (ნივთიერებები გადადის ნაკლებ მოძრავ ფორმაში). მცენარე ფესვებით ზღუდვს სახითათ ნივთიერებების მოძრაობას, შთანთქავს ან ადსორბირებს ფესვებზე [11]. მცენარის ზრდაზე მძიმე მეტალების დიდმა კონცენტრაციამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. ფიტორემდიაციის უპირატესობაა ეკონომიკურობა და ესთეტურობა, თუმცა ნაკლოვანებაა მცენარის დამოკიდებულება გარემო პირობებზე, მცენარეში დავროვილი ნივთიერებების გამოთავისუფლების და დაგროვების რისკი. თუმცა, ამასთან ერთად, სახითათ ნივთიერებები შეიძლება დაგროვდეს ხეებში, რომელსაც ადამიანი იყენებს შეშისათვის, გასათბობად. ხსნადი დამაბინძურებლების გამოყოფის გამო შეიძლება ზიანი მიაღეს გარემოს [14]. ფიტორემდიაცია უფრო ეკონომიურია და აქვს ნაკლებ გვერდითი მოვლენები, ვიდრე ფიზიკურ და ქიმიურ მეთოდებს. ამ მეთოდმა მიიღო მაღალი შეფასება როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკულ წრეებში. თუმცა, ამასთან ერთად, არსებობს პრობლემებიც, განსაკუთრებით განხორციელების ხანგრძლივი პერიოდის გამო.

საერთაშორისო დონეზე მძიმე მეტალებით დაბინძურებული ადგილების გასუფთავება პრიორიტეტული პრობლემაა და მიმდინარეობს ინტენსიური კვლევები ახალი ინოციური ტექნოლოგიების შემუშავებისათვის, რათა გამოინახოს ადგილობრივ პირობებზე მორგებული კომპლექსური, ხელმისაწვდომი ღირებულების, ეკოლოგიურად უსაფრთხო მოდელი. საქართველოში მძიმე მეტალებით სამრწველო დაბინძურებების 2 ობიექტია: დარიშხანის (ურავი, ცანა) და სპილენის (მადნეული). ჩვენი აზრით, დარიშხანის სამთო გამამდიდრებელი ნარჩენების (80000 ტონამდე) გადამუშავებისათვის აუცილებელია მსოფლიო პრაქტიკაში რეკომენდებული in situ ფიქსაციის მეთოდის გამოყენება, შებოჭილი ნარჩენების ჰიდროზოლირებულ მძიმე ბეტონისაგან დამზადებულ სამარხში განთავსება, ხოლო სპილენის გადამუშავებით დაბინძურებული წყლების და ნიადაგების გასასუფთავებლად ადგილობრივი ნედლეულისაგან დამზადებული გეოქიმიური ბარიერების გამოყენება, ასევე in situ ფიქსაციის და ფიტორემდიაციის ელემენტების დამატებით. მიმდინარეობს ექსპერიმენტები რეალურ საცდელ ნიმუშებზე, რათა შემუშავდეს ამ მძიმე მეტალებით

დაბინძურებული ადგილების გასუფთავება გარემოს დამზოგავი მეთოდებით. სარწმუნო შედეგების საფუძველზე დამუშავდება ტექნოლოგიური რეგლამენტები გარემოსდაცვითი სტანდარტების გათვალისწინებით.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Schnoor, I. Phytoremediation, Ground Water Remediation Technologies Analysis Center Technology Evaluation Report TE-98-0,1, 1997, 37.
2. G.U. Chibuike and S.C. Obiora. Heavy Metal Polluted Soils Effect on Plants and Bioremediation Methods. Applied and Environmental Soil Science, 2014, 12 pages.
3. S.P. McGrath and F. Zhao. "Phytoextraction of metals and metalloids from contaminated soils". Current opinion in Biotechnology, vol. 14, no. 3, 2003, pp. 277-282.
4. A.P.G.C. Marques, R.S. Oliveira, A.O.S.S. Ranquel, and P.M.L. Castro. "Application of manure and compost to contaminated soils and its effect on zinc accumulation by Solanum nigrum inoculated with arbuscular mycorrhizal fungi", Environmental pollution, vol. 151, no. 3, 2008, pp. 608-620.
5. A.J.M. Baker, R.R. Brooks. Terrestrial Higher Plants which Hyperaccumulate Metallic Elements – A Review of the IR Distribution, Ecology and phytochemistry. Biorecovery, 1988, vol. 1, pp. 81-126.
6. C. Garbisu and I. Alkorta. "Basic concepts on heavy metal soil bioremediation". The European Journal of Mineral Processing and Environmental Protection, vol. 3, no. 1, 2003, pp. 58-66.
7. Y. Chen, X. Li, and Z. Shen. "Leaching and uptake of heavy metals by ten different species of plants during an EDTA-assisted phytoextraction process". Chemosphere, vol. 57, no. 3, 2004, pp. 187-196.
8. Rhizofiltration: The use of plants to remove heavy metals from aqueous streams. V. Dushenkov, P.B.A. Nanda Kumar, Harry Motto, and I. Raskin. Environmental Science and Technology, vol. 29, 1995, pp. 1239-1245.
9. R.D. Reeves and A.J.M. Baker. "Metal-accumulating plants", in phytoremediation of toxic metals; Using plants to clean up the environment, I. Raskin and B.D. Ensley, Eds., Wiley, New-York, NY, USA, 2000, pp. 193-229.
10. Брюзгина Ангелина Леонидовна, Фиторемедиация, как способ очистки почв, загрязненных Cu, Ni, Zn. г. Красноярск, кафедра орг. и анал. химии СФУ. 2011, с. 56-59.
11. M. Lambert, B.A. Leven, and R.R. Green. New Methods of Cleaning Up Heavy Metal in Soils and Water. Environmental Science and Technology Briefs for Citizens.
12. Akpor O.B. and Muchie M. Remediation of heavy metals in drinking water and waste water treatment systems: Processes and applications. International journal of the physical sciences, vol. 5(12), 2010, pp. 1807-1817.

COMPLEX METHODS OF SOIL AND WATER PURIFICATION, CONTAMINATED WITH HEAVY METALS

I.Mikadze, L.Samkharadze, N.Kalabegashvili, G.Balarjishvili, D.Ioseliani, N.Nonikashvili, A.Dolidze

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Petre Melikishvili Institute of Physical and Inorganic Chemistry*

SUMMARY

In residues available in the deposits are basically represented arsenic, cadmium, copper, chromium, zinc, lead, quick silver etc. They remain for a long time in ecological systems and are characterized by accumulation properties. Among heavy metals purification methods are basically used reliable and proven methods: physical removal of contaminated soil, in situ binding and phytoremediation. Under Georgian conditions, proceeding from purification cost and time, is effective in situ fixation, during which are used local natural raw materials and preparations made on its basis.

КОМПЛЕКСНЫЕ МЕТОДЫ ОЧИСТКИ ПОЧВЫ И ВОДЫ, ЗАГРЯЗНЕННЫХ ТЯЖЕЛЫМИ МЕТАЛЛАМИ

И.И.Микадзе, Л.О.Самхарадзе, Н.Г.Калабегашвили, Г.И.Баларджишвили, Д.К.Иоселиани,
Н.У.Ноникашвили, А.В.Долидзе

*Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили,
Институт физической и органической химии им. Петре Меликисхвили*

РЕЗЮМЕ

В отходах, находящихся в рудниках, в основном представлены мышьяк, кадмий, медь, хром, цинк, свинец, ртуть и др. Они на долгое время остаются в экосистемах и обладают свойством накопления. Из методов очистки тяжелых металлов в основном используются надежно испытанные методы: физическое удаление загрязненной почвы, связывание на месте и фиторемедиация. В условиях Грузии, исходя из стоимости и времени очистки, эффективна фиксация на месте, во время которой используется местное природное сырье и препараты, приготовленные на его основе.

ძიმიური ეპოლოგია

მამა მეტალებით დაბიცურებული ნიადაგის და წყლის ფიზიკურიანიაცია

ირმა მიქამე, ლია სამხარაძე, ნელი ფალაბეგაშვილი, დალი იოსელიანი,
გულნარა ბალარჯიშვილი, ავთანდილ დოლიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქმითს ინსტიტუტი

მძიმე მეტალებით დაბიცურებული ნიადაგის და წყლის გასუფთავებისთვის საზოგადოებრივად უფრო მისაღები და რეკომენდებულია ბიორემედიაციის მეთოდი, როცა მავნე ნივთიერებების მოცილება და ნეიტრალიზაცია ხდება ბიოლოგიური აგენტებით. დღეისათვის შესწავლილია 400-ზე მეტი მცენარე, ბაქტერიები და სოკოები, რომელთაც შეუძლიათ ბიორემედიაციის პროცესში მონაწილეობის მიღება. მიმდინარეობს კვლევები რეალურ საცდელ ნიმუშებზე, რათა მოძიებული იქნას უფრო ეფექტური ბიოლოგიური აგენტები.

მძიმე მეტალების მოპოვებამ და მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია ნიადაგის და წყლის დაბიცურება მძიმე მეტალებით. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, მსოფლიოში სულ უფრო მატულობს კვლევები, რათა შეიმუშაონ და დახვეწონ მეთოდები და ტექნოლოგიები ნიადაგის და წყლის გასუფთავებისათვის [1].

რეკომენდებულია მძიმე მეტალების ნარჩენებისგან გასუფთავების 3 მეთოდი: ექსკავაცია, ადგილზე სტაბილიზაცია და ფიტორემედიაცია. ამ მეთოდებიდან ყველას გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მსარებები, თუმცა საზოგადოებრივად უფრო მისაღები და რეკომენდებულია ბიორემედიაციის მეთოდი, როცა მავნე ნივთიერებების მოცილება და ნეიტრალიზაცია ხდება ბიოლოგიური აგენტებით (მცენარეები, ბაქტერიები, სოკოები). ფიტორემედიაციის პრინციპია მცენარეებით გარემოზე სხვადასხვა მეთოდით ზემოქმედება [2].

დაბიცურებულ ნიადაგზე მცენარეთა ზრდამ შეიძლება შეაკავოს ან შეამციროს მძიმე მეტალებით დაბიცურება. ექსკავაციასთან და სტაბილიზაციასთან შედარებით მისი უპირატესობაა დაბალი ფასი, ნაკლია – ხანგრძლივი დრო [3]. ეს მეთოდი ეკონომიური და მისაღებია საზოგადოებისათვის, ნაკლები ზიანი ადგება გარემოს. ფიტოსტაბილიზაციისთვის გამოყენებულ მცენარეებს უნდა ჰქონდეთ მკვრივი ფესვთა სისტემა, ნიადაგთან და საველე პირობებთან ადაპტაციის უნარი, შეეძლოთ სწრაფი ზრდა და გამრავლება, ჰქონდეთ დიდი სიცოცხლის ხანგრძლივობა [4]. რემდიაციის გავრცელებული ფორმაა ფიტოექსტრაქცია. მცენარის ორგანიზმში ხდება ტოქსიკური ნივთიერებების დაგროვება, მწვანე მცენარეებს გარემოდან გამოაქვთ მძიმე მეტალები აკუმულირებას ახდენენ თავიანთ ქსოვილებში. შემდეგ ამ მცენარეებს აგროვებენ, წვავენ და ახდენენ ფერფლის უტილიზაციას. ფიტორემედიაცია მას შემდეგ გახდა ეფექტური და ეკონომიურად მოტებებიანი გაწმენდის მეთოდი, რაც აღმოაჩინეს პიპერაკუმულატორი მცენარეები ანუ ისეთი მცენარეები, რომლებიც თავის ქსოვილებში 10-ჯერ უფრო მეტი რაოდენობის მძიმე მეტალებს აგროვებს, ვიდრე ჩვეულებრივი მცენარეები [5]. ფიტორემედიაციას მწვანე რეკულტივაციასაც უწოდებენ. ამ ფენომენის ბიოლოგიური მნიშვნელობა ბოლომდე არ არის ამონსნილი. შეიძლება ვიგარაულოთ, რომ ტოქსიკური ელემენტების მაღალი შემცველობა იცავს მცენარეს მავნებლებისაგან და ისინი უფრო მდგრადები ხდებიან დაავადებების მიმართ.

პიპერაკუმულატორი მცენარეების გამოყენება ნიადაგის და წყლის რემდიაციისთვის შემოთავაზებული იყო გასული საუკუნის 80-იან წლებში. თუმცა პრაქტიკაში მათი გამოყენება ცოტა მოგვიანებით დაიწყეს [6].

ამ მცენარეების ბიომასა იყო მცირე და არ იყო შემუშავებული მათი მიღების ტექნოლოგია. მდოგვის ერთ-ერთი სახეობა, ინდური მდოგვი ეფექტური აღმოჩნდა ტყვიის, თუთიის და ნიკელისთვის. ტყვია გროვდება სიმინდში და ველურ ამბროზიაში. მძიმე მეტალების მცენარეში მოხვედრას ასტიმულირებენ ხელატები [7], მაგ: ეთილენდიამინტეტრამზავა, რომელიც ნიადაგში მეტალებთან წარმოქმნის მდგრად, მაგრამ სსნად კომპლექსნაერთებს. ზოგი მცენარის ფესვებს, მაგ: ლობიოს, ასევე

სხვა ორლებნიანებს, შეუძლია რეინის ნაკლებობის დროს გაზარდონ ნიადაგის მჟავიანობა, რის შემდეგაც მათი ნაერთები გადადის ხსნად მდგომარეობაში [8].

ზოგიერთ მცენარეზე მოცემულია ცნობები, რომელთაც აქვთ უნარი მოახდინონ მძიმე მეტალების დიდი რაოდენობით აკუმულირება და შესაბამისად გამოყენებული იქნან აღდგენით სამუშაოებში [9].

ფიტოექსტრაქციის მეთოდების შეზღუდვის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ჰიპერაკუმულატორი მცენარეების შესაძლო გამოყენება კვების ჯაჭვში. ოუმცა brassicaceae-ს მრავალი სახეობა, რომელიც მძიმე მეტალების ჰიპერაკუმულატორი მცენარეებია, თოვციანიდების დიდი შემცველობის გამო მიუღებელია ჰიპერაკუმულატორი მცენარეების მოძიების მიზნით ჩატარდა ექსპერიმენტი ყვავილოვანი კულტურის მცენარეზე - პეტუნია, ხელოვნურად დაბინძურებულ (Cu, Zn და Ni) ნიადაგზე 21-დღიანი ექსპერიმენტის დროს 5-ჯერ შემცირდა Cu და Ni-ის შემცველობა, ხოლო Zn მცირედ იქნა შემცირებული [10].

ჰიპერაკუმულატორი აღვით შესაძლებელია საბრძოლო ნაერთების ტროტილის (ტრინიტროტოლუოლი), ნიტრატების და პესტიციდების მოცილება [11].

ცხრილი 1. ტყვიის დაგროვება სხვადასხვა მცენარის ფესვებში

| საერთო სახელწოდება | სამეცნიერო დასახელება | ტყვია ფესვებში (mg/g DW±SE) |
|-------------------------------|---|--------------------------------|
| Indian mustard | Brassica juncea (L.) Czern | 136±6 |
| Sunflower | Melianthus annuus L. | 140±5 |
| wild cabbage | Brassica oleracea L. | 134±15 |
| Tobacco | Nicotiana tabacum L. | 132±6 |
| Spinach | Spinacia oleracea L. | 95±25 |
| Monocotyledonous Crops | | |
| ერთლებნიანი კულტურები | | |
| Rye | Secale cereal L. | 104±8 |
| Sorghum | Sorghum bicolor (L.) Moench | 88±7 |
| Corn | Zea mays L. | 75±13 |
| Cool Season Grasses | | |
| ცივი სეზონის ბალაზები | | |
| colonial bent grass | Agrostis tenuis Sibth | 169±11 |
| Kentucky bluegrass | Poa pratensis L. | 165±16 |
| creeping bent grass | Agrostis palustris Muds | 146±3 |
| weeping love grass | Eragrostis curvula (Schrad.) Nees | 142±12 |
| perennial rye grass | Lolium perenne L. | 134±3 |
| hard fescue | Festuca ovina L. var duriuscula (L.) Koch | 125±7 |
| sheep fescue | Festula ovina L. | 111±11 |
| rough bluegrass | Poa trivialis L. | 100±7 |
| creeping red fescue | Festuca rubra L. | 86±4 |
| tall fescue | Festuca arundinacea Schreb | 85±3 |
| orchardgrass | Dactylis glomerata L. | 60±15 |
| თბილი სეზონის ბალაზები | | |
| centipede grass | Eromochloa ophiuroides (Murno) Mack | 124±13 |
| buffalo grass | Buchloe dactyloides (Nutt.) Engelm | 118±3 |
| switch grass | Panicum virgatum L. | 116±5 |
| coastal panic grass | Panicum amarum P.G. Palmer | 109±9 |
| Bermudgrass | Cynodon dactylon (L.) Pers. | 90±7 |
| Japanese Jawnglass | Zoysia Japonica Steud. | 56±2 |
| filter paper control | | 2±0 |

ფესვებში ტყვიის დაგროვება გაზომეს 3 დღის შემდეგ (exposure to 300 mg/L Pb ±SE)

მძიმე მეტალებისგან გაწმენდის კიდევ ერთი მეთოდია რიზოფილტრაცია (ფესვებიდან ხდება წყლის და ქიმიური ელემენტების შეწოვა, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებელია მცენარისთვის) [8].

მას ზრდიან წყალში ან ჰიდროპონიკის მეთოდით (მცენარეთა გაზრდა ხელოვნურ გარემოში, უნიადაგოდ – წყალში გახსნილი მარილების სისტემატურად მიწოდებით). შემდეგ მცენარე გადააქვთ დაბინძურებულ წყალში. მავნე ნივთიერება აღსორბირდება ფესვებზე ან შთაინთექტება ფესვებით. ამისთვის შესაფერისი აღმოჩნდა მზესუმზირის ზოგიერთი სახეობა, რომელსაც ზრდიან სპეციალურ ფილტრაციულ სისტემაში. ისინი წყლიდან აქტიურად შთანთქავენ მავნე ნივთიერებებს. ჩერნობილში, IV რეაქტორთან ახლოს, პატარა წყალსაცავში გაშვებულ მზესუმზირას ტივებში მოხდა დიდი რაოდენობით მავნე ნივთიერებების დაგროვება. განსაზღვრულია 400-ზე მეტი სახეობის მცენარე, რომელთაც აქვთ პოტენციალი, რომ მოახდინონ წყლის რესურსების რემდიაცია.

დღეისთვის შესწავლილი და გაანალიზებულია მრავალი ტიპის ბიოსორბენტი, მათ შორის ბაქტერიები (bacillus, pseudomonas, streptomyces), სოკოები (aspergillus, rhizopus და penicillium), წითელი, წაბლა და მწვანე მაკრო წყალმცენარეები, გვიმრები [12].

ფიტორემდიაცია უფრო ეკონომიურია და აქვს ნაკლები გვერდითი მოვლენები, ვიდრე ფიზიკურ და ქიმიურ მეთოდებს. კვლევებმა აჩვენა, რომ brassicajunccea, salsola kali, prosopis-ჰიდროპონიკ მცენარეებს შეუძლიათ დიდი რაოდენობით ტოქსიკური ნივთიერებების შთანთქმა. ეს ჯიშები დატესტეს საპილოტე კვლევებში.

კვლევებმა დაადგინა, რომ ფიტოექსტრაციის მეთოდი შეიძლება გამოყენებული იყოს კეთილშობილი მეტალების (ოქრო, ვერცხლი, პლატინა, პალადიუმი) ამოსალებად, რაც მიუთითებს ფიტორემდიაციის ტექნოლოგიის მაღალ შესაძლებლობებზე.

ნიადაგიდან და წყლიდან მმიმე მეტალების მოცილება არის საერთაშორისო დონის პრობლემა. დღესდღეობით მსოფლიოში დაწესებულია მკაცრი რეგულაციები საყოფაცხოვრებო და სამრეწველო წყლების სისუფთავეზე. ცნობილი ტექნოლოგიებიდან თითოეულს გააჩნია რა უამრავი უპირატესობა და ნაკლებანება, საჭიროა მოვიძიოთ ახალი მეთოდები და ტექნოლოგიები. ჩატარდეს კვლევები მძიმე მეტალების რემდიაციის ახალ-ახალი მეთოდების მოძიებისთვის, რათა მიღებული იქნას უსაფრთხო და ეკონომიური კარიანტი.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Akpor O.B. and Muchie M. Remediation of heavy metals in drinking water and waste water treatment systems: Processes and applications. International journal of the physical sciences, vol. 5(12), 2010, pp. 1807-1817.
2. Schnoor, I. Phytoremediation, Ground Water Remediation Technologies Analysis Center Technology Evaluation Report TE-98-0,1, 1997, 37.
3. Raymond A. Wuana and Felix E. Okieimen. Heavy Metals in Contaminated Soils; A Review of Sources, Chemistry, Risks and Best Available Strategies for Remediation. International Scholarly Research Notices, 23.08.2011.
4. Dushenkov, V. and Roskin. "Phytoremediation a new green revolution in ecology". Chemistry and Life (11-12), 1999, 48-49.
5. A.J.M. Baker, R.R. Brooks. Terrestrial Higher Plants which Hyperaccumulate Metallic Elements – A Review of the IR Distribution, Ecology and phytochemistry. Biorecovery, 1988, vol. 1, pp. 81-126.
6. M. Lambert, B.A. Leven, and R.R. Green. New Methods of Cleaning Up Heavy Metal in Soils and Water. Environmental Science and Technology Briefs for Citizens. 2008, pp. 44-48.
7. G.U. Chibuike and S.C. Obiora. Heavy Metal Polluted Soils Effect on Plants and Bioremediation Methods. Applied and Environmental Soil Science, 2014, 12 pages.
8. Портнова Анна Владимирова (диссертация). Ремедиация почвы, загрязненной тяжелыми металлами, с помощью мелиорантов-стабилизаторов. 2011, с. 32-35.
9. Marcus G. Theodore. Method of removing heavy metals in soils and water. Patent US 20120208261 A1. 2012, Aug. 16.
10. C. Garbisu and I. Alkorta. "Bioremediation: principles and future". Journal of Clean Technology, Environmental Toxicology and Occupational Medicine, vol. 6, no. 6, 1997, pp. 351-366.
11. S.P. McGrath and F. Zhao. "Phytoextraction of metals and metalloids from contaminated soils". Current opinion in Biotechnology, vol. 14, no. 3, 2003, pp. 277-282.

-
12. C.D. Jadia and M.H. Fulekar, "Phytotoxicity and remediation of heavy metals by fibrous root grass (Sorghum)", Journal of Applied Biosciences, vol. 10, 2008, pp. 491-499.
 13. A.P.G.C. Marques, A.O.S.S. Rangel, and P.M.L. Castro, "Remediation of heavy metal contaminated soils: Phytoremediation as a Potentially promising clean-up technology" – Critical Reviews in Environmental Science and Technology, vol. 39, 2009, pp. 622-654.

PHYTOREMEDIATION OF SOIL AND WATER CONTAMINATED WITH HEAVY METALS

I.Mikadze, L.Samkharadze, N.Kalabegashvili, D.Ioseliani, G.Balarjishvili, A.Dolidze

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Petre Melikishvili Institute of Physical and Inorganic Chemistry

SUMMARY

Bioremediation method is more acceptable in the social context and is recommended for purification of soil and water contaminated with heavy metals, when a removal and neutralization of harmful substances is implemented by biological agents. Today there are studied more than 400 plants, bacteria and fungi, which can take part in bioremediation process. Studies are conducted on real pilot specimen in order to find out more efficient biological agents.

ФИТОРЕМЕДИАЦИЯ ПОЧВЫ И ВОДЫ, ЗАГРЯЗНЕННЫХ ТЯЖЕЛЫМИ МЕТАЛЛАМИ

И.И.Микадзе, Л.О.Самхардзе, Н.Г.Калабегашвили, Д.К.Иоселиани, Г.И.Баларджишвили,
А.В.Долидзе

*Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили,
Институт физической и органической химии им. Петре Меликишивили*

РЕЗЮМЕ

Метод биоремедиации более приемлем в общественном плане и рекомендован для очистки почвы и воды, загрязненных тяжелыми металлами, когда удаление и нейтрализация вредных веществ осуществляется биологическими агентами. На сегодняшний день изучено более 400 растений, бактерий и грибков, которые могут принять участие в процессе биоремедиации. Ведутся исследования на реальных опытных образцах, чтобы найти более эффективные биологические агенты.

ქიმიური ტექნოლოგია

ახალი სახის მშენებელი - გეოპოლიმერების მიღების შესაძლებლობის პოტენციალის გამოყენების ნაზარი ზოდის და გუნდის ჩანის საზოგადოება

ელენე შაფაქიძე, მარინე ნადირაშვილი, ვერა მაისურაძე,
იოსებ გვარაშვილი, ეგვიპტი ზუსუა, თამარ პეტრიაშვილი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კავკასიის აღმენიშვილის თავალჭრელის მინერალური ნედლულის ინსტიტუტი**

განხილულია უკლინკერო მჭიდების წარმოების უპირატესობები ეკოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრისით. წინამდებარე სამუშაოს მიზანს წარმოადგინს ბრძმების ნაკარი წილის და ვულკანური ქანის - ტრაქიტის საფუძველზე ახალი სახის გეოპოლიმერული მჭიდების მიღების შესაძლებლობის კვლევა, რისთვისაც ჩატარებულია გამოყენებული ნედლი მასალების მექანიკური და თერმული აქტივაცია. შესწავლილია ნაკარი წილისა და ტრაქიტის თერმული გარდაქმნები და მინერალურმოქმნის პროცესები განურებისას. ლაბორატორიულ პირობებში მიღებულია გეოპოლიმერული მჭიდები გამჭარების სხვადასხვა რეჟიმის პირობებში.

ბოლო რამოდენიმე წელია მსოფლიოს მეცნიერ-მკვლევარების დიდ ინტერესს იწვევს გეოპოლიმერული მჭიდების მიღების ტექნოლოგიების შემუშავება, რომლებიც, სავარაუდო, პორტლანდცემენტის ალტერნატივად შეიძლება მოვალეობის მას შემდეგ, რაც დამლეული იქნება რიგი ტექნიკური პრობლემებისა, რაც დაკავშირებულია გეოპოლიმერების სამრეწველო წარმოებასთან.

ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით გეოპოლიმერების წარმოება ეფექტურია, ერთის მხრივ, იმის გამო, რომ წარმოების ნარჩენების (მეტალურგიული წილების, წანატაცი ნაცრების) უტილიზაციის საშუალებას იძლევა, ხოლო მეორეს მხრივ, გეოპოლიმერების წარმოებისას 80 %-ით მცირდება გამოყოფილი სათბურის აირების რაოდენობა პორტლანდცემენტის წარმოებასთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ ადამიანის ტექნიკური მოღვაწეობის შედეგად ატმოსფეროში CO₂-ის გამოყოფის მიხედვით ცემენტის წარმოების წილი 5 %-ს შეადგენს. ამ მონაცემით ცემენტის წარმოება მე-3 ადგილზეა ტრანსპორტისა და ენერგეტიკის დარგების შემდეგ [1].

ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების ძიების პროცესში სპეციალისტები ცდილობდენ ჩაენაცვლებინათ პორტლანდცემენტი ისეთი იაფი მჭიდა მასალით, რომელიც არ საჭიროებდა მაღალტემპერატურულ (1400-1450°C) გამოწვას და მიღებოდა სამრეწველო ნარჩენების ბაზაზე. ასეთი მჭიდა - წიდატუტე ცემენტის სახით გამოიგონა ფრანგმა მეცნიერმა ემილ ლაგინმა მე-19 საუკუნის ბოლოს. ხოლო წიდატუტე მჭიდების კვლევა და თეორიული საფუძვლების შესწავლა დაიწყო ვ. დ. გლუხოვსკის მიერ 1958 წ. კიევის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტში [2]. შედეგად შეიქმნა წიდატუტე მჭიდების წარმოების ტექნოლოგია, რომელიც ზოგიერთი პარამეტრით მნიშვნელოვნად აჭარბებს პორტლანდცემენტისას, ხოლო ენერგოდანახარჯები პორტლანდცემენტის წარმოებისას მნიშვნელოვნად მეტია წიდატუტე მჭიდების წარმოების ხარჯებთან შედარებით, სადაც ერთადერთ ენერგოტევად პროცესს წიდების დაფუქვა წარმოადგენს.

წიდატუტე მჭიდების და მათგან წარმოებული ბეტონების სპეციფიკური თვისებებია:

- მაღალი მექანიკური სიმტკიცე და მედეგობა ცვეთისადმი;
- წყალ- და ატმოსფერული მედეგობა;
- წყალ- და ჰაერგაუმტარობა;
- დაბალი სითბოგამოყოფა გამჭარების პროცესში;
- მაღალი ხურვალმედეგობა და ა.შ.

წიდატუტე მჭიდებზე დამზადებული ბეტონებისთვის არ არის აუცილებელი ბეტონის შემავსებლის - ქვიშის გასუფთავება თიხური და მტერისტორი მინარევებისგან, როგორც ეს პორტლანდცემენტის ბეტონებისთვის არის საჭირო. თიხური მინარევები წიდატუტე ბეტონებში ქიმიურად ურთიერთქმედებენ ტუტესთან და წარმოქმნიან უხსნად, ძლიერ მჭიდა თვისებების მქონე ტუტეალუმოსილიკატებს, ხოლო მტკრისებრი მინარევები ახდენენ ბეტონის ნარევის არმირებას და სიმტკიცეს მატებენ მას.

უარყოფით თვისებებად შეიძლება ჩაითვალოს მაღალი მარილგამოლექვა და დაბალი ბზარმედეგობა.

ამ პარამეტრების დარეგულირება მოხდა მას შემდეგ, როდესაც შეიქმნა გეოპოლომერული მჭიდრები, რომლის მამამთავრად ითვლება ფრანგი მეცნიერი ჟოზეფ დავიდოვიცი [3]. გეოპოლიმერული მჭიდრა არის მასალა პოლიმერული სტრუქტურით თერმულად აქტივირებული კაოლინების და მინდვრისშპატური სამორ ქანების, ასევე წილების, ნაცრების და სხვა სამრეწველო ნარჩენების საფუძველზე.

გეოპოლიმერული მჭიდრა მიღების პრიციპი ემყარება ალუმოსილიკატური მდგრენელის (მთის ქანების) აქტივაციას ტუტეშემცველი კომპონენტის (ნატრიუმის ან კალიუმის ტუტე, ტუტემეტალთა კარბონატები ან სილიკატები) მეშვეობით. ტუტე გარემოში ადგილი აქვს ალუმოსილიკატური კომპონენტის ფრაგმენტაციას. ამის შედეგად წარმოიქმნება ალუმინატური და დაბალფუძიანი სილიკატური ანიონები, რომელთაგანაც $\text{SiO}_4\text{-O-Al-O-Si}$ კავშირების წარმოქმნის ხარჯზე ყალიბდება სამგანზომილებიანი პოლიმერული კარკასი (ალუმოსილიკატური ჰიდროგელი). მის შემადგენლობაში აღწევენ ტუტე კათიონები, რომლებიც კავშირული ტეტრაერებს შორის AlO_4^- -ის ჩანერგვისას წარმოშობილი უარყოფითი მუხტის კამპნესირებას ახდენენ. ამის შედეგად, ტუტე კათიონები მჭიდროდ ებმებიან ალუმოსილიკატურ კარკასში და მასალა იმენს მაღალ წყალმედეგობას და მედევობას გამოტუტვისადმი.

რაც უფრო აქტიურია ალუმოსილიკატური კომპონენტი, მით მაღალი სიმტკიცის გეოპოლიმერული მასალა მიიღება. კერძოდ, როდესაც ალუმოსილიკატური კომპონენტი წარმოლენილია მეტაკალინის – $\text{Al}_2\text{Si}_2\text{O}_7$ სახით (მიიღება თიხური მინერალის – კაოლინიტის გამოწვის შედეგად $500\text{-}800^\circ\text{C}$ -ზე), უფრო აქტიურად ხდება სილიკატური და ალუმინატური ონების გადასვლა ტუტე ხსნარში. ამ მხრივ, წილები და წანატაცი ნაცრები ჩამორჩებიან მეტაკალინის. ავტორები [4] აღნიშნავენ, რომ მეტაკალინის ტუტე აქტივაციით მიღებული გეოპოლიმერი წარმოადგენს ერთგვაროვან სრულყოფილ გელს, მაშინ, როდესაც წილის ან წანატაცი ნაცრისგან მიღებული გეოპოლიმერის მიკროსტრუქტურა გამოირჩევა ნაკლები ერთგვაროვნებით და შედეგება რეაქციაში არშესული ნაწილაკებისგან, რომლებიც ალუმოსლიკატური გელით არიან შეცემენტებული.

უდაბილოვიცი თვლის, რომ საწყისი ნედლეულის ტემპერატურული აქტივაცია აჩქრებს ბუნებრივი ცეოლიტების მსგავსი მტკიცე პოლიმერული სტრუქტურის ჩამოყალიბებას [5].

გეოპოლიმერული მასალების ერთ-ერთი ნაირსახეობაა მჭიდრები, მიღებული წმინდადდაფქელი ვულკანური ქანების და გრანულირებული წილების საფუძველზე, რომელთაც ემატება ნატრიუმის ან კალიუმის ჰიდროქსიდების ან სილიკატების ხსნარები [6]. ამ მჭიდრებს გააჩნიათ უნარი გამყარდნ როგორც თბო-ტენიანი დამუშავების შედეგად, ასევე ნორმალურ პირობებში. ვულკანური ქანების შემადგენლობაში შედის სხვადასხვა თვისებების მქონე მინერალები: კვარცი, მინდვრის შპატები, პიროქსენები, ქრისტალები, ამფიბოლები, ოლივინი და ა.შ. ზოგიერთი ამ მინერალებიდან იხსნება ტუტე არეში და წარმოქმნის პოლიმერულ პოლისილიკატურ სტრუქტურებს.

იმისთვის რომ მივიღოთ მაღალი ხარისხის გეოპოლიმერული მჭიდრა, საჭიროა ალუმოსილიკატური კომპონენტი (ვულკანური ქანები, გრანულირებული წილები) აქტიურ ფორმაში გადავიყვანოთ.

საქართველოში გრანულირებული წილების მარაგი დიდი ხნის ამოწურულია. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წილის საყრელებში შემორჩენილია მხოლოდ ნაყარი წილების საკმაოდ დიდი რაოდენობა (რამოდენომე მლნ. ტონა), რომელიც ჰიდროკარბონურ მასალას წარმოადგენს.

წინამდებარე სამუშაოს მიზანს წარმოადგენს საქართველოში ამჟამად არსებული ნაყარი წილების და ვულკანური ქანის - ტრაქიტის საფუძველზე ახალი სახის უკლინკვრო - გეოპოლიმერული მჭიდრების მიღების შესაძლებლობის კვლევა. ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია ნაყარი წილების გააქტიურების გარეშე. აქტივაცია ემყარება ამ მასალისთვის გარკვეულ სტრუქტურული არასტაბილურობის მინიჭებაში, რისთვისაც რამოდენომე მექანიზმი არსებობს. ესენია: მექანიკური, ტემპერატურული და ქიმიურ აქტივაცია.


1. ტემპერატურული აქტივაცია: ნედლეული მასალების გახურება ისეთი რეჟიმით, რომ მოვახდინოთ კრისტალური სტრუქტურის ამორფიზაცია, რომელიც უფრო რეაქციისუნარიანია;

2. მექანიკური აქტივაცია: წმინდად დაფქვა ($5000\text{ - }6000 \text{ Nm}^2/\text{g}$ ხვედრითი ზედაპირი), განაპირობებს არა მხოლოდ დასამუშავებელი მასალის მექანიკურ დაწვრილმანებას, არამედ ნაწილაკების სტრუქტურის შეცვლას, რაც დაფქვის კამერაში ენერგიის მაღალი კონცენტრაციით განისაზღვრება. მექანიკური აქტივაციის შედეგად იცვლება ნივთიერების კრისტალური მესერი, რასაც თან სდევს მისი პოტენციური და ზედაპირული ენერგიების გაზრდა, რომელიც მის დეფორმირებულ მოცულობაში აკუმულირდება [7];

3. წილების ქიმიური აქტივაცია, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს ტუტის ან სულფატების ხსნარების ზემოქმედების შედეგად. გეოპოლიმერულ კომპოზიციაში ტუტე კომპონენტი თავისთავად იგულისხმება, ამიტომ აქტივაციის ეს ფორმა სახეზეა.

ვულკანური ქანის სახით გამოყენებული იქნა ცინისუბნის (ოზურგეთის რ-ნი) ტრაქიტი, რომელიც წარმოადგენს ასკანის ბენტონიტური თიხების საბადოს გადამზურავ ქანს, რომელიც მოპოვებითი სამუშაოების წარმოებისას მოხსნილია და დასაწყობებული მასივების სახით და, შესაბამისად, ნაყარი წილის მსაგავსად, ტექნოგენურ ნაჩენებს წარმოადგენს.


წილისა და ტრაქიტის ტემპერატურული გარდაქმნების შესასწავლად ჩატარდა მათი თერმოგრავიმეტრული ანალიზები უნგრული წარმოების Q-1500D მარკის დერივატოგრაფზე. გახურების სიჩქარე $10^{\circ}\text{C}/\text{წთ}$. უტალონური ნივთიერება – Al_2O_3 . ექსპრიმენტის მეთოდიკა და ხელსაწყოს მუშაობის პრინციპი მოცემულია [8].



ნახ.1. ნაყარი წილის (6.7.) გახურების მრუდები $20-1000^{\circ}\text{C}$ ტემპერატურულ ინტერვალში

ნაყარი წილის თერმულ მრუდზე (ნახ. 1) 110-დან 210 $^{\circ}\text{C}$ -დე ტემპერატურულ ინტერვალში ადგილი აქვს მექანიკურად ბმული და ადსორბციულად მიერთებული წყლის აორთქლებას, რაც ენდოთერმული პროცესია (წონის დანაკარგი 3.9 %-ია). ენდოთერმული პიკები 380°C და 510°C ტემპერატურებზე, სავრაუდოდ, ნაყარი წილის კრისტალური სტრუქტურის ნაწილობრივ ამორფიზაციას უკავშირდება. საკმაოდ დიდი ეგზოთერმული ეფექტი 600 -დან 780°C -მდე (მაქსიმუმი 700°C -ზე) ამორფული სტრუქტურის (მინისებური ფაზის) გადაკრისტალებაზე მიუთითებს. ამ ინტერვალში წონის დანაკარგი მაქსიმალურია - 7.3 %. ავტორების [9] აზრით ამ ეგზოთერმული მონაკვეთის ფართის მიხედვით შეიძლება განვსაზღვროთ წილაში არაკრისტალური - მინისებური ფაზის შემცველობა. კოლეგ ერთი ენდოთერმული უბანი გააჩნია წილას 780°C -ზე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს Fe_3O_4 -ის წარმოქმნასთან [10].

ტრაქიტის თერმულ მრუდზე (ნახ.2) ენდოთერმული ეფექტები 160 და 190°C -ზე დაკავშირებულია მექანიკურად ბმული და შრეებსმორისი წყლის (ბენტონიტური თიხების ნარჩენი) დაკარგვასთან (წონის დანაკარგი 2.2%-ს შეადგენს). პატარა ეგზოთერმული პიკი 480°C -ზე, სავარაუდოდ, მცირე რაოდენობით არსებული ორვალენტიანი რკინის (Fe^{+2}) სამვალენტიანამდე (Fe^{+3}) დაჟანგვას უკავშირდრბა. ამას მოყვება ენდოთერმული ეფექტი 500 -დან 550°C -მდე ტემპერატურულ ინტერვალში, სადაც, სავარაუდოდ, მინდვრის შპატის (მიკროკლინის) კრისტალური მესერის ნაწილობრივ ამორფიზაცია ხდება (წონის დანაკარგი მაქსიმალურის - 3.5% აღწევს), ხოლო ეგზოთერმული ეფექტი 570°C -ზე, შესაძლოა ამორფიზირებული მინდვრისშპატური მინერალის რეკრისტალიზაციას შეესაბამება [11].

ნახ. 2. ტრაქიტის (ტრ.) გახურების მრუდები 20-1000 $^{\circ}\text{C}$ ტემპერატურულ ინტერვალში

როგორც საკვლევი მასალების DTA მრუდებიდან ჩანს, წილის გახურების პროცესში აქტიური (ენდოთერმული) უბნებია 350 $^{\circ}\text{C}$ -დან 600 $^{\circ}\text{C}$ -მდე, ხოლო ტრაქიტის შემთხვევაში 480 $^{\circ}\text{C}$ -დან 570 $^{\circ}\text{C}$ -მდე ტემპერატურულ ინტერვალებში, როდესაც, ადგილი აქვს ქმიურად ბმული წყლის გამოყოფას, რასაც მოყვება მინერალების კრისტალური მესერის ნაწილობრივი ამორფუალურია.

ამრიგად, ორივე მასალისთვის აქტიური უბნები 480 - 570 $^{\circ}\text{C}$ ტემპერატურების ინტერვალშია. ამ უბანე ორივე მასალა ყველაზე რეაქციურარიანია, ვინაიდან კრისტალური ფაზა მინიმალურია.


ამ ჰიბრიდულის გასამყარებლად ჩავატარეთ საკვლევი მასალების: ნაყარი წილის და ტრაქიტის თერმული დამუშავება 550 და 800 $^{\circ}\text{C}$ -ზე, მაქსიმალურ ტემპერატურაზე 30 წთ. დაყოვნებით და შემდგომი სწრაფი გაცვებით, რათა შეგვნარჩუნებინა აქტიური ფაზა. საწყისი და თერმოდამუშავებული მასალები შესწავლილი იქნა რენტგენოფაზური ანალიზის მეთოდით.


რენტგენოფაზური ანალიზი ტარდებოდა რენტგენულ დიფრაქტომეტრზე „ДРОН-1.5“. A-Cu + C (გრაფიტის მონოქრომატორი). გადაღების რეჟიმი: U = 35KV; J = 20 mA.

როგორც რენტგენოფაზურმა ანალიზებმა აჩვენა (ნახ. 3), ნაყარი წილა ძირითადად წარმოდგენილია მინერალი მელილიტის სახით - 2.85-2.87, 2.455-2.60, 1.760-1.762 Å.

მელილიტი ბრძმედის წილის ძირითადი შემადგენელი მინერალია, რომლიც წარმოადგენს გელგნიტისა (2CaO • Al₂O₃ • SiO₂) და ოკერმანიტის (2CaO • MgO • 2SiO₂) უწყვეტ მყარ სსნარს.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ 550 $^{\circ}\text{C}$ -ზე დამუშავებულ წილში მელილიტის დიფრაქტომეტრული მაქსიმუმების რიცხვით მნიშვნელობები განსხვავდება დამუშავებული და 800 $^{\circ}\text{C}$ -ზე დამუშავებული წილის იგივე მინერალის დიფრაქტომეტრული მაქსიმუმების მნიშვნელობებისგან (ნახ. 3), რაც იმაზე მეტყველებს, რომ 550 $^{\circ}\text{C}$ -ზე დამუშავებულ წილში მინერალის კრისტალური მესერი გარკვეულ გარდაქმნებს განიცდის.

ნახ. 3. ნაყარი წილის (ნ.წ.) რენტგენოგრამები: 1 - დაუმუშავებელი, 2 - თერმოდამუშავებული 550 $^{\circ}\text{C}$ -ზე, 3 - თერმოდამუშავებული 800 $^{\circ}\text{C}$ -ზე



ნახ. 4. ტრაქიტის (ტრ.) რენტგენოგრამები: 1 - დაუმუშავებელი,
2 - თერმოდამუშავებული 550°C -ზე, 3 - თერმოდამუშავებული 800°C -ზე

გეოპოლიმერული მჰქიდების დასამზადებლად შედგენილი იქნა შემდეგი კომპოზიციები:

№1. 6.წ. (დაუმუშ.) - 50 %

ტრ. (დაუმუშ.) - 50 %

№2. 6.წ. (550°C) - 50 %

ტრ. (550°C) - 50 %

№3. 6.წ. (800°C) - 50 %

ტრ. (800°C) - 50 %

(შენიშვნა: 6.წ. - ნაყარი წილა, ტრ. - ტრაქიტი).

მასალები იფექტურა ლაბორატორიულ ბურთულებიან წისქვილში 1 სთ. განმავლობაში. მიღებულ ნარევს ემატებოდა 10 %-იანი NaOH - 7 %-ის ოდენობით დაფუქტული მასალების საერთო მასიდან. განისაზღვრა ცომის ნორმალური სისქის კონსისტენცია.

დაყალიბდა 2 X 2 X 2 სმ ზომის ნიმუშები, რომელთა ნაწილი ინახებოდა ჰაერზე $+18^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე, ნაწილი წყალში და ნაწილი ჰაერ-ტენიან გარემოში $+18^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე. ნიმუშები გამოიცადა 5 ტ სიმძლავრის ჰიდრაკლიკურ წნევზე დაყალიბდიდან 28 დღე-დამის შემდეგ (ცხრილი 1).

ცხრილი 1. გეოპოლიმერული მჰქიდების ფიზიკურ-მექანიკური ტესტირების შედეგები

| № | ზედაპირი, mm^2/g | ცომის ნორმალური სისქის კონსისტენცია, % | სიმტკიცე კუმშვაზე გამყარების პირობების მიხედვით, კგ/ სმ ² | | |
|---|----------------------------------|--|--|--------|---------------------|
| | | | ჰაერზე | წყალში | ჰაერ-ტენიანი გარემო |
| 1 | 9 250 | 33 | 50 | 35 | 40 |
| 2 | 8 650 | 36 | 95 | 70 | 65 |
| 3 | 7 700 | 36 | 80 | 60 | 76 |

როგორც ცხრილი 1-ის მონაცემებიდან ჩანს, მიღებული მჰქიდებიდან სიმტკიცის უკეთესი მაჩვენებლები, გამყარების პირობების მიუხდავად, გააჩნია №2 მჰქიდას, რომელიც შედგება 550°C ტემპერატურაზე დამუშავებული ნაყარი წილისა და ტრაქიტისგან. ამავე დროს, ყველა მჰქიდა უკეთეს

შედეგს იძლევა ჰაერზე გამყარების პირობებში, შემდეგ ჰაერ-ტენიან გარემოში და ბოლოს, წყალში გამყარებისას.

ჩატარებული ექსპერიმენტები ეს არის საწყისი სასინჯი ეტაპი შემდგომი კვლევებისათვის, რათა გამოვალინოთ და დავხვეწოთ აზალი მჭიდების - გეოპოლიმერების შემადგრენლობები და მიღების ტექნოლოგიები ადგილობრივი არადეფიციტური და იაფი ნედლეულის საფუძველზე.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Корнеев В. И., Брыков А. С. Перспективы развития общестриоительных вяжущих веществ. Геополимеры и их отличительные особенности. Ж. Цемент и его применение. Март-апрель, Москва, 2010, стр. 51-55.
2. Глуховский В.Д., Пахомов В.А. Шлакоцелочные цементы и бетоны. - К.: Будивельник, 1978. 184 с.
3. Davidovits, J. Chemistry of Geopolymeric Systems Terminology. Geopolymer 1999. – Saint - Quentin, France, 1999. Р. 9-40.
4. Lecomte I., Henrist C, Liegeois M. and oth. Micro-structural comparison between geopolymers, alkali-activated slag cement and Portland cement. J.Eur.Cer.Soc. V 26. 2006. p.789-3097.
5. Davidovits J. Soft Mineralurgy and Geopolymers // In proceeding of Geopolymer 88 International Conference, the Université de Technologie, Compiègne, France. 1988. p. 49 – 56.
6. Ерошкина Н. А., Коровкин М. О., Сурков А. Н., Оценка магматических горных пород в качестве сырья для получения геополимерных вяжущих. Молодой ученый. №20. Пенза, 2014. с. 120-123.
7. Сулименко Л.М., Шалуненко Н.И., Урханова Л.А. Механохимическая активация вяжущих композиций. Изв. вузов. Строительство. № 11. Москва, 1995. С. 63 – 683.
8. თ. მაჩალაძე. ოერთველი ახალი ზოგადი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, 2006. 92 გვ.
9. Аналитическая химия. Проблемы и подходы. В двух томах. Том I// Р.Кельнер, Ж.-М Мерме, М. Отто, Г. М. Видмер. М.: Мир. 2004.
10. Схвітариձ Ռ.Ե., Սարսահիւլի Ա.Վ., Դոլիձ Օ.Վ., Դոլիձ Գ.Օ. Պրակтика использования отвального доменного шлака в качестве минеральной добавки в производстве цемента. საქართველოს ტექნიკური უნიվერსიტეტის შრომები. №4 (458). თბილისი, 2005. გვ. 114-120.
11. Логвиненко Н. В., Сергеева Э. И. Методы определения осадочных пород. Учебное пособие для вузов. изд-во Недра. Ленинград, 1986. 240 с.

STUDY OF POSSIBILITY OF RECEPTION OF THE NEW TYPES BINDING MATERIALS – GEOPOLYMERS ON THE BASIS OF THE DUMP SLAG AND VOLCANIC ROCK

E.Shapakidze, M.Nadirashvili, V.Maisuradze, I.Gejadze, E.Xuchua, T.Petriashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Caucasian Alexander Tvalchrelidze Institute of Mineral Resources

SUMMARY

Advantages of production of binders without clinker with ecological and economic point of view are observed. The purpose of the given work is studying of possibility of receiving the new types of binders - geopolymers on the basis of dump slag and volcanic rock - trachyte, for what mechanical and thermal activation of the used raw materials was carried out. Thermal transformations of a dump slag and trachyte, and also mineralogenesis processes are studied at heat. The geopolymeric binders at various modes are in vitro received.

ИЗУЧЕНИЕ ВОЗМОЖНОСТИ ПОЛУЧЕНИЯ НОВОГО ВИДА ВЯЖУЩИХ - ГЕОПОЛИМЕРОВ НА ОСНОВЕ ОТВАЛЬНОГО ШЛАКА И ВУЛКАНИЧЕСКОЙ ГОРНОЙ ПОРОДЫ

Е.В.Шапакидзе, М.Р.Надирашвили, В.Н.Майсурадзе, И.В.Геджадзе, Е.Хучуа, Т.Петриашвили

Тбилисский Государственный Университет им. Иванэ Джавахишвили

Кавказский Институт Минерального Сырья им. Александра Твалчрелидзе

РЕЗЮМЕ

Рассмотрены преимущества производства безкликерных вяжущих с экологической и экономической точки зрения. Целью данной работы является изучение возможности получения новых видов вяжущих – геополимеров на основе отвального доменного шлака и вулканической горной породы – трахита, для чего проводилась механическая и термическая активация использованных сырьевых материалов. Изучены термические превращения отвального шлака и трахита, а также процессы минералообразования при нагреве. В лабораторных условиях получены геополимерные вяжущие при различных режимах твердения.

ქიმიური ტექნოლოგია

აზოფშემცველი ქრომ-მანგანუმიანი ფოლადის პოროზიული მდგრადობა

ნოდარ ლუარსაბიშვილი, ეთერ გოჩალიშვილი, გიორგი ჯაფარიძე
სსიპ - უკრდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცვლეობის ინსტიტუტი

აზოტის გაზრდილი წნევის ქვეშ ელექტროწილური გადაღნობით მიღებულია აზოტშემცველი რთულადლევირებული Cr-Mn-იანი ფოლადი. შესწავლილია ფუძე და ახალი აზოტშემცველი ფოლადების მიკროსტრუქტურები. ახალი ფოლადი 3%-იანი NaCl-ის წყალსნარში მიეკუთვნება კოროზიამედეგ ფოლადებს. ლოკალური სახის კოროზიისადმი მიდრეკილების ელექტროქიმიური პროცენზირების მეთოდის მიხედვით აზოტშემცველი ფოლადი კოროზიამედეგია, რაც დადასტურებულია ხანგრძლივი გრავიმეტრული ატმოსფერული კოროზიული გამოცდებით.


უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ფურადება ექცევა აზოტის გაზრდილი შემცველობის მქონე ფოლადების მიღებას და კვლევას, რადგან ასეთ შენაღნობებში შესაძლებელია პლასტიკურობის დანაკარგის გარეშე სიმტკიცის, კოროზიამედეგობის, მხურგალსიმტკიცის და აუსტენიტის სტაბილურობის გაზრდა, როგორც ტემპერატურის, ასევე მაცვების ან პლასტიკური დეფორმაციის ზეგავლენით. ამასთან, აზოტი აფერხებს ინტერმეტალური ფაზების წარმოქმნას. აზოტის საშუალო და მაღალი შემცველობის პირობებში შესაძლებელია მარტენიტული, აუსტენიტული და ლუპლექს-შენაღნობთა ახალი კლასების მიღება. ასეთი ფოლადების გამოყენების არყალი დიდია, მაგალითად უჟანგავი სამედიცინო ინსტრუმენტების, ბურთულა-საკისრების, ქიმიური და ნავთობტექნიკობის, ზღვის წყალში, კოროზიულად აქტიურ არებში და მაღალ ტემპერატურებზე მომუშავე კონსტრუქციებისათვის, ელექტროტექნიკაში არამაგნიტური დეტალებისათვის და სხვ.

მაღალაზოტიანი ფოლადების მიღება პრობლემატურია, რადგან აზოტის სსნაღნობა ლითონში ძლიერ მცირდება თხევადი მდგომარეობიდან კრისტალიზაციის დროს. უკანასკნელ წლებში მსოფლიოში დიდია ინტერესი აზოტისა და დამცავი აირების წნევის ქვეშ ელექტროწილური გადაღნობის ტექნოლოგიისადმი მიძღვნილი კვლევითი სამუშაოებისადმი. ამ პროცესის ზოგადი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მიღება ხარისხიანი ერთგვაროვანი სხმული მცირე კრისტალური სეგრეგაციით, გოგირდის და არალითონური ჩანართების მინიმალური დონით, უანგბადისადმი მიღრეკილი მალევირებული ელემენტების ნაკლები დანაკარგებით. მიღებულ ნამზადში არ არის წყალბადი და რაც მთავარია, აიროვანი აზოტის გამოყენება მისი დაბალი ფასის გამო, აზოტშემცველ ლიგატურებთან შედარებით, მნიშვნელოვნად ამცირებს ფოლადის თვითღირებულებას.

ინსტიტუტში დამუშავებულია აზოტის გაზრდილი წნევის ქვეშ ელექტროწილური გადაღნობით აზოტშემცველი რთულადლევირებული 1.5-2 კგ მასის მქონე შენაღნობების მიღება [1]. ექსპერიმენტში გამოყენებულია ელექტროწილური გადაღნობის A-550 მარკის დანაღვარი, 140 კვტ სიმძლავრით, 3000 ამპ მაქსიმალური დენის ძალით, სპილენძის კრისტალიზატორით, რომლის შიგა დაბეჭრი 60 მმ-ია, ხოლო სიმაღლე 200 მმ. დნობებში გამოყენებული იყო შემდეგი ქიმიური შედეგების წილი: 70% CaF₂, 15% Al₂O₃, 15% CaO.

სურ. 1-ზე მოცემულია ჩვენს მიერ კონსტრუირებული მოდერნიზებული ელექტროწილური გადაღნობის დანაღვარის გაზრდილი წნევის კამერის სქემა. კოროზიულ მახასიათებლებზე აზოტის გავლენის შესასწავლად გამოყენებული იყო ინსტიტუტში დამუშავებული დაბალნახშირბადიანი ქრომ-მანგანუმიანი ფოლადი (ცხრ. 1, ფუძე), რომელიც დანერგილი იქნა ნატრიუმის სულფიდის წარმოებაში. ელექტროწილური დნობისათვის ამ ფოლადისაგან დამზადდა გადასაღნობი ელექტროდი. 8 ატმ. წნევის ქვეშ აზოტის არეში გადაღნობის შედეგად მიღებულ იქნა შენაღნობი ქიმიური შედეგების წილი (ცხრ. 1, ახალი).

მიღებული სხმული არის საღი, მოცულობაში ფორების გარეშე, კარგი ზედაპირით და აზოტის შემცველობით. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ ინსტიტუტში შექმნილ დანაღვარზე აზოტის გაზრდილი წნევის პირობებში შესაძლებელია ფოლადების აიროვანი აზოტით ლეგირება. გადასაღნობი ელექტროდისათვის გამოყენებული ფოლადის ფურცლის და მიღებული სხმულის მიკროსტრუქტურული კვლევისათვის მექანიკურად პილირებული ზედაპირი მოწალოული იყო აზოტმჟავას პილოქლორიდით (1მოლიHNO₃+3მოლიHCl).



სურ. 1. ელექტროწილური გადადნობის გაზრდილი წნევის კამერის სქემა

1 – аирис წნევის დამჭერი, 2 – კამერის გაცივებადი თავსახური, 3 – аирис წნევის ქვეშ მყოფი სივრცე, 4 – ელექტროდის დამჭერი და დამწოლი ლილვი, 5 – დამაკავშირებელი, 6 – ელექტროდი, 7 – კრისტალიზაციონი, 8 – წილა, 9 – თხევადი ლითონი, 10 – ნამზადი, 11 და 12 – ფხვნილოვანი დანამატების მიმწოდებელი შნეკური მოწყობილობები, ~ტრ. – ელექტროკვება.

სტანდარტული მეთოდიკების გამოყენებით [2,3] შესწავლილი იყო ცხრ.1-ში მოცემული Cr-Mn-იანი ფოლადების კოროზიული ქცევა აერირებულ 3%-იანი NaCl-ის წყალსნარში ოთახის ტემპერატურაზე. განსაზღვრული იყო კოროზიის სიჩქარეები გრავიმეტრულად და პოტენციოდინამიკური მრულების ტაფელის დახრებით. ასევე ჩატარებული იყო ციკლური პოტენციოდინამიკური სკანირება ლოკალური კოროზიის პროგნოზირებისთვის [4].

ცხრილი 1. ფოლადის ნიმუშების ქიმიური შედეგნილობა, მას.%

| ნიმუში | შედეგნილობა | | | | | | |
|--------|-------------|------|-----|------|------|-----|------|
| | Fe | C | Si | Cr | Mn | Ni | N |
| ფუძე | ბალანსი | 0,06 | 0,9 | 24 | 14 | 0,1 | - |
| ახალი | ბალანსი | 0,09 | 0,9 | 21,4 | 11,8 | 0,1 | 0,28 |


ამ მიზნით გამოსაცდელი ფოლადის ნიმუშებიდან, რომელთა ქიმიური შედეგნილობა მოცემულია ცხრ. 1-ში, დამზადებული იყო სტანდარტული ელექტროდები [4] ელექტრულად იზოლირებული გვერდითი ზედაპირით. ატმოსფერული გრავიმეტრული გამოცდებისთვის დამზადებული იყო ხუთი ცილინდრული ფორმის ნიმუში ~ 15 სმ² ზედაპირის ფართით და ~ 12 გ მასით. მათი გამოცდის ხანგრძლივობამ შეადგინა 3000 სთ, აქედან 20% ულტრაისფერი დასხივების პირობებში მიმდინარეობდა ~20°C ტემპერატურაზე, ნიმუშების პერიოდული დანამვით 3%-იანი NaCl-ის წყალსნარით.

კოროზიის სიჩქარის დასადგენად ტაფელის დახრების საშუალებით გამოყენებული იყო 0,1 და 0,4 მვ/წ-ის სიჩქარით გადადებული კათოდურ-ანოდური პოტენციოდინამიკური მრუდები $-250 \leq E_{\text{კრ.}} \leq 250$ მვ ინტერვალში. ასევე შესწავლილი იყო ფოლადების ანოდური პოტენციოდინამიკური ქცევა


წონასწორულიდან 0,5 კ-დე პოტენციალთა დიაპაზონში. პოტენციალები მოცემულია ქლორ-ვერცხლის ელექტროდის მიმართ. კოროზიის სიჩქარის გადასათვლელად კოროზიის დენის მნიშვნელობიდან (მკ/სმ^2) სილრმით მაჩვენებელზე (მმ/წელი) გამოყენებული იყო სპეციალური პროგრამა [5].

კოროზიის ლოგალური სახეების რისკების პროგნოზირება მოვახდინეთ პოტენციოლინამიკური ციკლური სკანირების მეთოდით [3,4]. ფოლადის ელექტროდი, რომლის მუშა ზედაპირი არ აღემატებოდა 2 სმ²-ს, თავსდებოდა გამოსაცდელ სსნარში. 24 სთ-იანი დაყოვნების შემდეგ დამყარებული კოროზიის პოტენციალიდან 0,4 მვ/წმ სიჩქარით ხდებოდა პოლარიზაციული მრუდების გადაღება დადგებითი მიმართულებით და შემდეგ უკუსვლით, ანოდურიდან კათოდურ უბანში. ორივე მიმართულებით შერჩეული იყო ზღვრული პოტენციალის ისეთი მნიშვნელობა, რომ ამ დროს მიღწეული მაქსიმალური დენის სიმკვრივე, ზედაპირის ძლიერი ცვლილების თავიდან ასაცილებლად, არ აღემატებოდა 10^{-4} ა/სმ². თითოეული მრუდის სკანირება ხდებოდა ორჯერ, ცუდი აღწარმოების შემთხვევაში - სამჯერ.

მოწამვლის შემდეგ ფუძე ფოლადის მიკროსტრუქტურის შესწავლით გამოვლინდა მაღალტემპერატურული დეფორმაციით გამოწვეული წაგრძელებული მარცვლის საზღვრები (სურ.2). მეტი გადიდებისას მარცვლის საზღვრებზე შეიმჩნევა უფრო ღია ფერის გამონაყოფები - სავარაუდოდ სიგმა ფაზა. მიღებული სხმულის მიკროსტრუქტურა საწყის მდგომარეობაში და 550°C ტემპერატურაზე 7 სთ-იანი მოწვის შემდეგ წარმოდგენილია სურ.3-ზე (შესაბამისად ა და ბ).



სურ. 2. ფუძე ფოლადის მიკროფოტოგრაფია (X 100)



სურ. 3. სხმულის მიკროსტრუქტურა: ა - საწყის მდგომარეობაში, ბ - 550°C -ზე 7 სთ-იანი მოწვის შემდეგ (X 100)

მისი მიკროსტრუქტურა საკმაოდ მსხვილმარცვლოვანია (სურ.3 ა). მცირე გადიდებისას ჩანს სვეტისებური კრისტალები, რომლებიც დაახლოებით 60° -იანი კუთხით არიან დახრილები სხმულის ზედაპირიდან ცენტრისაკენ კრისტალიზაციის ფრონტის მიმართულებით. 550°C -ზე 7 სთ-იანი მოწვის

შემდეგ მიკროსტრუქტურაში (სურ.3, δ) მკვეთრად გამოიკვეთა მარცვლის საზღვრები და მარცვლის შიდა სხვადასხვა ზომის გამონაყოფები ქრომის ნიტრიდების და კარბონიტრიდების სახით.


ფოლადების კოროზიის პოტენციალების მნიშვნელობები 3%-იანი NaCl-ის წყალში დაყოვნების ხანგრძლივობის მიხედვით იცვლება დიაპაზონში -0,28-დან -0,40 ვ-მდე. ამასთანავე, 120 სთ-ის შემდეგ ორივე ფოლადის კოროზიის პოტენციალთა მნიშვნელობები უახლოვდება ერთმანეთს და შეადგენს -0,380 ვ-ს, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია პასივაციური ფურჩის ერთნაირი ბუნებით.

აზოტიანი ფოლადის ანოდური პოტენციოდინამიკური ქცევის შესწავლამ 3%-იან NaCl-ის ხსნაში აჩვენა, რომ ამ არეში ფოლადი წარმოადგენს პასივირებად სისტემას კოროზიის პოტენციალიდან -0,11 ვ-მდე, თუმცა ფურჩესთან შედარებით მაღალი გახსნის დენით. ამის შემდეგ ხდება დენის სიმკრივეთა დაახლოვება (სურ.4). აზოტიანი ფოლადისგან განსხვავებით ფუძე ფოლადის პოტენციოდინამიკურ მრუდზე შეიმჩნევა გარკვეული აქტიური გახსნის უბანი, რომელიც აღარ ფიქსირდება 0,1 მვ/წმ სიჩქარით გადაღებულ მრუდებზე. მიუხედავად იმისა, რომ სკანირების სხვადასხვა სიჩქარისას მრუდის ფორმა შენარჩუნებულია, იცვლება პარამეტრები, რის გამოც რიცხვითი მნიშვნელობების მოტანა საფუძველს მოკლებულია. ფუძე ფოლადის და აზოტიანი ფოლადის შედგენილობებს შორის არსებობს გარკვეული განსხვავება (ცხრ.1), რაც არ იძლევა ცალსახა დასკვნების გაკეთების საშუალებას აზოტის გავლენის შესახებ.


პოტენციოდინამიკურა სკანირებამ წონასწორული პოტენციალიდან 0,80 ვ-მდე არ გამოავლინა კოროზიულ-ელექტროქიმიური ქცევის არავითარი ცვლილება. დიდი განსხვავება პიტინგის წარმოქმნის და კოროზიის პოტენციალებს შორის, ისევე, როგორც კოროზიის პოტენციალის დროში უარყოფითი მნიშვნელობებისკენ გადანაცვლება არ იძლევა პიტინგური კოროზიის შესაძლებლობის შესახებ საბოლოო დასკვნის გაკეთების საშუალებას.

ლოკალური კოროზიის ელექტროქიმიური პროცენტირებისთვის ციკლური პოტენციოდინამიკური სკანირებით ხსნარში ელექტროდის 24 სთ-იანი დაყოვნების შემდეგ გადაღებული პოტენციოდინამიკური მრუდები წარმოდგენილია სურ.5-ზე. ანოდური უბნის ფორმა ძირითადად შენარჩუნებულია, თუმცა მრუდები ხსნარში ელექტროდის დაყოვნების გამო გადანაცვლებულია პოტენციალების ელექტროუარყოფითი და დენების შედარებით მაღალი მნიშვნელობის მიმართულებით. პოლარიზაციული სკანირების პარამეტრები, რომელთა ურთიერთმიმართების საფუძველზე ხდება ლოკალური კოროზიის პროცენტირება, წარმოდგენილია ცხრ.2 -ში.

ორივე ფოლადის კოროზიის პოტენციალების მნიშვნელობები მდებარეობენ რეპასივაციის და პიტინგის წარმოქმნის პოტენციალების მნიშვნელობათა შორის. ასეთი განლაგება ამ ორი პარამეტრის სიახლოვის შემთხვევაში შესაძლოა დაკავშირებული იყოს ლოკალური კოროზიის რისკთან, თუმცა რეპასივაციის პოტენციალის პიტინგის წარმოქმნის პოტენციალთან შედარებით ~250 მვ-ით უფრო ელექტროუარყოფითი მნიშვნელობა გამორიცხავს სკანირების სიჩქარის გავლენით რეპასივაციის პოტენციალის მნიშვნელოვან ადგილმონაცვლეობას [5]. მრუდებისთვის დამახასიათებელი დადებითი პისტერეზის აგრეთვე მიუთითებს მედეგობაზე ლოკალური კოროზიის მიმართ.



სურ. 4. Cr-Mn-იანი ფოლადების პოტენციოდინამიკური მრუდები 3%-იან NaCl-ის ხსნარში (0,4 მვ/წმ) აზოტით (--) და მის გარეშე (—)



სურ. 5. Cr-Mn-იანი ფოლადების ციკლური პოტენციოდინამიკური მრუდები 3%-იან NaCl-ის ხსნარში

პოლარიზაციული სკანირების პარამეტრების მნიშვნელობები გვიჩვენებს, რომ შენაღნობები ძალიან ადვილად განიცდიან პასივაციას. მრუდის ასეთი ხასიათი ასოცირდება ლოკალური კოროზიისადმი მდგრადობასთან. აზოტიან ფოლადს არ ახასიათებს აქტიურ-პასიური გადასვლა, ხოლო ფუძისთვის დამახასიათებელი პიკი მდებარეობს კოროზიის პოტენციალიდან 90 მვ-ით უფრო ელექტროუარყოფითი მიმართულებით, რის გამოც ნაკლებად მოახდენს გავლენას ფუძე ფოლადის მედეგობაზე ლოკალური კოროზიისადმი.

ცხრილი 2. Cr-Mn-იანი ფოლადების პოლარიზაციული სკანირების პარამეტრები

| № | პარამეტრები | მნიშვნელობა | |
|---|--|-------------|----------|
| | | ფუძე | ხალი |
| 1 | კოროზიის პოტენციალი | -0,376 | -0,380 |
| 2 | რეპასივაციის პოტენციალი | -0,410 | -0,390 |
| 3 | პიტინგის წარმოქმნის პოტენციალი | -0,120 | -0,120 |
| 4 | ანოდ.-კათ. გადასვლის პოტენციუალუსვლით მრუდზე | -0,380 | -0,390 |
| 5 | ჰისტერეზისი | დადებითი | დადებითი |
| 6 | აქტიურ-პასიური გადასვლა | არ აქვს | ქვს |

ამგვარად, ხსნარში 24 სთ-იანი დაყოვნების შემდეგ გადაღებულმა პოტენციოდინამიკური მრუდის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ფოლადი ადვილად პასიურდება და არ არის მიღრებილი კოროზიის ლოკალური სახეებისადმი, როგორიცაა პიტინგური, ღრეჩოვანი, წყლულოვანი და ა.შ. ეს შედეგი სრულ შესაბამისობაშია ლიტერატურულ მონაცემებთან, რომელთა მიხედვით აზოტი ამცირებს პიტინგურ კოროზიას და ზრდის კოროზიული დაღლილობის ზღვარს [6,7].

პოტენციოდინამიკური მრუდებიდან ტაფელის დახრების გამოყენებით განსაზღვრული იქნა კოროზიის დენის სიმკვრივეები ($\text{მმ}/\text{სმ}^2$) და შემდეგ გადათვლილი იქნა კოროზიის სიჩქარეთა მნიშვნელობებზე ($\text{მმ}/\sqrt{\text{წელი}}$). გამოყენებული იყო, როგორც კათოდური, ასევე ანოდური და კათოდურ-ანოდური მრუდები, კოროზიის დენების და სიჩქარეების მნიშვნელობები Cr-Mn-იანი ფოლადისთვის (ახალი) წარმოდგენილია ცხრ.3-ში.

ცხრილი 3. Cr-Mn-იანი ფოლადის კოროზიის სიჩქარეთა მნიშვნელობები 3%-იანი NaCl-ის ხსნარში

| № | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
|-----------------------------------|-------------------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|
| $i, \text{მმ}/\text{სმ}^2$ | 0,0013 | 0,0013 | 0,0039 | 0,0008 | 0,0015 | 0,0013 | 0,0004 | 0,0003 |
| $k, \text{მმ}/\sqrt{\text{წელი}}$ | 0,0146 | 0,0146 | 0,0439 | 0,0094 | 0,0175 | 0,0146 | 0,0049 | 0,0035 |
| K საშ.მმ./\sqrt{\text{წელი}} | $0,015 \pm 0,008$ | | | | | | | |

კოროზიის შეფასების ათბალიანი სისტემის მიხედვით ფოლადი განეკუთვნება კოროზიამედეგ ფოლადებს [8]. მიკროსკოპიული დათვალიერებით გამოცდების შემდეგ ნიმუშების ზედაპირი არ იყო დაზიანებული.

დაჩქარებული მეთოდით მიღებული დასკვნა დადასტურდა ატმოსფერულ პირობებში ხანგრძლივი გამოცდებით, როდესაც 3%-იანი ნატრიუმის ქლორიდის ხსნარის პერიოდული დასხურების და ულტრაისტფერი დასხივების პირობებში ახალი ფოლადის კოროზიის სიჩქარემ შეადგინა $0,0061 \pm 0,0012 \text{ მმ}/\sqrt{\text{წელი}}$. ახალი ფოლადის კოროზიამედეგობის კლასი ატმოსფერულ პირობებში გამოცდის შედეგად რჩება ზღვრებში $0,01$ -დან $0,05 \text{ მმ}/\sqrt{\text{წელი}} - \text{კოროზიამედეგი ფოლადი}$ [8].

ტაფელის დახრების მიხედვით მიღებულმა კოროზიის სიჩქარეებმა ფუძე ფოლადისთვის შეადგინა $0,0001 \pm 7,06 \text{ E}-05 \text{ მმ}/\sqrt{\text{წელი}}$. შეფასების ათბალიანი სისტემით ის სრულიად კოროზიამედეგია.

ასეთი განსხვავება კოროზიამედეგობაში შეუძლებელია აიხსნას მხოლოდ ქრომის შედარებით მაღალი შემცველობით ($24\text{Cr}14\text{Mn}$) აზოტიან ფოლადთან შედარებით ($21\text{Cr}12\text{Mn}$). მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ნიტრიდების წარმოქმნას, რაც ზოგიერთი ლიტერატურული მონაცემებით განაპირობებს ქრომის მატრიცის გაღარიბებას [9] და მაპასივებელი ფენის ნაკლებ სიმტკიცეს. ზოგიერთი ავტორი უარყოფს ქრომის მატრიცის გაღარიბებას ფოლადში აზოტის გაცილებით დიდი რაოდენობის (~1%) შემცველობისასაც კი [10]. უფრო მეტად სავარაუდოა ქრომის ნიტრიდებით და კარბონიტრიდებით გამოწვეული მაპასივებელი ფენის არაერთგვაროვნება და მისი გავლენით კოროზიის სიჩქარის ზრდა.

დამუშავებულია აზოტის გაზრდილი წნევის ქვეშ ელექტროწილური გადაღნობით აზოტშემცველი როულადლეგირებული 1,5-2,0 კგ მასის მქონე შენაღნობების მიღების მეთოდი. მიღებულია აზოტის შემცველი Cr-Mn-იანი ფერიტული კლასის ფოლადი, რომელიც 3% NaCl-ის წყალსნარში მიეკუთვნება კოროზიამცევ ფოლადებს. ფუძე ფოლადი ხასათდება აქტიური განსხის უბნით, რაც არ ახასიათებს აზოტის შემცველ ფოლადს. ლოკალური სახის კოროზიისადმი მიღრეკილების ელექტროქიმიური პროცენზირების მეთოდის მიხედვით, აზოტშემცველი ფოლადი არ არის მიღრეკილი ლოკალური კოროზიისადმი, რაც დადასტურებულია ხანგრძლივი გრავიმეტრული ატმოსფერული კოროზიული გამოცდებით.

ლიტერატურა - REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. N.Luarsabishvili, G.Djaparidze, V.Badzoshvili. Obtaining nickel-free steels with nitrogen. International Conference “Innovative Technologies in Metallurgy and Materials Science”, 16-18 July, 2015, Tbilisi, Georgia. Book of Abstracts. pp. 109-110.
2. ASTM Standards: Metal Corrosion. Wear and Erosion. ASTM, v.03.02, August 2014.
3. 3.Ulhig's Corrosion Handbook. Practical Corrosion Prediction Using Electrochemical Techniques. Second Ed., 2000,1302 p.
4. 4.D.C.Silverman. Developing and Applying Technologies – Practical Corrosion Prediction. Corrosion, Vol. 64, No. 8, 2008, pp. 627-640.
5. <http://www.corrosionsource.com/Corrosion-Rate-calculator>
6. C. R. Clayton and K. G. Martin, “Evidence of Anodic Segregation of Nitrogen in High Nitrogen Stainless Steels and Its Influence on Passivity,” HNS-88, Proceedings of the International Conference, 1989, pp.256-268.
7. E. Truman, “Effects of Nitrogen Alloying on Corrosion Behavior of High Alloy Steels, HNS-88, Proceedings of the International Conference, 1989, pp.225-239.
8. Коррозионная стойкость материалов. Прогнозирование и диагностика процессов коррозии. Изд. ТГТУ • Тамбов. 2003, 78 ст.
9. E. U. Lee, R. Taylor. High nitrogen stainless steel. Technical report NAWCADPAX/TR-2011/162, Naval air warfare center aircraft division. Patuxent river, Maryland, 2011, 36 p.
10. Roman Ritzenhoff and André Hahn(2012). Corrosion Resistance of High Nitrogen Steels. Corrosion Resistance. Dr. Shih(Ed.), ISBN: 978-953-51-0467-4, In Tech, Available from: <http://www.intechopen.com/books/corrosion-resistance/corrosion-resistance-of-high-nitrogen-steels>

CORROSION RESISTANCE OF NITROGEN-CONTAINING CHROMIUM-MANGANESE STEEL

N.Luarsabishvili, E.Gozalishvili, G.Djaparidze

LEPL - Ferdinand Tavadze Institute of Metallurgy and Material Science

SUMMARY

The multiple alloyed nitrogen-containing Cr-Mn steel was obtained under heightened pressure of nitrogen by means of electroslag remelting. The microstructures the basic and new nitrogen-containing steels have been studied. The new steel in 3% NaCl aqueous solution belongs to corrosion resistant steels. According to an electrochemical method of predicting the propensity to local types of corrosion, nitrogen-containing steel is corrosion-resistant, which was confirmed by long term gravimetric atmospheric corrosion tests.

КОРРОЗИОННАЯ СТОЙКОСТЬ АЗОТСОДЕРЖАЩЕЙ ХРОМО-МАРГАНЦЕВОЙ СТАЛИ

Н.Н.Луарсабишвили, Э.И.Гозалишвили, Г.А.Джапаридзе

ЮЛПП - Институт металлургии и материаловедения им. Фердинанда Тавадзе

РЕЗЮМЕ

Получена сложнолегированная азотсодержащая Cr-Mn сталь электрошлаковой переплавкой под повышенным давлением азота. Изучены микроструктуры основной и новой азотсодержащих сталей. Новая сталь в водном растворе 3%-го NaCl принадлежит к коррозионностойким сталим. Согласно электрохимическому методу прогнозирования склонности стали к локальным видам коррозии, азотсодержащая сталь является коррозионностойкой, что подтверждено долговременными гравиметрическими атмосферными коррозионными испытаниями.

ქიმიური ტექნოლოგია

**თანამედროვე საკონსტრუქციო მასალების კოროზიული გამოცდები
მაცნემის სულფატის შემსავავაულ ხსნაში და მათ ბაზაზე მაცნემის
ლიოსილისა და ფიალპალის მისაღები მსხვილლაპორატორიული
ელექტროლიზერის დამუშავება, დამზადება და გამოცდა**

თემურ ჩახუნაშვილი, თემურაზ როყვა, ზინაიდა ვაწაძე, მერაბ დადუნაშვილი,
ჟიული ქებაძე, შოთა მახათაძე, ნანული ბუთლიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რაფიელ ავლაძის არაორგანული ქამისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

მანგანუმის სულფატის შემსავებულ ხსნაებში და მათ აირორთქლნარევში ელექტროლიზის მსვლელობის დროს მაღალ ტემპერატურაზე (95°C) შესწავლილია თანამედროვე საკონსტრუქციო მასალების – ტიტანისა და სხვა საეცალური შენაძნობების, აგრეთვე ზოგიერთი ნახშირბადოვანი და პოლიმერული მასალის კოროზიული თვისებები. მიღებული შედეგების გათვალისწინებით დამუშავებულია და დამზადებულია მანგანუმის დიოქსიდისა და წყალბადის მისაღები აბაზანის ძირითადი კვანძები. დადგენილია ელექტროლიზის პროცესის ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრები.

ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის (ემდ) წარმოების ტექნოლოგიაში დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საკონსტრუქციო მასალების გამოყენებას, როგორიცაა ტიტანი და მისი შენაძნობები, უფანგავი და საეცალური ფოლადები, ნახშირბადოვანი და პოლიმერული მასალები. ისანი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ გამოყენებული ტექნოლოგიური მოწყობილობის მუშაობის უნარიანობას, რაც, პირველ რიგში, დამოკიდებულია მათ მექანიკურ სიმტკიცეზე, ცვეთამედევობაზე, კოროზიულ მდგრადობაზე. ყოველივე ეს პირდაპირ გავლენას ახდენს მიღებული პროდუქტის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე და თვითღირებულებაზე.

ემდ-ის ტექნოლოგიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოყენებული მასალების კოროზიული მდგრადობა, რადგან ტექნოლოგიური პროცესები ტარდება მაღალ ტემპერატურაზე და აგრესიულ გარემოში, კერძოდ, მანგანუმის დიოქსიდის ელექტროგამოლექვის პროცესი მიმდინარეობს წყალხსნარებისათვის მაქსიმალურ – $9.9-9.8^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე მანგანუმის სულფატის შემსავებულ ხსნაებში – $20-50 \text{ g/l}$ გოგირდმჟავის თანაბისას.

რაც შეეხება ახალი კონსტრუქციის დახურულ აბაზანას [1], ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სირთულე მისი კონსტრუირების, დამზადებისა და ექსპლუატაციის დროს მდგომარეობს იმაში, რომ დახურული აბაზანის ზედა, ხსნარისაგან თავისუფალ ნაწილში – მუშა ხსნარის ზედაპირსა და სახურავს შორის არსებულ სივრცეში ელექტროლიზის მსვლელობის დროს ხსნარის მაღალ ტემპერატურაზე წარმოიქნება აირორთქლნარევი, რომელიც შედგება გოგირდმჟავის, მანგანუმის სულფატის, წყალბადის, პარაფინისა და წყლის ორთქლისაგან, და რომელიც კოროზიულად აგრესიულია. ამ აირორთქლნარევის კოროზიული ზემოქმედების ქვეშ იმყოფება ანიდებისა და კათოდების ზედა ნაწილი, მათი დენძიმყვანები, სამაგრი დეტალები, აბაზანის სახურავის შიგა ზედაპირი, აბაზანის ჰერმეტიზაციის კონსტრუქციის ელემენტები.

ქვემოთ მოცემულია ემდ-ის ტექნოლოგიაში გამოყენებული და ჰერსპექტიული საკონსტრუქციო მასალების ჩვენს მიერ ჩატარებული კოროზიული გამოცდების შედეგები. კოროზიული გამოცდები ტარდებოდა მასური (წონითი) მეთოდით. მომზადებული ნიმუშები წინასწარ მუშავდებოდა მექანიკურად მათი ზედაპირი გასუფთავების მიზნით, უტარდებოდა გაუცხიმოვნება – ირეცხებოდა გამრეცხი საშუალებით, შრებოდა მუდმივ მასამდე მიყვანით და ისაზღვრებოდა მათი საბოლოო მასა ანალიზურ სასწორზე. მზა ნიმუშები კოროზიული გამოცდებისათვის თავსდებოდა ორ ხსნადასხვა გარემოში: 1) მუშა ელექტროლიტი – მანგანუმის სულფატის გოგირდმჟავით შემსავებული ხსნარი; 2) დახურული აბაზანის ხსნარის ზედა სივრცე ელექტროლიზის მსვლელობის დროს.

გამოცდების დამთავრების შემდეგ კოროზიის პროდუქტების მოსაცილებლად ნიმუშები ირეცხებოდა ონგანის წყლის ძლიერი ჭავლით, შრებოდა მუდმივ მასამდე მიყვანით და ისაზღვრებოდა მათი საბოლოო მასა.

მასათა სხვაობის მიხედვით ხდებოდა კოროზიის სიჩქარის გამოთვლა (განზომილება $\text{g}/\text{m}^2 \cdot \text{სთ}$).

საკონსტრუქციო მასალების მანგანუმის სულფატის შემუავებულ ხსნარებში (მუშა ელექტროლიტი) კოროზიული გამოცდის მიზანს წარმოადგენდა მათი ელექტროლიზური აბაზანის ისეთ კვანძებსა და დეტალებში გამოყენების შესაძლებლობის დადგენა, რომლებსაც უშუალო კონტაქტი აქვთ ხსნართან. ასეთი კვანძები და დატელებია ანოდები და კათოდები, აბაზანის კორპუსი, სამაგრი დეტალები.

ცხრილი 1. საკონსტრუქციო მასალების კოროზიული გამოცდები მანგანუმის სულფატის შემუავებულ ხსნარებში უდენო მდგომარეობაში. ხსნარის შემადგენლობა
 $124,1 \text{ g/l MnSO}_4 + 29,7 \text{ g/l H}_2\text{SO}_4$. ტემპერატურა 95°C ,
 კოროზიული გამოცდის ხანგრძლივობა – 20 საათი

| რიგ. № | საკონსტრუქციო მასალის დასახელება | მასა ცდის წინ, გ | მასა ცდის შემდეგ, გ | სხვაობა მასაში (კლება ან მატება) | ნიმუშის ზღაპარის ფართობი, m^2 | კოროზიის სიჩქარე, $\text{g}/\text{m}^2 \cdot \text{სთ}$ |
|--------|---|------------------|---------------------|----------------------------------|--|---|
| 1 | ტყვია | 16,652 | 16,636 | -0,016 | 1,8 | 4,44 |
| 2 | სპუც. ფოლადი ეი-943 | 13,192 | 13,1875 | -,0045 | 1,625 | 1,38 |
| 3 | Ti-MnO ₂ | 19,673 | 19,621 | -0,052 | 4,534 | 5,763 |
| 4 | ტიტან-პალადიუმი | 3,1365 | 3,1365 | 0 | 0,77 | 0 |
| 5 | ტიტან-მოლიბდენი | 2,941 | 2,939 | -0,002 | 5,10 | 0,19 |
| 6 | სპილენბი | 7,699 | 7,678 | -0,021 | 0,986 | 10,64 |
| 7 | ტექნიკური ტიტანი | 2,047 | 2,047 | 0 | 0,304 | 0 |
| 8 | ნიკელი | 0,600 | 0,6905 | +0,0905 | 0,22 | 205,68 |
| 9 | გრაფიტი ლეროვანი | 10,068 | 10,0545 | -0,0135 | 5,652 | 1,19 |
| 10 | პიროლიზებული მინა – ტექსტოლიტი მომინანქრებული | 12,6535 | 11,5065 | -1,147 | 6,48 | 88,5 |
| 11 | გრაფიტი მცირენაცრიანი | 8,976 | 8,873 | -0,105 | 5,4 | 9,53 |
| 12 | პიროლიზებული მინა – ტექსტოლიტი | 5,8535 | 5,6915 | -0,162 | 3,78 | 21,42 |
| 13 | კაპრონი | 7,106 | 6,122 | -0,984 | 5,966 | 82,4 |
| 14 | ტეფლონი | 7,237 | 7,237 | 0 | 3,42 | 0 |
| 15 | პოლიპროპილენი (რუსეთი) | 5,0025 | 5,012 | -0,0095 | 6,144 | 0,77 |
| 16 | პოლიპროპილენი (ჩეხეთი, თეთრი) | 4,861 | 4,865 | +0,004 | 6,09 | 0,32 |
| 17 | ებონიტი | 6,9325 | 6,9555 | +0,023 | 6,279 | 1,83 |
| 18 | ტექსტოლიტი | 3,833 | 3,7665 | -0,0665 | 3,51 | 9,47 |
| 19 | გეტინაქსი | 5,151 | 5,196 | +0,045 | 4,025 | 5,59 |
| 20 | პოლიეთილენი | 1,825 | 1,8215 | -0,0035 | 2,072 | 0,84 |
| 21 | ვინიპლასტი | 3,7655 | 3,787 | +0,0215 | 3,06 | 3,51 |
| 22 | პოლიპროპილენი (ჩეხეთი, ლურჯი) | 1,910 | 1,9105 | +0,0005 | 2,17 | 0,11 |

როგორც ცხრილიდან 1 ჩანს, ლითონური მასალებიდან ყველაზე მაღალი კოროზიული მდგრადობა აქვს ტიტანის შენაღნობებს პალადიუმთან და მოლიბდენთან, აგრეთვე ტექნიკურ ტიტანის BT1-0-ს. გამომდინარე კარგი ტექნოლოგიური თვისებებიდან და შედარებითი სიაფიდან უპირატესობას ვანიჭებთ ტექნიკურ ტიტანის, რომლისგანაც მზადდება ანოდები, – ელექტროდები, რომლებზედაც ელექტროლიზის მსვლელობის დროს გამოილექტება მიზნობრივი პროდუქტი – ემდ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ანოდური პოლარიზაციის დროს ტიტანის ზედაპირზე წარმოიქმნება სტექიომეტრულთან მიახლოებული ტიტანის დიოქსიდის ფენა, რომელიც ანოდის კოროზიულ მდგრადობას კიდევ უფრო ზრდის [2]. ამიტომ არის, რომ უკანასკნელ 20 წელიწადში ტიტანმა საბოლოოდ დაიმკვიდრა საუკეთესო საანოდე მასალის სახელი ემდ-ის მისაღებად სამრეწველო მასშტაბში.

რაც შეეხება ნახშირბადოვან მასალებს, ყველაზე ნაკლები მასის ცვლილება გამოამჟღავნა ღრმოვანმა გრაფიტმა, რომელიც გამოიყენება დენმიმუვანად პირველად დენის ქიმიურ წყაროებში. შემდეგ მოდის მცირენაცრიანი გრაფიტი, რომელიც ღრმოვან გრაფიტან შედარებით მასის მეტი ცვლილება გვიჩვენა, მაგრამ მცირენაცრიან გრაფიტს რიგი უპირატესობებისა გააჩნია სხვა ანალოგიურ მასალებთან შედარებით (გაზრდილი მექანიკური სიმტკიცე, მინარევების მცირე შემცველობა, მექანიკურად დამუშავების შესაძლებლობა, დიდი ზომის ელექტროდების (სიგრძე 1,5 მ და მეტი) დამზადების გამოცდილება). ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით მცირენაცრიანი გრაფიტის გამოყენება კათოდად ეძღის წარმოებაში ტექნიკურ-ექონომიკურად გამართლებულია.

პოლიმერული მასალების კოროზიულმა გამოცდამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გვიჩვენა ტეფ्लონის (პოლიტეტრაფტორეთილენი, უტოროპლასტი) ყველაზე მაღალი კოროზიული მდგრადობა ჩვენს საკვლევ ხსნარებში. ამ მასალის ერთადერთი სერიოზული ნაკლია მაღალი ფასი. ტეფ्लონის შემდეგ მაღალი კოროზიული მდგრადობა აჩვენა პოლიპროპილენმა. მისი სხვა დაღვებითი თვისებების გათვალისწინებით ის ეძღის მისაღები აბაზანის კორპუსის ყველაზე საუკეთესო მასალად შეიძლება ჩაითვალოს.

ჩვენს მიერ შერჩეული საკონსტრუქციო მასალების გამოცდამ მანგანუმის სულფატის შემჯვებული ხსნარის ატმოსფეროში დახურულ აბაზანში ელექტროლიზის ჩატარების დროს ძირითადად მასალების კოროზის იგივე კანონზომიერები აჩვენა, რაც საკვლევი ნიმუშების უშუალოდ მუშა ხსნარში მოთავსებამ (ცხრილი 2).

ცხრილი 2. კოროზიული გამოცდები მუშა ელექტროლიტის აირორთქლნარევის ატმოსფეროში ელექტროლიზის მსვლელობის დროს. ელექტროლიზის პირობები: ხსნარის საწყისი შემადგენლობა – 124,1 გ/ლ $MnSO_4$ + 29,7 გ/ლ H_2SO_4 . ტემპერატურა 95°C,
 $i_a = 10 \text{mA/cm}^2$, $I = 1,15 \text{ A}$, ცდების ჯამური ხანგრძლივობა – 15 საათი

| რიგ. № | შაკონსტრუქციო მასალის დასახელება | მასა ცდის წინ, გ | მასა ცდის შემდეგ, გ | სხვაობა მასაში (კლება ან მატება) | ნიმუშის ზღაპრის ფართობი, S, სმ ² | კოროზიის სიჩქარე, გ/მ ² · სთ |
|--------|--|------------------------|------------------------------|--|--|---|
| 1 | ტყვია | 15,170 | 15,1625 | -0,0075 | 1,38 | 3,623 |
| 2 | სპეც. ფოლადი ეი-943 | 8,995 | 8,9965 | +0,0015 | 1,04 | 0,926 |
| 3 | Ti-MnO ₂ | 19,673 | 19,652 | -0,021 | 4,534 | 0,000003 |
| 4 | ტიტან-პალადიუმი | 2,982 | 2,982 | 0 | 0,735 | 0 |
| 5 | ტიტან-მოლიბდენი | 3,2945 | 3,2950 | +0,0005 | 0,54 | 0,617 |
| 6 | სპილენბი | 7,631 | 7,6265 | -0,0045 | 0,96 | 3,125 |
| 7 | ტექნიკური ტიტანი | 1,857 | 1,856 | -0,001 | 0,256 | 0,056 |
| 8 | იკელი | 0,631 | 0,6305 | -0,0005 | 0,176 | 1,894 |
| 9 | გრაფიტი ღრმოვანი | 9,8125 | 10,1405 | +0,328 | 5,338 | 40,964 |
| 10 | პიროლიზებული მინა – ტექსტოლიზი მომინანქრებული | 13,9385 | 14,508 | +0,5695 | 6,48 | 0,009 |
| 11 | გრაფიტი მცირენაცრიანი | 9,133 | 9,566 | +0,433 | 4,25 | 67,922 |
| 12 | პიროლიზებული მინა – ტექსტოლიზი | 5,8535 | 5,867 | +0,0135 | 3,2 | 2,813 |
| 13 | აპრონი | 7,484 | 7,076 | -0,408 | 4,251 | 63,985 |
| 14 | თეფ्लონი | 7,8355 | 7,840 | +0,0045 | 4,275 | 0,701 |
| 15 | პოლიპროპილენი (რუსთი) | 4,657 | 4,692 | +0,035 | 4,5 | 5,072 |
| 16 | პოლიპროპილენი (ჩეხეთი, თეთრი) | 4,481 | 4,535 | +0,054 | 5,32 | 6,767 |
| 17 | ბონიტე | 6,9325 | 6,962 | +0,0295 | 6,279 | 3,138 |
| 18 | თექსტოლიზი | 3,9565 | 4,083 | +0,1265 | 3,645 | 23,137 |
| 19 | ეტინაქსი | 5,241 | 5,232 | -0,009 | 4,14 | 1,449 |
| 20 | პოლიეთილენი | 1,824 | 1,295 | -0,529 | 1,998 | 176,51 |
| 21 | Vინიპლასტი | 2,790 | 2,7925 | +0,0025 | 2,208 | 0,755 |
| 22 | პოლიპროპილენი (ჩეხეთი, ლურჯი) | 1,9675 | 2,0155 | +0,048 | 2,1 | 15,238 |

დახურულ აბაზანაში ელექტროლიზის დროს მუშა ხსნარიდან მაღალ ტემპერატურაზე გამოყოფილი ქაირორთქლნარევი პირველ რიგში შეხებაში იმყოფება ანოდებისა და კათოდების დენმიმყვანებთან, სახურავის შიგა ზედაპირთან., სამაგრ დეტალებთან (ჭანჭიკები და ქნჩები), გრაფიტის კათოდების უდელაკებთან.

სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით (ელექტროგამტარობა, თბოგამტარობა, კოროზიული მდგრადობა, მექანიკური თვისებები, ფასი და სხვა) ჩვენ ანოდებისა და კათოდების დენმიმყვანად ავირჩიეთ სპილენძი, რომელსაც ყველაზე მაღალი ელექტრო და თბოგამტარობა გააჩნია, ადვილად მუშავდება მექანიკურად და მისაღები კოროზიული მდგრადობა აქვს ელექტროლიტის აირორთქლნარევის ატმოსფეროში.

გრაფიტის კათოდების უდელაკების მასალად კოროზიული გამოცდების გათვალისწინებით ავირჩიეთ მაღალლეგირებული ფოლადი, რომელსაც კოროზიულ მდგრადობასთან ერთად კარგი მექანიკური თვისებები ახასიათებს.

სამაგრი დეტალების დასამზადებლად (კათოდების უდელაკებისა და ანოდებისა და კათოდების დენმიმყვანების ჭანჭიკები, ქნჩები და შუასაღებები) მიზანშეწონილია ტეფლონის გამოყენება, რომელსაც მაღალი კოროზიული მდგრადობა და საკმარისი მექანიკური სიმტკიცე ახასიათებს აგრესიულ გარემოში მაღალ ტემპერატურაზე.

საკონსტრუქციო მასალების კოროზიული გამოცდების ჩატარებისას მიღებული მონაცემების და სამეცნიერო გრანტის პირველ პერიოდში ჩატარებული პოლარიზაციული გაზომვებისა და ელექტროლიზის შედეგების საფუძველზე [1], აგრეთვე ჩვენი გამოცდილებისა და ადრე ჩატარებული პვლევების გათვალისწინებით [3] დამუშავებული იქნა ემდ-ის მისაღები დახურული კონსტრუქციის მსხვილლაბორატორიული აბაზანის ცალკეული პვანძებისა და დეტალების კონსტრუქციები, რომლებმაც ერთობლიობაში საშუალება მოგვცა შეგვემუშავებინა მთელი აბაზანის კონსტრუქცია.

აბაზანის კორპუსისა და სახურავის დასამზადებლად საბოლოო არჩევანი გავაკეთეთ საკონსტრუქციო პოლიპროპილენზე, რომელსაც, როგორც ზემოთ აღწერილმა კოროზიულმა გამოცდებმა დაგვანახა, აქვს მაღალი კოროზიული მდგრადობა და მექანიკური სიმტკიცე მანგანუმის სულფატის შემუშავებულ ხსნარებში, შეუძლია ხანგრძლივად მახასიათებლების გაუარესების გარეშე იმუშაოს ~100°C ტემპერატურაზე, აქვს საკმარისი დრეკადობა და ტექნოლოგიურია მექანიკური და თერმული დამუშავების დროს.

ემდ-ის მისაღები მსხვილლაბორატორიული დახურული აბაზანის ძირითადი კვანძებია: ანოდები, კათოდები, აბაზანის კორპუსი და მისი ქიმიური დაცვა, სახურავი, ხსნარის გაცხელების სისტემა, თბოიზოლაცია, აბაზანში ხსნარის შეყვანისა და გამოყვანის სისტემა, პერმეტიზაციის კვანძი, საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოები.

მსხვილლაბორატორიული 70 ლიტრიანი აბაზანის ცალკეული კვანძების დამუშავებისა და მთლიანად აბაზანის დაპროექტების შემდეგ ჩატარდა აბაზანის დამუშავებისა და გამოცდის სამუშაოები, რომლებიც მოიცავდა შემდეგ ოპერაციებს:

- 1) 10 მმ სისქის საკონსტრუქციო პოლიპროპილენისაგან (მწარმოებელი ჩეხეთის რესპუბლიკა) დამზადდა აბაზანის კორპუსისა და სახურავი დეტალები;
- 2) სპეციალური კონსტრუქციის შესაძლებელი აპარატის საშუალებით პოლიპროპი-ლენისავე შესაძლებელი ელექტროლის გამოყენებით დამზადდა აბაზანის კორპუსი და სახურავი. მეტი საიმედოობისათვის შედებების ნაკერების ფორმირება ხდებოდა შესაძლებელი წიბოების ორივე მხარეს;
- 3) შედებების შემდეგ აბაზანის კორპუსი და სახურავი გამოიცადა გაჟონვაზე წყალსადენის წყლით, რომელმაც აჩვენა შედებების ნაკერების წესივრობა;
- 4) შესრულდა აბაზანის პერმეტიზაციის სამუშაოები, რისთვისაც წინასწარ შემუშავდა პერმეტიზაციის მეთოდი, რომელიც ხასიათდება კონსტრუქციის სიმარტივით, არ მოითხოვს დიდ დანახარჯებს და საკმარისად საიმედოა;
- 5) არგონის ატმოსფეროში შედებელი ბრტყელი ტიტანის ანოდები;
- 6) დამზადდა კათოდები მცირენაცრიანი გრაფიტის ბაზაზე;
- 7) დამზადდა საელექტროლიზე ხსნარის გაცხელების სისტემა აბაზანიდან გამოტანილი თბომცვლელის ბაზაზე;

- 8) აბაზანას გაუკეთდა თბოიზოლაცია ფოლგირებული მინაბამბის გამოყენებით;
- 9) ელექტროლიზის კვანძი დაკომპლექტდა ელექტრული გამმართველით და საჭირო საკონტროლო გამზომი ხელსაწყოებით;
- 10) აბაზანაში ხსნარის შეყვანა ხდებოდა სახურავში ჩამონტაჟებული ვერტიკალური მილით, რომელიც აბაზანაში ფსკერამდე იყო ჩაშვებული. ხსნარი გამოიყვანებოდა Γ-ს მაგვარი მილით, რომელიც უზრუნველყოფდა გამდინარი პარაფინის დანაკარგის თავიდან აცილებას.

მსხვილლაბორატორიული აბაზანის გამოცდის შედეგად მიღებულია ელექტროლიზის პროცესის შემდეგი ძირითადი ტექნოლოგიური მაჩვენებლები, რომლებიც წარმოადგენენ საწყის მონაცემებს გამსხვილებული მასშტაბის საცხელ-სადემონსტრაციო და საცდელ-სამრეწველო აბაზანების კონსტრუქციის დასამუშავებლად და დასაპროექტებლად:

- 1) ანოდის მასალა
- 2) ანოდის კონსტრუქცია
- 3) კათოდის მასალა
- 4) კათოდის კონსტრუქცია
- 5) საელექტროლიზე ხსნარის შემადგენლობა
- 6) ხსნარის ტემპერატურა
- 7) ანოდური დენის სიმკვრივე
- 8) კათოდური დენის სიმკვრივე
- 9) მკვებავი ხსნარის კონცენტრაცია
- 10) ძაბვა აბაზანაზე
- 11) ანოდური დენით გამოსავალი
- 12) კათოდური დენით გამოსავალი
- 13) ელექტროენერგიის ხარჯი ელექტროლიზზე
- 14) ჭარბი წნევა აბაზანის სახურავის ქვეშ
- 15) ტემპერატურა თერმოიზოლაციის ზედაპირზე

| | |
|--|--|
| მექანიკურად და თერმულად | |
| გააქტივებული ტექნიკური ტიტანი | |
| გაგზავნილია განაცხადი დასაპატენტებლად | |
| მცირენაცრიანი გრაფიტი ფირფიტების სახით | |
| გაგზავნილია განაცხადი დასაპატენტებლად | |
| 100-110 გ/ლ MnSO ₄ + 20-25 გ/ლ H ₂ SO ₄ | |
| 9.5-9.8°C | |
| 60-100 ამპერი/მ ² | |
| 150-200 ამპერი/მ ² | |
| 140-150 გ/ლ MnSO ₄ | |
| 2.3-2.6 კ | |
| 98-100% | |
| 100% | |
| 2-2.2 ავტ.სთ/კგ ემდ | |
| წყლის სვეტის 50-70 მმ | |
| <35°C | |

სამუშაო შესრულებულია საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით (გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსის გამარჯვებული პროექტი. შიფრი AR/121/3-170/14).

ლიტერატურა - REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. თემურ ჩახუნაშვილი, თემურაზ როევა, უ. ქებაძე, მერაბ დადუნაშვილი, ზინაიდა ვაწაძე, შოთა მახათაძე, ნანული ბუთლიაშვილი. დახურული ელექტროლიზური აბაზანის დამუშავება მანგანუმის დიოქსიდისა და წყალბადის ერთდროული მიღებით. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ქმითს სერია, ტ. 41, 2015წ., №4, გვ. 339-343.
2. Т.А. Чахунашвили. Исследования по применению титана в качестве анодного материала при получении электролитической двуокиси марганца для химических источников тока. Кандидатская диссертация, Москва, 1973.
3. თ. ჩახუნაშვილი, თ. როევა, მ. დადუნაშვილი, უ. ქებაძე, ც. გაგნიძე, ვ. მოსიძე. მანგანუმის დიოქსიდისა და წყალბადის ერთობლივი მიღება ელექტროლიზით. რ. აგლაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული კონფერენცია გამოყენებით ქიმიაში, თეზისები. თბილისი, 2011წ., გვ. 89-91

**CORROSION TESTS OF MODERN CONSTRUCTION MATERIALS IN ACIDATED
SOLUTION OF MANGANESE SULFATE AND ELABORATION, PREPARATION AND
TESTING OF LARGE-SCALE ELECTROLYSER FOR GETTING THE MANGANESE DIOXIDE
AND HYDROGEN ON THEIR BASIS**

T.A.Chakhunashvili, T.V.Rokva, Z.Sh.Vatsadze, M.T.Dadunashvili, Zh.M.Kebadze,
Sh.M.Makhatadze, N.I.Butliashvili
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
R. Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry

SUMMARY

Corrosion properties of modern construction materials (titan and other alloys, carbonaceous and polymer materials) are studied in acidified solutions of manganese sulfate and in their steam-gas mixtures during electrolysis at high temperature (95°C). Taking into account obtained results are elaborated basic assemblies of electrolysis bath for getting the manganese dioxide and hydrogen. Key engineering parameters of electrolysis are established.

**КОРРОЗИОННЫЕ ИСПЫТАНИЯ СОВРЕМЕННЫХ КОНСТРУКЦИОННЫХ
МАТЕРИАЛОВ В ПОДКИСЛЕННОМ РАСТВОРЕ СУЛЬФАТА МАРГАНЦА И
РАЗРАБОТКА, ИЗГОТОВЛЕНИЕ И ИСПЫТАНИЕ КРУПНОЛАБОРАТОРНОГО
ЭЛЕКТРОЛИЗЕРА ДЛЯ ПОЛУЧЕНИЯ ДИОКСИДА МАРГАНЦА
И ВОДОРОДА НА ИХ БАЗЕ**

Т.А.Чахунашвили, Т.В.Роква, З.Ш.Вацадзе, М.Т.Дадунашвили, Ж.М.Кебадзе, Ш.М.Махатадзе,
Н.И.Бутлиашвили
Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили
Институт неорганической химии и электрохимии им. Р. Агладзе

РЕЗЮМЕ

В подкисленных растворах сульфата марганца и в их парогазовой смеси в процессе электролиза при высокой температуре (95°C) изучены коррозионные свойства современных конструкционных материалов (титановые и другие сплавы, углеродистые и полимерные материалы). С учетом полученных результатов разработаны основные узлы электролизной ванны для получения диоксида марганца и водорода. Установлены основные технологические параметры процесса электролиза.

CHEMICAL TECHNOLOGY**GEORGIAN NATURAL AND SECONDARY RESOURCES
IN SERVICE OF TECHNICAL PROGRESS**

Rus.Gigauri^{*a,b}, N.Lekishvili^{*b}, Kh.Barbakadze^{*b}, V.Trapaidze^{*c}, Sh.Japaridze^{*a}, E.Tskhakaia^{*a}, T.Marsagishvili^{*a}

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 1 Ilia Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia:*

^aRafiel Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry

Faculty of Exact and Natural Sciences:

^bInstitute of Inorganic-Organic Hybrid Compounds and Non-traditional Materials

Department of Chemistry;

^cDepartment of Geography

The Laboratory technologies of the obtaining of manganese and arsenic from natural and secondary resources of Georgian region have been elaborated. The compounds and materials with specific properties based on arsenic were created. The method of isolation of H₂S from Black sea underwater layeres has been elaborated. The advanced hydrogen fuel element has been manufactured.

Georgia is rich in significant mineral resources – barite, petroleum, natural gas, manganese, arsenic, copper, gold, mercury, medicinal mineral waters, Black Sea reserves of hydrogen sulfide etc.

In spite of this fact, on the modern stage of society development, under conditions of ever-growing deficit of main strategic mineral and organic raw materials (metals, coal, natural gas, petroleum) on our planet, increasingly actual becomes searching for ways of targeted use of secondary resources [1] and accumulated wastes and creation the base of cheap raw materials resources. These are not only additional technical-economical reserve for any inter-country but encourage solving a number of ecological problems too.

There are appropriated two tendencies of our researches:

- Use of natural resources and secondary raw materials in order to obtain various compounds and materials with specific properties;
- Development of advanced and economically feasible technologies based on these resources.

In this paper is considered:

- Isolation of strategic metals - manganese and arsenic from natural resources and secondary raw materials; obtaining compounds with specific properties based on arsenic and their use for preparation of ecologically safe hybrid materials [2];
- Isolation of hydrogen sulfide from Black Sea underwater lyers (depth) and creation advanced products and materials based on it.

A great importance in the investigation of the geochemical regularity of element migration in the Earth crust, reservoirs and soil is given to the transformation by microorganisms of manganese and ferrous alloys/compounds. In this respect, special role is played by heterotrophs being revealed by their rapid development on different substrates and ability to change pH and Eh of the environment, produce organic acids, ammonia etc.

The objective of our study (Dr. Rus. Gigauri) was the Chiatura manganese deposit of Georgia and its tailings. At present 47 % of the Chiatura deposit is represented by poor ores of different type, its tailings being in the form of slime or dust [1].

The application of the avialable recovering technology, consisting in the treatment of ores and tailings with the concentrated sulfuric acid, is connected with great difficulties:

1. The employed concentrated sulfuric acid is rather costly and it is can not but tell on the final product's cost;
2. In terms of ecology, the presence of both liquid and solid production waste (tailings) is completely inadmissible. Such outdated technology is the main reason that the plants production waste accounts for thousand of tones.

The advantage of the elaborated method is that the production is waste-free, enviromentally sound and the final product's cost is low.

For the purpose of reducing the length of the process of manganese recovery from poor ores and tailings and making it low-cost the strain *thiobacillus ferrooxidans* and pyrite concentrate (Fe^{2+} - 57.2 %, S - 46.2 %) were used as the energy source/nutrient medium. The process is combined – *thiobacillus ferrooxidans* oxidizes pyrite producing $\text{FeSO}_4 + \text{H}_2\text{SO}_4$ (pH - 2.5). Concurrently, a bacterial metabolite – oxalic acid is being produced. The obtained products are considered to be strong reductants of manganese dioxide and solvents of manganese sulfate carbonate.

The study of process surrounding effects demonstrated that the process efficiently proceeded in vats under conditions of good airflow supply; the ore thickness – 0.15 mm; pH – 2.5; m/t = 1:5; culture titer – $10^8\text{-}10^9$ c/ml. The Fe^{2+} oxidation process is especially active under aeration conditions (Fig. 1).




Figure 1. Growth dynamics of *thiobacillus ferrooxidans* and Fe^{2+} oxidation intensity (25-35°C)
1 – strains; 2 – Fe^{2+} oxidation; 3 – without aeration; 4 – with aeration

One of the principal factors of bacterial growth and its acidity function intensification is the bacterial resistance to the sulfuric acid and heavy metal concentration in the solution.

It was established that the strain 348, 341 - *thiobacillus ferrooxidans* is easily adapted to 20-25 g/l H_2SO_4 in the solution, while in the course of study of their physiological properties they were found to excrete oxalic acid in the solution (this was established chemically as well), which is of much importance for manganese (IV) recovery.

To ensure maximum proximity to the industrial process, tests were carried out in the Zestafoni plant shop. 50 kg slime and 20 kg pyrite were used. The slime content of Mn was 13.5 %, of which 7.5 % were MnO_2 , 4.7 % - MnCO_3 and 0.07 % - P. The slime and pyrite mixture was added with the iron-free nutrient medium 9K and the *T. ferrooxidans* strain 348, at a growing rate. Under conditions of a 3-day continuous agitation, the solution composition was as follows: 12.2 g/l – Mn; 168 g/l $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$. The tests demonstrated that the solutions could be used to recover metallic manganese with 99.83 % purity and 14 % yield. All the above were proved by a spectral analysis method.

Thus, method of bacterial leaching from poor balanced ores, tailings and slimes were developed that makes it possible to recover the manganese raw material at the expense of internal resources of the production.

Layered character is the main peculiarity for Black sea. In particular, the surficial layer with 120-160 m thickness is less salty and accordingly is rather light comparatively to water mass that is situated under it. This difference is so sharp that water interchange between these layers almost not occurs. The huge accumulative reserves of hydrogen sulfide in the depth of Black sea are conditioned by this fact (in seabed 11-14 ml/l) [3].

Table. Manganese leaching process from manganese ores using of *thiobacillus ferrooxidans* strain

| Ore Types | Mn content in starting ore | Mn content in solution, g/l | | Mn content in solid, g/l | | Recovered Mn, % | |
|--------------------|----------------------------|-----------------------------|----------|--------------------------|----------|-----------------|----------|
| | | Test | specimen | Test | specimen | test | specimen |
| Carbonate ore | 14.75 | 12.3 | 3.4 | 2.45 | 11.3 | 83.6 | 23.3 |
| Carbonate tailings | 11.8 | 9.9 | 2.9 | 1.9 | 8.9 | 83.9 | 24.6 |
| Slime | 13.62 | 11.8 | 3.6 | 1.8 | 10.1 | 86.6 | 26.2 |

The interesting results are obtained (Prof. T. Marsagishvili, PhD E. Tskhakaia) [3] in terms of use of hydrogen sulfide for creation of alternative fuel element. This gives additional incentive not only to rapid upsurge of economy for country but besides is created the new, ecologically pure source of energy which will take the place of petroleum fuel on the traditional market.

Consequently of appropriate calculations and researches was established that it is possible annually obtain supposedly 100 billion kilowatt/hour electric energy and 70 ton pure sulfur by means of reprocessing of hydrogen sulfide. The significant fact is that hydrogen sulfide can be used as fuel-energetic purposes, in petrochemical syntheses and in production of mineral fertilizers.

The laboratory models of fuel element based on mentioned above raw materials was created (Prof. T. Marsagishvili, PhD E. Tskhakaia) [3]. Experimentally were chosen cheap electrode material, stable toward H_2S and its oxidation (wt. %): Fe – 70; Cr – 17.55; Ni – 9.5; Mn – 1.61; Ti – 0.41 and with a little quantity - V, Nb, Mo, Cu). Besides electrode function, this material carries out catalyst role too. The each current process on specific electrode of fuel element was studied in condition of supply of H_2S solution in various speed and concentration (300 ml/hrs or 500 ml/hrs). The density of current (I , mA/cm²) and capacity (P , ml watt) required for process, quantities of energy and voltage by visible area of given electrode was calculated during the experiment. Figure 2 gives diagram of dependence of arising voltage on density of current.





Figure 2. Dependence of arising voltage (on model of fuel element) on density of current electrode: metallic multicomponent electrode-catalyst; conc. (H_2S): 1 - 50 mg/L; 2 - 150 mg/L; 3 – 220 mg/L; speed of solution supply: 300 ml/hrs

Anionic membrane (Ralex-AM-PP) with period of use - 320 hours was chosen. Formation of electromotive force in catalytic oxidation (with oxygen) of hydrogen sulfide and their further use in the form of hydrogen for production of non-carbon energy by using of above mentioned electrode and membrane were established. This possibly will solve the greatest ecological problem of megalopolis and first of all in terms of air pool contamination.

Interesting researches were carried out (Prof. N. Lekishvili, PhD Kh. Barbakadze) for protection of human, environment and rich cultural inheritance existing in region (museum exhibits, archaeological patterns etc.) [4]. The category of hybrid compounds with specific properties containing in molecule metal-complexes and spatial polycyclic asymmetric fragments or arsenic obtained by transformation of industrial waste were obtained. They must show the completely new potential of action with high probability characterized for combined structures, the stable ability to suppress action of various aggressive microorganisms. The laboratory technologies for obtaining sub-micro and nano-particles of antimony and

non-volatile, stable and low toxic coordination compounds suitable as bioactive components of antimicrobial composites are under processing.

The real perspective has the use of arsenic-organic hybrid compounds because of accessibility of corresponding initial compounds obtained by transformation of accumulated industrial waste in region. One of the versions of such transformation is given on Scheme 1.



Scheme 1.

New bioactive compounds and mechanically steady antimicrobial/fungicide coatings (Fig. 3) stable towards isothermal aging and complex action of moisture, air oxygen, carbon dioxide, UV and visible light based on them using of local secondary recourses were created. These composites are targeted for long-term protection of museum exhibits and various natural and synthetic materials from non-controlled biodegradation [5].




Figure 3. Antimicrobial coatings based on inorganic-organic bioactive compounds obtained by transformation of the arsenic industrial secondary resources: I – lead, II – wood

I II

The developed research tendency was carried on through the following steps:




Figure 4.

Creation of mentioned above type of coatings will protect human and environment from the action of aggressive microorganisms, herewith will provide long-term durability of these materials and will reserve great enough material resources.

ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. V.G. Rtskhiladze. Scientific principles and ecologically pure technologies for extraction of arsenic, Diss.Doct.Chem. Sci. Moscow, 2006, 407 p.
2. W. Brostow, M. Gakhutishvili, Rus. Gigauri, Sh. Japaridze and N. Lekishvili. Chem. Eng. Journal (USA) 2010, 159, 24-26;
3. E. Tskhakaia. PhD Thesis, TSU, Tbilisi, 2015.

4. N. Lekishvili, M. Rusia, Rus. Gigauri, L. Arabuli, Kh. Barbakadze, I. Didbaridze, M. Samkharadze. Arsenic and stibium advanced compounds with specific properties. Tbilisi, "Universali", 2014.
5. Lekishvili, Kh. Barbakadze, Rus. Gigauri, N. Kokiashvili. Advanced Composites and Materials Based on Natural and Secondary Resources of Caucasus Region and Novel Hybrid Bioactive Compounds. Oxid. Commun. (Intern. J., EU), 39, 2, 2016 (Accepted for publ.).

საქართველოს პუნქტიზი და მეორადი რესურსები ფესტივალი პროგრესის სამსახურში

რუს.გიგაური^{*a,b}, ნ.ლეკიშვილი^{*b}, ხ.ბარბაქაძე^{*b}, ვ.ტრაპაიძე^{*c}, შ.ჯაფარიძე^{*a}, ე.ცხაკაია^{*a},
თ.მარისაგიშვილი^{*a}

^{*}ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

^aრაფიელ ავლაძის სახელობის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი;

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:

^bარაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული ნაერთების და არატრადიციული მასალების
ინსტიტუტი; ქიმიის დეპარტამენტი;

^cგეოგრაფიის დეპარტამენტი

რეზიუმე

ზოგიერთი ბუნებრივი რესურსიდან და მეორადი ნედლეულიდან შემუშავებულია დარიშხანის და მანგანუმის მიღების ლაბორატორიული ტექნოლოგიები. მიღებულია სპეციფიკური თვისებების მქონე დარიშხანის ნაერთები და მასალები. შემუშავებულია შავი ზღვის წყალქეშა (ლრმა) ფენებიდან გოგირდწყალბადის მიღების ხერხი. შექმნილია წყალბადის ახალი საწვავი ელემენტი.

ПРИРОДНЫЕ И ВТОРИЧНЫЕ РЕСУРСЫ ГРУЗИИ НА СЛУЖБУ ТЕХНИЧЕСКОГО ПРОГРЕССА

Рус.Г.Гигаури^{*a,b}, Н.Г.Лекишвили^{*b}, Х.А.Барбакадзе^{*b}, В.З.Трапаидзе^{*c}, Ш.Джапаридзе^{*a},
Е.Цхакая^{*a}, Т.Марсагишивили^{*a}

^{*}Тбилисский государственный Университет им. Ив. Джавахишвили

^aИнститут неорганической химии и Электрохимии им. Рафиел Агладзе

Факультет точных и естественных наук:

^bИнститут органо-неорганических гибридных соединений и нетрадиционных материалов,
Департамент химии;

^cДепартамент Географии

РЕЗЮМЕ

Были разработаны лабораторные технологии получения марганца и мышьяка из природных и вторичных ресурсов Грузии. Получены соединения и материалы со специфическими свойствами на основе мышьяка. Разработан способ выделения сероводорода из черноморских подводных (глубоких) слоев. Создан новый водородный горючий элемент.

ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ

ОСНОВНЫЕ АСПЕКТЫ КОМПЛЕКСНОЙ ПЕРЕРАБОТКИ ПИРИТНЫХ И ОКСИДНЫХ МАРГАНЦЕВЫХ КОНЦЕНТРАТОВ

Л.В.Багатурия, Б.Х.Пурцеладзе, Н.В.Барнова, М.И.Сванидзе, М.К.Гвелесиани

*Тбилисский Государственный университет**Институт неорганической химии и электрохимии им. Р.И.Агадзе*

Показана эффективность совместной переработки пиритного и оксидного марганцевого концентратов с точки зрения экологии. Сульфидная сера, присутствующая в шихте, частично переходит в шлам в виде элементарной серы, частично – в раствор в виде серной кислоты и следовательно, исключено загрязнение окружающей среды.

Анализируя те незначительные данные, которые имеются в технической литературе о возможности применения пирита в обогащении марганцевого сырья, ученые пришли к выводу о целесообразности опробования пиритных концентратов в процессе совместной гидрометаллургической переработки марганцевого сырья Чиатурского месторождения.

Использование пиритного концентрата в процессе гидрометаллургического обогащения бедного марганцевого сырья расширяет область применения пирита и имеет большое значение для комплексного освоения пиритных концентратов и обогащения бедных руд марганца [1,2].

Способы переработки марганцевых руд, заключающиеся в восстановительном обжиге с различными восстановителями и с последующим выщелачиванием кислотами создают необходимость проведения процесса высокотемпературного восстановительного обжига.

Нами предложена технология совместной гидрометаллургической переработки марганцевого и пиритного концентратов [3,4]. Способ осуществляется следующим образом: пиритный концентрат (содержащий в %: Fe - 38,25; S - 41; MgO - 0,96; CaO - 4,81) и марганцевый концентрат (состав основных компонентов в %: Σ Mn - 32,5; CaO - 5,75; MgO - 1,58; Fe₂O₃ - 1,96) смешивали в соотношении 1:2, смесь измельчали в вибромельнице в течение 60 мин, измельченную шихту выщелачивали 10%-ным раствором серной кислоты в течение 3 часов при 95-100°C. Степень извлечения марганца и железа составляет соответственно 99,1 и 83,1 %.


Целью данной работы является выяснить, не происходит ли эмиссия серы в окружающей среде в виде сернистого газа (SO₂). Как известно, основным компонентом пирита, помимо железа, является сера, содержащаяся в сульфидном виде.

Проведенные наблюдения указывают, что газовая фаза из суспензии не выделяется.

Анализ осадка (Fe - 2,16; Mn - следы; Scвоб. - 5,01), полученного после сернокислотного выщелачивания молотой смеси пиритного и окисленного марганцевого концентратов показал, что количество серы в нем незначительно, оно не соответствует количеству сульфидной серы.

Часть сульфидной серы переходит в осадок в виде свободной серы [4], остальная же часть способствует образованию серной кислоты. Этот вывод основан на расчетах: несмотря на то, что серная кислота, добавляемая на молотую смесь, расходуется на получение сульфатов железа, марганца и примесей, его количество в растворе не уменьшается, а наоборот – растет (состав раствора после сернокислотного выщелачивания совместно молотой смеси пиритного и окисленного марганцевого концентратов в г/л: Fe-1,33; Mn - 4,64; H₂SO₄ своб.- 29,7).

Если учитывать, что основным окислителем при выщелачивании молотой смеси пиритного и оксидного марганцевого концентратов служит Fe³⁺-ион, образующийся в результате внутриреакторного окисления железа диоксидом марганца:



вышеизложенную суть можно выразить уравнением реакции:



Таким образом, применение метода механохимической обработки дало возможность исключить вредные газовыделения. Часть сульфидной серы переходит в осадок в виде элементарной серы, а большая часть сульфидной серы способствует возникновению сульфат-иона.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

- Гаприндашвили В., Зедгенидзе И., Церетели А. Сульфатизирующий обжиг марганцевых шламов и флотоконцентратов. Сб. Марганец, 1(8), Тбилиси, 1969, с. 34-38.
- Гаприндашвили В., Берикашвили И., Церетели А. О совместном обжиге марганцевого сырья и пирита. Сб. Марганец, 2(27), Тбилиси, 1971, с.18-20.
- ბაღათურია ლ., ბარბოვი ნ., გაფრინდაშვილი ვ., გველესიანი მ. და სხვ. მაღნეულის პირიტული კონცენტრატის და ჭიათურის მანგანუმის ოქსიდური კონცენტრატის ერთობლივი პიდრომეტალურგიული გადამუშავება. საქართველოს ქმიური ჟურნალი, ტ.8, №3, 2008, გვ.293-294.
- Gaprindashvili V., Bagaturia L., Chagelishvili R., Gogichadze L. Joint chemical processing of Pyrite and manganese oxized concentrates.- Bulletin of the Georgian Academy of Sciences, 159, №1, 1999, p.107-109.

THE MAIN ASPECTS OF COMPLEX PROCESSING OF PYRITE AND MANGANEZE OXIDE CONCENTRATES

Lamzira Bagaturia, Boris Purtseladze, Nana Barnovi, Makvala Svanidze, Marina Gvelesiani
Rafiel Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry
I. Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The paper shows the efficiency in the environmental sense, the joint processing of pyrite and manganese oxide concentrates. Sulfur, containing in the mixture, partially passes into the silt in the form elementary sulfur, partially - in solution in the form of sulfuric acid, and accordingly, eliminates the pollution of the atmosphere by sulfur dioxide.

პირიტული და მანგანუმის ოქსიდური კონცენტრატების კომპლექსური გადამუშავების ძირითადი ასახელება

ლამზირა ბაღათურია, ბორის ფურცელაძე, ნანა ბარბოვი, მაყვალა სვანიძე, მარინა გველესიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რაფიელ ავლაძის არაორვანული ქმითსა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

რეზიუმე

ნაშრომში ნაჩვენებია პირიტული და მანგანუმის ოქსიდური კონცენტრატების ერთობლივი გადამუშავების ეფექტურობა ეკოლოგიური თვალსაზრისით. კაზმში არსებული გოგირდი ნაწილობრივ გადადის შლამში ელემენტური გოგირდის სახით, ნაწილობრივ – სსნარში გოგირდმჟავას სახით, და შესაბამისად, გამოირიცხა გოგირდოვანი აირით ატმოსფეროს დაბინძურება.

ქიმიის ისტორია

ზიგნი სააქიმოდში დაცული ცნობები ძიმიული ნაერთების შესახებ

ქეთევან კერესელიძე, შოთა სამსონია, დავით ტუღუში, რაულ ჩაგუნავა

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატია ეძღვნება ქიმიურ ნაერთებს, რომლებიც „წიგნი სააქიმოდში“ მცურნალობის წესებთან ერთად არის აღწერილი. მოცემული სტატია მიზნად ისახავს წიგნში მოცემული ტერმინების დაზუსტებას. თავის დროზე იმ ნაერთთა იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა. აღნიშნული ხარვეზები განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი აღმოსავლელი ქიმიკოსის არ-რაზის შრომები, რომელსაც წიგნის ავტორი ფართოდ იყენებს. ჩვენს მიერ აღნიშნული ქიმიკოსის შრომებზე დაყრდნობით უკვე ზუსტად არის იდენტიფიცირებული ტექსტში მოხსენებული ნაერთები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქართული სამედიცინო ძეგლების „უსწორო კარბადინის“, „ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი-კარაბადინის“ და დავითის (დაუთხანის) „იადიგარ დაუდის“ შესწავლის საფუძველზე ნაჩვენებია XIII ს. დასაწყისში სამედიცინო ქიმიის საკმაოდ მაღალი დონე.

ძველი ქართული სამედიცინო-ფარმაცევტული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლი - არაბულიდან თარგმნილი ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოვ“ გარკვეულ ინტერესს იწვევს ქიმიური თვალსაზრისითაც, ვინაიდან ის სამკურნალო მიზნებით გამოყენებული ქიმიური ნაერთების მრავალრიცხოვნებით გამოიჩინა. ეს მრავალრიცხოვნება აღმოსავლელი წარმომავლობის ნაშრომისათვის საერთოდ არის დამახსიათებელი, მით უმეტეს რომ „წიგნი სააქიმოდში“ მაღალ ხშირად არის გამოყენებული, მუჰამედ ზაქარიას ძე“-ს მასალები. ამ სახელით „წიგნი სააქიმოდში“ მოიხსენება მუჰამედ იბნ ზაქარია არ-რაზი (865-925 წწ.), რომელიც არა მარტო შუა საუკუნეების გამოჩენილი ექიმი, არამედ ასევე სახელგანთქმული ქიმიკოსი იყო. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღმოსავლელი ქიმიის განვითარების საქმეში და თავისი ქიმიური ნაშრომები („საიდუმლოებათა წიგნი“, „საიდუმლოებათა საიდუმლოების წიგნი“ და სხვ.) საგრძნობლად აამაღლა ამ დარგის სამეცნიერო ლიტერატურის დონე [1-2]. მან პირველმა ქიმიის ისტორიაში შეიმუშავა ნივთიერებათა კლასიფიკაციის სქემა, რომელიც XVIII საუკუნეებამდე ამ სახის ერთადერთ სქემას წარმოადგენდა [2]. აღსანიშნავია, რომ ამ სქემაში დასახელებული ქიმიური ნაერთების უმეტესი ნაწილი „წიგნი სააქიმოვ“ რეცეპტებშია მოხსენებული.

„წიგნი სააქიმოვ“ კრიტიკული გამოცემა ჯერ კიდევ 1936 წელს განახორციელა ქართული კულტურის გამოჩენილმა მოღვაწემ ლ. კოტეტიშვილმა. გამოცემა დღესაც სამაგიდო წიგნად რჩება ქართველი მედიკოსებისათვის და მედიცინის ისტორიკოსებისთვის. არანაკლებ საინტერესოა ეს გამოცემა ქიმიის ისტორიკოსებისთვისაც, ვინაიდან სხვა ძველქართულ სამედიცინო-ფარმაცევტულ ძეგლებთან ერთად (ქანანელის „სწორო კარაბადინი“, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი-კარაბადინი“ და სხვ.) ის ერთადერთ წყაროდ რჩება, რომლის საშუალებითაც ძველი ქიმიური პრაქტიკის ამსახველმა მასალებმა ჩვენამდე მოუღწევლობის პირობებში, „წიგნი სააქიმოვს“ და სხვა სამედიცინო-სამკურნალო ნაშრომებს ქიმიური თვალსაზრისითაც ერთადერთი პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენი სტატია „წიგნი სააქიმოდში“ მოხსენებულ იმ ქიმიურ ნაერთებს ეძღვნება, რომელთა იდენტიფიცირებაც გამოცემაში ვერ მოხერხდა. აღნიშნული ხარვეზი კი განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ 1936 წლისთვის ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ ცნობილი არ-რაზის შრომები. ამიტომ ქართველი გამომცემელი მოკლებული იყო მათი საშუალებით ქართულ ტექსტში მოხსენებული ნაერთების ზუსტი იდენტიფიცირების შესაძლებლობას. დღეს, როდესაც ი. რუსკას, უ. კარიმოვის და სხვა გამოცემების საშუალებით არ-რაზის ქიმიური ნაშრომები უკვე კარგად არის ცნობილი, მათი საშუალებით ნაერთთა იდენტიფიცირებაში დაშვებული ხარვეზების გამოსწორება უკვე არ არის მნელი.

ჩვენი სტატიაც სწორედ არ-რაზის მონაცემებზე დაყრდნობით, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას ისახავს მიზნად, შესაბამისად, სათითაოდ განვიხილავთ „წიგნი სააქიმოვში“ მოხსენებული და იდენტიფიცირების თვალსაზრისით საეჭვო ქიმიურ ნაერთს, თითოეული მათგანისთვის იმ განმარტების დართვის, რომელიც გამოყემის ტექსტისადმი დართულ ლექსიკონში არის მოცემული.

განსახილველ ნაერთებზე ზოგადი წარმოდგენის შექმნის მიზნით, ჯერ მოკლედ უნდა შევხოთ არ-რაზის ქიმიურ ნაერთთა საკლასიფიკაციო სქემას. ამ სქემის თანახმად ყველა ნივთიერება იყოფა სამ ძირითად კლასად: „მიწოვან“ ანუ მინერალურ, მცენარეულ და ცხოველურ ნივთიერებებად. მინერალური „მიწოვანი“ ნივთიერებები თავის მხრივ შეადგენენ 6 ჯგუფს. 1. „სულებს“, ე.ი. ტემპერატურის ზემოქმედებით აქროლად ნივთიერებებს, 2. „სხეულებს“, ე.ი. მეტალებს, 3. ქვებს, 4. აჯასპებს, 5. ბორაკებს და 6. მარილებს. ცალკე ჯგუფად გამოყოფს არ-რაზი წარმოებულ ნივთიერებებს, რომელიც ორ ქვეჯგუფად არის წარმოდგენილი „სხეულების“ (მეტალების) და „არასხეულების“ (არამეტალების) სახით.

მცენარეულ ნივთიერებებზე არ-რაზი ყურდღებას არ ამახვილებს, იგი მხოლოდ აღნიშნავს, რომ მათგან საუკეთესო მოსახმარი არის უნარი. რაც შექება ცხოველურ ნივთიერებებს ის ასახელებს: თმებს, თავის ქალას, ტვინს, ნაღველს, სისხლს, შრატს-კვერცხს, ნიჟარას და რქებს [1].

„წიგნი სააქიმოვში“ არ-რაზის კლასიფიკაციაში შემავალი ნივთიერებებიდან თითქმის ყველა არის მოხსენებული რამდენიმეს გარდა. ამასთან ერთად ის შეიცავს ფრაგმენტს, რომელიც ამ კლასიფიკაციით საწყის ნაწილს წარმოადგენს და ნივთიერებების 3 ძირითად კლასად დაყოფას ეხება: „რადცა სოფელსა შიგან არს, სამთაგან არს და ამ სამთაგან კიდე არა არს: ანუ არს სულიერნი, ანუ არს მზრდელნი, რომელსა ჰქვიან არაბულად ნბათი ანუ არს მადანი- მთანი, რომლისაგან გამოვა სპილენძი, რკინად, თუალნი და ყუელასთანაც სხვაც“[4].

ციტირებული ფრაგმენტის თანახმად სამყაროში („სოფელსა შიგან“) არსებული ყველა ნივთიერება 3 კლასად იყოფა და ამ სამში გაერთიანებულის გარდა სხვა არაფერი არსებობს. „სამთაგან არს და ამ სამთაგან კიდე არა არს“ კლასების რიცხვში დასახელებულია „სულიერნი“ ანუ ცხოველური, „მზრდელნი“ ანუ მცენარეული და „მადანი“ ანუ მინერალური ნივთიერებები. მინერალურ ნივთიერებებს არ-რაზი თუ „მიწოვან“ ნივთიერებებად მოიხსენებს, ეს უკანასკნელი ხოჯა ყოფილს „ მადნით“, ე.ი. მადნეულის ცნებების გამომხატველი ტერმინით აქვს შეცვლილი. მადნეულის აღმნიშვნელ ტერმინთან ერთად აქ ყურადღებას იქცევს ამ მადნეულის განსაზღვრება, რომელიც დამატების სახით ჩაურთავს ხოჯა ყოფილს არ-რაზის ტექსტში. აღნიშნული განსაზღვრების თანახმად სამთო საბადოების მნიშვნელობით მოხსენებულ მთებში („მთანი“) მოიპოვება მეტალები („სპილენძი“, „რკინად“), მინერალები („თუალნი“) და ყველა სხვა მათი მსგავსი წიაღისეული („ყუელასთანაც სხვაც“).

ქართულად თარგმნილ სამედიცინო-ფარმაცევტულ ნაშრომში არ-რაზის საკლასიფიკაციო სქემის თუნდაც უმნიშვნელო ნაწილის ციტირება თავისთავად საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს. არანაკლებ საყურადღებოა „მადნის“ ხოჯა ყოფილისეული განსაზღვრაც, რომელიც ქართულ ენაზე ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ განსაზღვრებას წარმოადგენს. საბუნებისმეტყველო-ტექნიკური სფეროდან აქვე საჭიროდ ჩავთვალეთ მოგვერანა ამ განსაზღვრებაში მოხსენებული „მადნის“ განმარტება, ვინაიდან ის „წიგნი სააქიმოვას“ გამოცემის ლექსიკონში შეტანილი არ არის. აღნიშნული განმარტება ასეთი სახით უნდა წარმოვადგინოთ: „მადანი - მადნეული, სასარგებლო წიაღისეული“. ამის შემდეგ კი გადავდივართ იმ ტერმინების განხილვაზე, რომელთა მნიშვნელობაც დაზუსტებას მოითხოვს (ჯერ ამა თუ იმ ტერმინისათვის მოცემული გვაქვს თვით ლექსიკონში აღნიშნული მათი განმარტების ტექსტი სათანადო გვერდის მითითებით და შემდეგ განვიხილავთ ამ ტერმინს ახალი განმარტების ჩამოყალიბებით.)

„იყლემია-ვარაყი“ [3]. ზოგადი ცნების შემცველ იყლემიასთან ერთად ლექსიკონში განმარტებულია მისი კერძო სახეობებიც. კერძოდ, „ვერცხლის იყლემია“ და „ოქროს იყლემია“ წარმოდგენილია როგორც ვერცხლის და ოქროს ვარაყები [3]. სინამდვილეში „იყლემია“, „წიდას“ ნიშნავს. არ-რაზის თანახმად „იყლემია“ არის ის, რაც მყარდება ქაფის ან ნალექის სახით სხვადასხვა მეტალის დნობისას, (როგორიცაა ოქრო, ვერცხლი, სპილენძი), მათ ზედაპირზე ან მათ ფსკერზე. ამბობენ, მეტალების ნაყარი (ან წიდა) არის იყლემია, ე.ი. ოქროს წიდა-ოქროს იყლემიაა, ვერცხლის წიდა - ვერცხლის იყლემია, სპილენძის წიდა - სპილენძის იყლემია“ [2]. აღსანიშნავია, რომ განმარტების გარდა არ-რაზის ოქროს და ვერცხლის იყლემიები შეტანილი აქვს ნივთიერებათა კლასიფიკაციაში, წარმოებულ ნივთიერებათა ჯგუფის არამეტალების ქვეჯგუფში [2].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზაზა ფანასკერტელი - ციციშვილიც (XV ს. მიწურული) „იყლემიას“ ანუ მისი ტერმინოლოგიით „აკლიმს“ ასევე „წიდასთან“ აიგივებდა. თავის „სამკურნალო წიგნი - კარაბადინის“ მის მიერ შედგენილ ლექსიკონში, ეს იგივეობა მან ოქროს იყლემიის კერძო მაგალითზე აჩვენა: „აკლიმი-ოქროს წიდას ჰქვიან“ [5]. ასე რომ, „იყლემია“ ზოგადად და კერძო შემთხვევებისათვის ასე უნდა იყოს განმარტებული: „იყლემია - წიდა“, „ოქროს იყლემია-ოქროს წიდა“ და „ვერცხლის იყლემია - ვერცხლის წიდა“.

„ოშნანი მწვანე-როშნა, კალაქვა, Kali Carbonici“ [3]. აქ „მწვანე ოშნანი“ გაიგივებულია „როშნაასთან“, ორივე კი „კალაქვასთან“ (Kali Carbonici). „ოშნანი“ – „როშნაას“ იგივეობას ეჭვევეშ აყენებს ის გარემოება, რომ ნაშრომში ეს „როშნაა“ სისტემატურად გამოიყენება თვალთან დაკავშირებით [3], მაშინ როდესაც ამ დანიშნულებით „ოშნანი“ ერთხელაც არ სახელდება. „ოშნანი“ რომ არც „კალაქვა“ არის, ეს ნათლად ჩანს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ერთ-ერთი რეცეპტიდან, რომელშიც წამლის დასამზადებლად ერთდროულად გამოიყენებოდა „კალიას ქვაც“ (და არა მცდარი „კალაქვა“) და ოშნანიც [4]. ამიტომაც ლექსიკონისეული გაიგივება არ შეიძლება სწორად იქნას მიჩნეული.

სინამდვილეში, როგორც ეს არ-რაზის საკვალიფიკაციო სქემის განხილვისას აღინიშნა, ოშნანი (არ-რაზის ტერმინოლოგიით „უშნანი“) მცენარეს წარმოადგენს და ის ერთადერთი ნივთიერებაა, რომელსაც კლასიფიკაციით მას ავტორი მცენარეთა კლასს აკუთვნებს. ამ ოშნანისაგან, მხოლოდ მისი გარკვეული გადამუშავების შემდეგ მიიღება მცენარეული წარმომავლობის სოდა (Na_2CO_3) და არა ლექსიკონში მითითებული „კალაქვა“, ანუ კალიუმის კარბონატი, ე.ი. K_2CO_3 (ოშნანის დაწილო მიღებულ ნაცარს წყლით ამუშავებდნენ, რის შედეგადაც წარმოქმნილ ხსნარს ფილტრავდნენ და ფილტრატის ამორტექლის შედეგად იღებდნენ სოდის მყარ ნალექს). სწორედ ამ მყარ ნალექს უნდა გულისხმობდეს არ-რაზის „საიდუმლოებათა წიგნის“ ერთ-ერთ ნუსხაში მოხსენებული „უშნანის ქვა“ („usnan sangi“), რომლისაგანაც განსხვავებული მცენარეული „უშნანი“ ხშირად მოიხსენება როგორც „მწვანე უშნანი“ [2]. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ოშნანის ახალ განსაზღვრებას შემდეგი სახე ექნება: „ოშნანი მწვანე- სოდის შემცველი მცენარე.“

„ნატრონი-ნატრუნი... ნატრონ-გვარჯილა (გორჯილა), Nitre, Селитра“ [3]. სინამდვილეში, ნატრუნი „ წიგნი სააქიმოში“ ეწოდება მინერალური წარმომავლობის ბუნებრივ სოდას ($\text{Na}_2\text{CO}_3 \cdot 10\text{H}_2\text{O}$), რომელიც მარილოვანი ტბებიდან მოიპოვება. ამ ნატრუნს არ-რაზი თავის ნივთიერებათა საკლასიფიკაციო სქემაში ბორავების ქვეჯგუფს აკუთვნებს. ვინაიდან ის და ბორაკი ერთმანეთის შემცვლელად გამოიყენებიან პურის ცხობის საქმეში [2].

„ბავრუკი - Amilum tritici, სახამებელი, კრახმალი“ [3]. ბავრუკის ამ განმარტების გარდა ლექსიკონში განსაღზვრულია „პურის ბავრუკიც“: „ბავრუკი პურისა - სახამებელი პურისა“ [3]. სინამდვილეში „ბავრუკი“ „ბორაკს“ აღნიშნავს და ის ნატრიუმის ტეტრაბორატს ($\text{Na}_2\text{B}_4\text{O}_7 \cdot 10\text{H}_2\text{O}$) შეესაბამება. იგივე ნაერთს წარმოადგენს „პურის ბავრუკიც“, რომელსაც ინტენსიურად იყენებდნენ პურის ცხობაში. მცხობელები გამოცხობის წინ პურის ზედაპირს ბორაკის ხსნარით ასველებდნენ, რაც გამოცხობის შემდეგ ზედაპირს ბრწყინვალებას ანიჭებდა [2]. ასეთივე ეფექტი ჰქონდა პურის ცხობაში გამოიყენებულ სოდასაც, რის გამოც არ-რაზიმ, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ის ბორავების ქვეჯგუფში შეიტანა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ბორაკთან დაკავშირებულ განმარტებებს ასეთი სახე უნდა ჰქონდეს: „ბავრუკი-ბორაკი, ნატრიუმის ტეტრაბორატი“, „ბავრუკი პურისა -პურის ბორაკი.“

„დაკლული ვერცხლისწყალი... Hydrargirum Vivum“ [3]. ფაქტობრივად იგივე განმარტება არის მოცემული ჩვეულებრივი ვერცხლისწყლისათვისაც, რომელიც ასევე „ცოცხალ ვერცხლისწყლად“ („Hydrargirum Vivum“) არის წარმოდგენილი:“ ვერცხლისწყალი - სინდიყი, „Hydrargirum Vivum“ [3]. „დაკლული ვერცხლისწყალი“ აღმოსავლურ და ქართულ სამედიცინო- ფარმაცევტულ ლიტერატურაში საკმაოდ ხშირად გვხვდება (მაგ. „უსწორო კარაბადინში“ (XI ს.) ეს ნაერთი მოხსენებულია ფორმით „ვერცხლისწყალი მოკლული“ ან „ვერცხლისწყალი მამკვდარი“ [6] და ის როგორც ეტყობა ჩვეულებრივი ანუ „ცოცხალი“ ვერცხლისწყლისგან განსხვავებული უნდა იყოს.

არ-რაზი თავის ნაშრომში იყენებს როგორც ტერმინს-,ცოცხალი ვერცხლისწყალი“, ისე „მოკლულ ვერცხლისწყალს“, რომელიც პირველისაგან იმით განსხვავდება, რომ ის უძრავ მდგომარეობაში მოჰყავთ მისი შაბთან, მარილთან, მმართან ან ცხიმთან გაქნის შედეგად [3]. ასე რომ გალესვის შედეგად მიღებული პროდუქტი შეიძლება ასე განვმარტოთ: „დაკლული ვერცხლისწალი-სხვადასხვა ნაერთებთან ერთობლივი გალესვის საშუალებით მყარ მდგომარეობაში გადაყვანილი ვერცხლისწყალი“.

„არ ჯასპი მწვავე-მწვანე შაბიამანი“ [3] და „არჯასპი თეთრი-თეთრი შაბიამანი“ [3]. ლექსიკონის თანახმად ორივე სახის აჯასპი თითქოს შაბიამანს (ე.ი. სპილენძის სულფატს) უნდა წარმოადგენდეს. არ-რაზის მონაცემების გათვალისწინებით მწვანე აჯასპი რკინის სულფატია (Fe SO_4), ხოლო თეთრი აჯასპი ალუმინის სულფატი ($\text{Al}_2(\text{SO}_4)_3$) [2]. აქედან გამომდინარე, განმარტება ასეთია: „არჯასპი მწვანე-რკინის სულფატი, FeSO_4 “, და „არჯასპი თეთრი-ალუმინის სულფატი $\text{Al}_2(\text{SO}_4)_3$ “.

„მარილი ნავთი - უცნობია“ [3]. არ-რაზის თანახმად „მარილი ნავთი“ მსხვილ და მყარ ნატეხებს წარმოადგენს და ამ გაუმჭვირვალე ნატეხებს ნავთის სუნი ასდით. თანამედროვე მკვლევარების აზრით, ეს ნაერთი ნავთობით უნდა იყოს გაუდენტილი, რის გამოც მათ შავი ფერი აქვს. ნატეხების გახურებისა და ნავთობის აქროლების შედეგად ისინი თეთრ ფერს იძენენ [2]. ასე რომ ეს ნაერთი ასე უნდა იყოს განმარტებული: „მარილი ნავთი- ნავთით გაუდენტილი სუფრის მარილი.“

„წიგნი სააქიმოაში“ რამდენჯერმე არის მოხსენებული ტერმინი „ჟანგი“, რომელიც გამოცემის ლექსიკონში არ მოხვდა. ვინაიდან ნაშრომში ამ ტერმინის მოხსენიებით მისი ქართულ ენაზე გამოყენების ერთ-ერთ ადრეულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ის ჩვენი აზრით, შეტანილი უნდა ყოფილიყო ლექსიკონში, რადგან ნაშრომში ეს ჟანგი ორი მნიშვნელობით არის მოცემული (ერთ შემთხვევაში ის აღნიშნავს არასასურველ ნადებს, რომლითაც იფარება მყარი საგნის ზედაპირი, მეორე შემთხვევაში კი მეტალის ჟანგს), ამიტომ მის განმარტებას ასე წარმოვადგენთ: ჟანგი-მყარი სხეულის ზედაპირის არასასურველი ნადები, მეტალის ოქსიდი).

„თუთია-Zincum Sulfuricum“ [3], ლექსიკონში მოცემული განმარტების თანახმად თუთია ცინკის სულფატს (ZnSO_4) წარმოადგენს. სინამდვილეში, „თუთიის“ სახელწოდებით წინათ ცნობილი იყო გალმეი, ცინკის კარბონატი (ZnCO_3), რომელსაც ხშირად იყენებდნენ თვალის სამკურნალოდ. არ-რაზიმ თავის საკლასიფიკაციო სქემაში თუთია ქვების ჯგუფში შეიყვანა. ის ასახელებს ამ ნაერთის რამდენიმე სახეობას (მწვანეს, ქირმანულ ინდურს, კასპიურ და ა. შ), რომელთაგან ერთ-ერთი-ჰინდოური თუთიაა“ „წიგნი სააქიმოაშიც“ არის მოხსენებული [3]. „თუთიის“ ახლებური განმარტება იქნება: „თუთია-გალმეი, ZnCO_3 “.

ამრიგად, ჩატარებული კვლევების საფუძველზე შესაძლებელი ხდება „წიგნი სააქიმოას“ რეცეპტებში მოხსენებული საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქიმიური ნაერთების ჭეშმარიტი მნიშვნელობის დადგენა, რაც არ-რაზის ქიმიურ ნაშრომთა მონაცემების გამოყენებით განხორციელდა. აღმოჩნდა, რომ ქართულ ენაზე თარგმნილი „წიგნი სააქიმოა“, როგორც აღმოსავლეური სამედიცინო-ფარმაცევტული ლიტერატურის ტიპიური ნიმუში, აღნიშნულ ქიმიურ ნაერთებს ქიმიურ მეთოდებთან ერთად ფართოდ იყენებს თავის რეცეპტებში. ეს გარემოება კი უდავოდ საყურადღებოა მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით, ვინაიდან დამაჯერებლად გვიჩვენებს აღმოსავლეური მედიცინისა და ტექნიკიმიური პრაქტიკის მჭიდრო კავშირს. ამასთან დაკავშირებით გარკვეული სარგებლობის მოტანა შეუძლია განხილული ქიმიური ნაერთების ჭეშმარიტი მნიშვნელობის დადგენასაც, ვინაიდან მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება ნაშრომის ტექსტის სწორად წაკითხვა.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ის დასკვნაც გამოვიტანოთ, რომ „წიგნი სააქიმოაში“ ქიმიური ნაერთების სისტემატური მოხსენებით ის შეიძლება იმ პირველწყაროდ ჩაითვალოს, რომელშიც ქიმიის ისტორიის ქართველი სპეციალისტებისთვის საყურადღებო მასალებია შემორჩენილი ძველქართული ტექნიკიმიური პრაქტიკიდან.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Rusca J., Al-Räzis Buch Geheimnis der Geheimnisse mit Einleitung und Erläuterungen in deutscher Übersetzung von J. Rusca. Quellen und studien zur Geschichte der Naturwissenschaften und der medizine, Bd.6, Berlin, 1937, p. 34-35
2. У.Н.Каримов, Неизвестные сочинения Ап-Рази ‘Книга тайна тайн’ Ташкент, 1957, с. 61-63,192, 137, 131, 132, 192, 131, 132, 142, 61, 143, 130
3. წიგნი სააქიმოა, ტექსტი გამოსცა ლ. კოტეტიშვილმა, ტფილისი, 1936, გვ. 313, 321, 97, 104, 107, 320, 303, 307, 309, 155, 301, 316, 312, 132, 109, 111
4. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი კარაბადინი, ტ. II, ტექსტი გამოსცა პროფ. მ. შენგელიამ, თბ., 1988, გვ. 12,626

5. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო-წიგნი კარაბადინი, ტ. I, ტექსტი გამოსცა პროფ. გ. შენგელიამ, თბ. 1986, გვ. 254
1. ქანანელი, უსწორო კარაბადინი, ტექსტი გამოსცა ლ. კოტეტიშვილმა, თბ. 1940, გვ. 262, 387, 382.

STORED CHEMICAL COMPOSITIONS IN “THE MEDICAL BOOK”

K.Kereselidze, Sh.Samsonia, D.Tugushi, R.Chagunava

Iv. Javakhishvili Tbilisi state University

SUMMARY

The article is devoted to the chemical compounds, which are described in "The Medical Book". This article aims to the terms used in the book. At the time, when the book was released, some of the substances could not be identified. This has led to gaps in fact, that there was still not known of the famous chemist AR-Razi's works, which the author uses extensively in his book. Based on the works of above mentioned chemist, we have been accurately identified compounds mentioned in the text. Meanwhile, it should also be noted that at the beginning of XIII century in old Georgian monuments - "Incomparable Karabadini", "Healing Book-Karabadini" Zaza Panaskerteli-Tsitsishvili and "Yadigar Daudi" David (Dautkhani) are shown a high level of medical chemistry in Georgia.

СОХРАННЕНЫЕ СВЕДЕНИЯ О ХИМИЧЕСКИХ СОЕДИНЕНИЯХ В “КНИГЕ МЕДИЦИНСКОЙ”

К.Р.Кереселидзе, Ш.А.Самсония, Д.С.Тугуши, Р.В.Чагунава

Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили

РЕЗЮМЕ

Статья посвящена химическим соединениям, которые описаны в "Книге Медицинской" вместе с методами лечения. Эта статья посвящается уточнению химических терминов, используемых в книге. На момент выхода книги некоторые вещества не могли быть идентифицированы, так как не были широко известны работы известного химика АР-Рази, которого автор широко использует. На основе работ известного химика были достаточно четко определены соединения, упомянутые в тексте. Следует также отметить, что на основе исследования старых грузинских памятников – "Несравненный Карабадин", "Медицинская Книга-Карабадин" Зазы Панаскертели-Цицишвили и "Ядигар Дауд" Дэвид (Даудхан) показан высокий уровень медицинской химии в начале XIII века.



2016 წლის 21-23 სექტემბერს
ურეკში, საქართველო,
ჩატარდება საერთაშორისო
სამეცნიერო კონფერენცია
„თანამედროვე კვლევები და
მათი გამოყენების
პერსპექტივები ქიმიაში, ქიმიურ
ტექნოლოგიასა და მომიჯნავე
დარგებში“, მიძღვნილი
რ.აგლაძის არაორგანული
ქიმიისა და ელექტროქიმიის
ინსტიტუტის 60 წლის იუბილეს
კონფერენციის პროგრამაში
გათვალისწინებულია შემდეგი
პლენარული მოხსენებები:

International Scientific
Conference
“Modern Researches and
Prospects of their Use in
Chemistry, Chemical Engineering
and Related Fields”
September 21-23, 2016, Ureki,
Georgia
The conference is dedicated to the
60th anniversary of R.Agladze
Institute of Inorganic Chemistry
and Electrochemistry

Following plenary lectures are
included in the conference
program:

21-23 сентября 2016 года в
Уреки, Грузия, состоится
международная научная
конференция «Современные
исследования и перспективы их
применения в химии,
химической технологии и
смежных областях»,
посвященная 60th-летнему
юбилею Института
неорганической химии и
электрохимии им. Р.Агладзе.

В программе конференции
предусмотрены следующие
пленарные доклады:

V. Beschkov, Institute of Chemical Engineering, Bulgarian Academy of Sciences, Bulgaria
BIOWASTE AND HYDROGEN SULFIDE – PERSPECTIVE RENEWABLE FUELS

V. Tsitsishvili, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
NEW GENERATION ZEOLITIC ADSORBERS

K. Dossumov, Center of Physical and Chemical Methods of Research and Analysis al-FarabyKazNU, Kazakhstan
CONVERSION OF METHANE OVER THE OXIDE CATALYSTS

T. Agladze, Georgian Technical University, Georgia
NOVEL TECHNOLOGY PLATFORM FOR SYNTHESIS OF MULTIFUNCTIONAL HYBRID
NANOCOMPOSITES

N. Vaszilcsin, University Politehnica Timisoara, Romania
ENHANCEMENT OF CATHODIC HYDROGEN EVOLUTION REACTION
USING PROTON CARRIERS

G. A. Tsirlina, Moscow State University, Russia
PLATINUM FREE ELECTROCATALYSTS BASED ON MANGANESE OXIDES FOR
ELECTROCHEMICAL DEVICES

S. A. Kirillov, Joint Department of Electrochemical Energy Systems, Ukraine
HIGH-RATE LITHIUM-ION BATTERIES: RECENT ADVANCES

T. Marsagishvili, R. Agladze Institute of Inorganic chemistry and Electrochemistry, Georgia
SOME ASPECTS OF MODELING OF PHOTOCATALYSIS PROCESS

ინფორმაცია ავტორებისათვის

უკრნალი “საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ქმითს სერია” აქვეყნებს სტატიებს ქმითური მეცნიერების დარგში ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე; მიმოხილვებისა და ინფორმაციული ხასიათის მასალების წარმოდგენა შესაძლებელია სარედაქციო კოლეგიასთან შეთანხმებით. გამოსაქვეყნებელი მასალის მოცულობა, ფორმატი და მისი წარმოდგენის სხვა პირობები შეთანხმებული უნდა იყოს პასუხისმგებელ მდივანთან, ავტორებმა ტექსტი უნდა წარმოადგინონ ელექტრონულ ფორმაში (Sylfaen ან LitNusx ქართული Times New Roman და ინგლისური და რუსული ტექსტებისათვის), Microsoft Word ფაილის (*.doc ან *.docx) სახით, ნახაზები და სურათები – შავ-თეროი გრაფიკული (*.bmp, *.dib, *.jpg, *.gif და სხვ.) ფაილების სახით. სამეცნიერო სტატიების ავტორების დასახმარებლად რედაქციის მიერ გათვალისწინებულია როგორც სტანდარტული ელექტრონული ფორმატები სამივე ენაზე, ისე სხვა ტექნიკური მომსახურება. Chemical Abstracts-სა (ინგლისურ ენაზე) და საქართველოს რეფერატულ ჟურნალში (ქართულ და ინგლისურ ენებზე) სტატიის რეფერირებისათვის ავტორი ვალდებულია გაითვალისწინოს შინაარსობრივი რეზუმეების მომზადება ორივე ენაზე.

სარედაქციო კოლეგიასთან შეთანხმებული საფასური უნდა იყოს გადარიცხული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ანგარიშზე “ლიბერტი” ბანკში № GE80LB0121115150495000, საიდენტიფიკაციო კოდი 203851536.

INFORMATION for AUTHORS

The journal “Proceedings of the Georgian National Academy of Sciences. Chemical series” is publishing articles in a field of chemical sciences in Georgian, English, and Russian, reviews and informational/advertising materials may be submitted after consultations with the Editorial Board. Volume, format, and other details of contribution are to be discussed with the Executive Secretary; Authors submit texts (font Times New Roman for English and Russian, Sylfaen for Georgian) of articles in a form of Microsoft Word files (*.doc or *.docx), figures and pictures – as monochrome or black/white (*.jpg, *.gif, etc.) files. To help Authors of scientific articles, standard Georgian, English, and Russian formats are provided as well as other technical service and support. For references of the article in the Chemical Abstracts (in English) and in the Georgian Abstracts Journal (in Georgian and in English) authors are obliged to foresight substantial summaries in both languages.

Agreed with the Editorial Board publishing expenses are to be paid at the Liberty Bank on the account of the Georgian National Academy of Sciences No GE80LB0121115150495000, identification code 203851536.

ИНФОРМАЦИЯ ДЛЯ АВТОРОВ

Журнал "Известия Национальной Академии наук Грузии. Серия химическая" публикует статьи и краткие сообщения в области химических наук на грузинском, английском и русском языках; обзорные статьи и материалы информационного характера публикуются по предварительному согласованию с редакционной коллегией. Объем, формат и условия представления материала для публикации следует согласовать с ответственным секретарем; авторы должны представить тексты (фонт Times New Roman для русского и английского, Sylfaen или LitNusx для грузинского языков) в виде файлов Microsoft Word (*.doc или *.docx), а рисунки, чертежи и фотоснимки – в виде черно-белых графических (*.jpg, *.gif и др.) файлов. Для оказания помощи авторам научных статей, редакция предусматривает стандартные электронные формы на всех трех языках, а также другую техническую поддержку. Для реферирования статьи в Chemical Abstracts (на английском языке) и Грузинском реферативном журнале (на английском и грузинском языках) авторам следует предусмотреть содержательные резюме на обоих языках.

Оплата расходов по публикации производится перечислением согласованной с коллегией суммы на счёт Национальной Академии наук Грузии в банке «Либерти» № GE80LB0121115150495000, идентификационный код 203851536.